პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

კვირა, 15 ნოემბერი 1936 წ. № 264 (4763)

დღეს იხსნება ორდენოსანი საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა.

ბოლშევიკური სალამი ყრილობის დელეგატებს!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის VI პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

1936 წლის 14 ნოემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. **ბაქრაძის** მოხსენება პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის შედეგებსა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს.**

პარტდოკუმენტთა გამოცვლასთან და პარტიაში ახალ წევრთა მიღების განახლებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. **ვ. დარახველიძე.**

პლენუმის რეზოლუცია გამოქვეყნდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—

ამხანაგ სტალინს

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც შეიკრიბა პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის შედეგების განსახილველად, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიის დიდ ბელადს, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს. თქვენი ინიციატივით პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლისათვის, რომელიც თვითეული კომუნისტისათვის ბოლშევიკური აღზრდისა და გამობრძმედის სტალინური სკოლა გახდა.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ დაგვანახვა, თუ რა ძალიან გაიზარდნენ და გამოიბრძმედნენ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები პარტიისა და ხალხის ყველა მტერთან შეურიგებელ ბრძოლაში.

გაიზარდნენ და დაწინაურდნენ **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმის ერთგული, სტალინური სიფხიზლის საფუძველზე აღზრდილი ახალი კადრები პარტიული აქტივისა.

საქართველოს ბოლშევიკთა კომპარტიამ დიდი მუშაობა გასწია იმ მხრივ, რომ გაეწმინდა თავისი რიგები პარტიის მოსისხლე მტრებისაგან, ხალხის საზიზღარი გამცემლებისაგან — კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველთა და ნაციონალ-შოვინისტური ელემენტებისაგან, ამ საზიზღარი ბურჟუაზიული რესტავრატორებისაგან, ფაშისტთა ჯაშუშებისაგან, მზვერავებისაგან, მავნებლებისაგან; იგი განთავისუფლდა უღირსი ადამიანებისაგან, რომლებმაც ვერ გაამართლეს **ლენინ-სტალინის** ბოლშევიკური პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება. მან გააძლიერა რევოლუციური სიფხიზლე, განამტკიცა თავისი რიგების დისციპლინა და კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

საქართველოს ბოლშევიკები თავის წინაშე ახალი ძალით ისახავენ ამოცანას თვითეული კომუნისტისაგან აღზარდონ პარტიის საქმისთვის ბოლომდე ერთგული მებრძოლი, რომელსაც დაუღალავად შეაქვს მასებში კომუნიზმის იდეები, რომელსაც მაღლა უჭირავს **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი უძლეველი დროშა.**

რევოლუციური სიფხიზლის ყოველმხრივ გაძლიერებით, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლით, ჩვენ ფხიზლად დავიცავთ პარტიულ რიგებს უცხო, მტრული და შემთხვევითი ელემენტების შემოპარვისაგან.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის მითითებანი იმაზე, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაამახინჯა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ, ავალებენ საქართველოს ბოლშევიკებს ისე მოაწყონ პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა, რომ ინდივიდუალური შერჩევის ლენინური პრინციპის განხორციელებით მიიღონ პარტიაში ნამდვილად მოწინავე და სოციალიზმის ერთგული მშენებლები, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანები მუშებიდან, აგრეთვე გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციიდან.

მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების ამოცანა აძლიერებს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ როლს ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის ყოველ უბანზე.

საქართველოს ბოლშევიკებმა, დიდი **სტალინის** მიერ გამოწვრთნილებმა, მუშათა კლასის მტრებთან და გამცემლებთან შეურიგებელი ბრძოლის სახელოვანი სტალინური ტრადიციების ერთგულებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ხალხის მოსისხლე მტრები—მენშევიკები, ტროცკისტ-ზინოვიეველები, მემარჯვენე ოპორტუნისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ნაციონალ-უკლონისტები.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებსაც თქვენი ბრძნული მითითებანი, დახმარება, მზრუნველობა და ყურადღება აფრთოვანებს, მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებებს. არ სჯერდებიან რა მონაღწევარს, გადაჭრით ამოფხვრიან რა ყოყოჩობას, უდარდელობის და დამპალი ლიბერალიზმის ოდნავ გამოხატულებებსაც კი, ისინი მომავალშიაც იქნებიან ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანასა და მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენო მშობლიურო ამხანაგო **სტალინ,** რომ საქართველოს კომპარტია—საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული, ურყევი, რკინის დასაყრდენი კიდევ უფრო გააძლიერებს ბოლშევიკურ სიფხიზლეს, ბოლომდე ამოფხვრის და გააცამტვერებს ტროცკისტულ-ზინოვიევურ და ნაციონალ-უკლონისტურ ფაშისტ-კონტრრევოლუციონერთა მიმალულ საზიზღარ ნაბოლარებს, კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროებს თავის რიგებს **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ და გასწევს სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინ-სტალინის მძლავრ პარტიას!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!

უკანასკნელი ცნობები

რესპუბლიკის ჯარების წარმატებანი

პარიზი, 14 ნოემბერი (საქტს). საფრანგეთის პრესის ცნობით, გუშინ რესპუბლიკის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მადრიდის რაიონში და დაიკავეს ყველა წინასწარ დასახული პუნქტი მარჯვენა ფლანგზე. მთავრობის ავიაციამ ჩამოაგდო მეამბოხეთა ოთხი გამანადგურებელი.

გუშინ მადრიდის თავზე გაიმართა ორი საჰაერო ბრძოლა. პირველი ბრძოლა მოხდა დაახლოვებით დილის 8 საათზე. ამ ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მეამბოხეთა 6 თვითმფრინავი.

ავიაციის სამინისტროს ცნობით რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს ერთი თვითმფრინავი. გარდა ამისა, ორმა რესპუბლიკელმა მფრინავმა, მიუხედავად იმისა რომ დაიჭრნენ, შესძლეს თვითმფრინავები მოეყვანათ ავიაბაზაზე.

დაახლოვებით შუადღისას მთავრობის ოთხმა ყუმბარმტყორცნმა თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა მეამბოხეებს კარაბანჩელ ალტოსთან. მთავრობის თვითმფრინავთა მეორე ესკადრილია ყუმბარას უშენდა მეამბოხეთა პოზიციებს ვილიავერდეში.

ნაშუადღევს დედაქალაქზე მოხდა მრავალი საჰაერო შეტაკება, რის შედეგად რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს მეამბოხეთა ოთხი თვითმფრინავი. მეამბოხეთა ბევრი სხვა თვითმფრინავი მოწინააღმდეგის ჯარების დაბანაკების ხაზზე დაზიანებული დაბრუნდა.

მადრიდიდან მიღებულ სხვა ცნობებში ნათქვამია, რომ გუშინ რესპუბლიკელების მიერ დაწყებული შეტევა ესტრამადურის გზის უბანზე წარმატებით დამთავრდა: რესპუბლიკის ჯარებმა წინ წაიწიეს ოთხი კილომეტრით.

რესპუბლიკის ჯარების კოლონამ მოიგერია მეამბოხეთა ორი სერიოზული შემოტევა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგე ტანკებს იყენებდა.

◆

ბრძოლა ოვიედოს დასაუფლებლად

ბილბაო. 13 ნოემბერი (საქტს). ბრძოლა ოვიედოს დასაუფლებლად გრძელდება. მეამბოხენი, რომელნიც წყალსაცავისაგან მოწყვეტილი არიან, წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიან. მათ ჯარებში ღრტვინვაა. მე-32 ლეგიონის ერთერთი ასეული, რომელმაც ამბოხება მოაწყო და რესპუბლიკელთა მხარეზე გადასვლას ცდილობდა, განიარაღებულ იქნა, ასეულის მეთაური კი დახვრიტეს.

მეამბოხეებსა და მაროკოელ ჯარებს შორის ურთიერთობა გამწვავდა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის წართმეული პროდუქტებისა, წყლისა და ქონების განაწილების ნიადაგზე. აჯანყების შიშის გამო, მეამბოხეებმა მაროკოელები გაიყვანეს პოზიციებზე ქალაქგარეთ. ტყვეების სიტყვით, მაროკოელები იბრძვიან დახვრეტის მუქარის ქვეშ.

ამხ. მ. ი. კალინინის საუბარი

უცხოეთის მუშათა დელეგაციებთან

მოსკოვი, 13 ნოემბერი (საქტს). უკვე დაწესდა ასეთი ტრადიცია: წელიწადში ორჯერ, როცა უცხოეთის მუშათა დელეგაციები ჩამოდიან საბჭოთა კავშირში იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ დიდი პროლეტარული რევოლუციის დღესასწაულში ან საპირველმაისო დღესასწაულებში, ისინი ესაუბრებიან სრულიად საკავშირო სტაროსტას მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

ასე იყო გუშინაც, შრომის სასახლის პროფკავშირთა დიდ დარბაზში შეიკრიბა 100-ზე მეტი უცხოელი დელეგატი. ცენტრალური ადგილები დაიკავა ესპანეთის ორივე დელეგაციამ, რომელთა გამოჩენას დარბაზში მქუხარე ტაშით შეხვდნენ. გვერდითა ადგილები დაიკავეს საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბელგიის, შვეციისა და ნორვეგიის დელეგაციებმა.

ამხ. მ. ი. კალინინის გამოჩენას დარბაზში მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. დელეგატები თავისი ადგილებიდან წამოდგნენ და მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. ესპანეთის დელეგაციების რიგებიდან გაისმის შეძახილები: „ვივა კალინინ". „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას". ამხ. კალინინთან ერთად პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ ამხ. შვერნიკი, ლოზოვსკი, ვენბერგი, ევრეინოვი, აბოლინი.

საუბრის დაწყებისას ამხ. შვერნიკმა განაცხადა, რომ უცხოეთის დელეგატებს შორის იმყოფება ესპანეთის მეორე დელეგაცია, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა მოსკოვში ლენინგრადიდან გამოვლით. ამხ. შვერნიკმა ძმური სალამი გადასცა დელეგაციას. ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი მიესალმება გმირი ესპანელი ხალხის წარმომადგენლებს.

შემდეგ ამხ. შვერნიკი სიტყვას აძლევს ამხ. მ. ი. კალინინს და დარბაზში კვლავ გრიალებს ტაში, სხვადასხვა ენაზე გაისმის მისალმებანი საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ კალინინის, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ორ საათზე მეტს ილაპარაკა მიხეილ ივანეს-ძემ. მისი სიტყვები იქვე ითარგმნებოდა რამდენიმე ენაზე.

ამხ. კალინინმა თავისი შესავალი სიტყვა დაიწყო მისალმებით, რომელიც მიმართული იყო უცხოეთის მუშათა დელეგაციებისადმი.

— წელს, — სთქვა მიხეილ ივანეს-ძემ, — უცხოელ დელეგატებს შორის იმყოფება ესპანეთის დიდი დელეგაცია. იგი წარმოადგენს იმ ხალხს, რომელიც ამჟამად ასრულებს საპატიო ინტერნაციონალურ ამოცანას — დაიცვას დემოკრატიული წყობილება ფაშიზმის შემოტევისაგან.

და ამიტომ პირველ რიგში მივესალმები ესპანეთის ხალხის წარმომადგენლებს.

შემდეგ მიხეილ ივანეს-ძე ლაპარაკობს ევროპის დემოკრატიის ამოცანებზე ესპანეთის ამბებთან დაკავშირებით. ერთიან სახალხო ფრონტზე და ბრძოლაზე ომის საფრთხის წინააღმდეგ, დემოკრატიის მოსისხლე მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ, ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლაზე, იმ ხალხის, რომელიც სისხლისმღვრელ ბრძოლებში იცავს თავისუფალი არსებობის უფლებას.

მას არაერთხელ აწყვეტინებენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

როცა ამხ. კალინინი ამთავრებს თავის შესავალ სიტყვას, დარბაზში, ესპანეთის დელეგაციის თაოსნობით, გაისმის პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნი „ინტერნაციონალი".

შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინი უპასუხებდა დელეგაციის კითხვებზე. ეს კითხვები შეეხებოდა საბჭოთა ბიუჯეტის აღნაგობას, სსრ კავშირის სისტემას და სხვ.

ამხ. მ. ი. კალინინის გამოსვლის შემდეგ ესპანეთის ორივე დელეგაციის სახელით სიტყვა მიეცა ესპანეთის მეორე დელეგაციის თავმჯდომარეს — ბარსელონის უნივერსიტეტის პროფესორს ამხ. ანტონიო ესბერს, რომელსაც ყველა დამსწრე ძლიერი ტაშით შეხვდა.

მთელი დარბაზი დაძაბული ყურადღებით ისმენს მის გარეგნულად წყნარს, მაგრამ რევოლუციონერი მებრძოლის მგზნებარე სიტყვას, აღსავსეს ღრმესი სიმართლითა და გულისტკივილით, როდესაც იგი ლაპარაკობს ევროპის დემოკრატიის როლზე ესპანეთის ამბებთან დაკავშირებით. ხშირად სიტყვას აწყვეტინებენ ტაშის ცემით და შეძახილებით „მართალია". იგი მიმართავს უცხოელ მუშათა დელეგაციებს და ყველა დამსწრეთ და აცხადებს:

— ის, რასაც აქ ჩვენ მუშათა კლასის ძველი მებრძოლი კალინინი გვეუბნებოდა მუშათა კლასის ერთიანობაზე, ესპანეთში უკვე საქმით ხორციელდება. ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი დელეგაცია. 35 კაცში, რომლებსაც ორივე დელეგაცია შეადგენს, თქვენ ნახავთ კომუნისტებს, სოციალისტებს, რესპუბლიკელებს, ანარქისტებს.

როდესაც ჩვენი დელეგაცია ბარსელონიდან მოემგზავრებოდა, ანარქისტები უკვე თანამშრომლობდნენ მთავრობასთან. უფრო გვიან შევიტყვეთ, რომ ესპანეთის ახალ მთავრობაში შევიდნენ ანარქისტ-სინდიკალისტთა წარმომადგენლები.

განა ეს ერთიანი სახალხო ფრონტი არ არის?

ესპანეთის მთავრობა, რომელიც იბრძვის თავაშვებულ ფაშისტთა წინააღმდეგ, წარმოადგენს სახალხო ფრონტის ნამდვილად ერთიან მთავრობას. ესპანეთის ეს კანონიერი მთავრობა წარმოადგენს მთელი ესპანეთის ხალხის ურყევ ნებისყოფას, თუმცა ევროპის მთავრობებმა თავის ჩაურევლობის პაქტით იგი კანონს გარეშე დააყენეს.

ესპანეთის მთავრობა იძულებულია ომი აწარმოოს, თუმცა თვითონ იგი ომის შეგნებული მოწინააღმდეგეა, ხოლო ესპანეთის ხალხის მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ ჩაწერილია ესპანეთის ახალ კონსტიტუციაში.

მწარე ირონია გამოსჭვივის ამხ. ესბერის სიტყვებში, როდესაც იგი ლაპარაკობს ევროპის დემოკრატიის მიერ ესპანეთის ხალხისათვის გაწეულ „დახმარებაზე".

ჩვენ ასობით და ათასობით დეპეშებს გვიგზავნიან და თანაგრძნობასა და სოლიდარობას გვიცხადებენ. დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩვენ გვიგზავნიან აგრეთვე სწრაფი დახმარების ეტლებს და სანიტარულ ავტომობილებს. ეს ჩვენ გვაგონებს ამასწინდელ იტალია-აბისინიის ომს. დაჭრილთათვის შესახვევ საშუალებათა გამოგზავნის ნაცვლად უკეთესი იქნებოდა გამოეგზავნათ იარაღი, რათა ვიბრძოლოთ ფაშისტების წინააღმდეგ, ვინც ამ ჭრილობას გვაყენებს.

ევროპის დემოკრატიული ქვეყნები თავს არიდებენ ესპანეთის მთავრობისათვის დახმარების გაწევას იმ საბაბით, რომ არ გვსურს კანონების დარღვევაო, მაგრამ აქ არ შეიძლება იდგეს კანონიერების დარღვევის საკითხი, ვინაიდან, თუ მეგობარ ქვეყანას თავს ესხმიან მით უმეტეს შიგნიდან, მეორე მეგობარ ქვეყანას არავითარი საფუძველი არა აქვს უარი უთხრას დახმარებაზე. ნამდვილად კი ამ ქვეყნების საქციელი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმის შიშით, რომ მათ დახმარებას შეუძლია ომის გამოწვევა. მაგრამ ამავე დროს ისინი ივიწყებენ, რომ თუ ესპანეთში ფაშიზმმა გაიმარჯვა, ეს განუზომლად განამტკიცებს საერთაშორისო ფაშიზმს და მაშინ დემოკრატიას ასჯერ უფრო გაუძნელდება ფაშიზმთან ბრძოლა.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი, განა უმჯობესი არ არის გამანადგურებელი ლახვარი ახლა ჩავცეთ ფაშიზმს და არ შეგვეშინდეს პირდაპირ შევხედოთ საფრთხეს თვალში.

მიმართავს რა უცხოეთის მუშათა დელეგაციებს, ამხ. ესბერი ამბობს:

— მე დახმარებას ვთხოვ თქვენი ქვეყნების დემოკრატიას, იმიტომ, რომ ევროპის ხალხებმა დღემდე არ აღმოგვიჩინეს ჩვენ ეფექტური დახმარება.

ესპანეთის დელეგაცია იმიტომ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, რომ მადლობა გადაუხადოს საბჭოთა ხალხს იმ ძმური დახმარებისათვის, რომელსაც იგი ჩვენ გვიწევს სურსათისა და ტანისამოსის გამოგზავნით ესპანეთის ქალებისა და ბავშვებისათვის. საბჭოთა ხალხმა პირველმა გამოგვიწოდა ჩვენ სოლიდარობის ხელი, ვინაიდან მან გაიგო, რომ ჩვენი ბრძოლა მთელი პროგრესიული კაცობრიობის საქმეა. საბჭოთა კავშირში ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, რომ არა მარტო უფროსები, არამედ ბავშვებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ესპანეთის ამბებს. ბევრ მათგანს ჩვენ ვუნახეთ რუკები, რომლებზედაც ისინი აღნიშნავენ ესპანეთის ხალხის ბრძოლის თვითეულ ეტაპს. აქ ჩვენ მართლაც ჩვენს ძმებს ვხედავთ.

მიმართავს რა კალინინს, ამხ. ესბერი ამბობს:

— ლენინგრადში ჩვენ ვიყავით კიროვის სახელობის ქარხანაში. ამ ქარხანაში ვნახეთ დაზგა, რომელზედაც თქვენ მუშაობდით, როგორც პროლეტარი, როგორც მებრძოლი. ახლა თქვენ ამ ბრძოლას განაგრძობთ დიდი სტალინის გვერდით არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა, არამედ, მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებისათვის.

რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ თქვენთვის იმ დიდი დახმარების სამაგიეროდ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ესპანეთის ხალხს უწევს? ამბობს ამხ. ესბერი.

— ჩვენ ვაცხადებთ, რომ მივბაძავთ თქვენს დიდ მაგალითს და მისი მიბაძვით ჩვენ გავიმარჯვებთ. ეს სიტყვები ტაშის ქარიშხალში იძირება.

— როცა ესპანეთში დავბრუნდებით, გავუზიარებთ ჩვენს ხალხს იმ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩვენზე დიდმა სოციალისტურმა მშენებლობამ საბჭოების ქვეყანაში. ჩვენ თან წავიღებთ უდიდეს მადლობას იმათადმი, ვინც შეძლებისდაგვარად დახმარებას გვიწევს ჩვენს ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ.

კვლავ მიმართავს რა უცხოეთის მუშათა დელეგაციებს, ამხ. ესბერი ამბობს:

— მთელი მსოფლიოს მშრომელთა მთლიანი ფრონტის გულისათვის ჩვენ ვთხოვთ ეფექტური დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს კანონიერ მთავრობას, რომელიც არჩეულია მიმდინარე წლის 16 თებერვლის კონსტიტუციის ყველა კანონის მიხედვით, ვინაიდან მხოლოდ ამას შეუძლია თქვენი დემოკრატიის გადარჩენაც. გაიხსენეთ, რომ ბევრ ქვეყანაში დემოკრატია გასრესილი იყო მხოლოდ მის ხელმძღვანელთა სიმხდალის გამო. ჩვენ გამარჯვების შემდეგ სამაგიეროს გადაგიხდით ამ დახმარებისათვის.

— ჩვენ ვითხოვთ დახმარებას, მკაფიოდ ამბობს თვითეულ სიტყვას ამხ. ესბერი — მაგრამ იქნება ეს დახმარება თუ არა, ჩვენ სულერთია გავიმარჯვებთ. ჩვენ არა გვაქვს იარაღი, მაგრამ ჩვენ გვყავს ასი ათასობით თავდადებული მებრძოლი, რომლებიც მზად არიან თავიანთი მკერდით დაიცვან ესპანეთის ხალხის საქმე. თუ ჩვენ დღეს ვერ გავიმარჯვებთ — გავიმარჯვებთ ხვალ, თუ ხვალ არა,—გაიმარჯვებენ ჩვენი შვილები, მაგრამ ასე თუ ისე ჩვენ გავიმარჯვებთ. და დადგება დღე, როცა ჩვენ ჩამოვალთ აქ, რათა მადლობა გადავუხადოთ იმათ, ვინც ჩვენ ძმურად დაგვეხმარა.

— ეს ამაღლებული სიტყვები დარბაზში ტაშის გრიალს იწვევს გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ესპანეთის ხალხის გამარჯვებას!" „გაუმარჯოს თავისუფალი ესპანეთის მებრძოლთ!"

საფრანგეთის და ინგლისის დელეგაციების სახელით გამოდის საფრანგეთის მაღაროელთა კავშირის გენერალური მდივანი და მაღაროელთა ინტერნაციონალური ფედერაციის თავმჯდომარე ამხ. პიერ ვინკი.

ინგლისის მაღაროელთა სახელით იგი აცხადებს, რომ ისინი არ დააყოვნებენ იბრძოლონ პროფკავშირული ერთიანობისათვის და მუშათა კლასის პოლიტიკური ერთიანობისათვის, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშიზმს.

ინგლისელმა მაღაროელებმა, — ამბობს ამხ. ვინკი, — უკვე რამდენიმე თვის წინათ მიმართეს ტრედიუნიონთა კონგრესს პროფკავშირული და პოლიტიკური ერთიანობის მოთხოვნით. მათ ესმით მშვიდობიანობისათვის ფაშისტური მუქარის საფრთხე.

იმან, რაც ჩვენ აქ მ. ი. კალინინმა გვითხრა, მართლაც უნდა ჩაგვაფიქროს, როგორ შეიძლება არ დავეთანხმოთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, იმაში, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვიფიქროთ მუშათა კლასის ერთიანობაზე და იმაზე, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასთან ერთად ბრძოლით დავიცვათ დემოკრატიის თავისუფლება მთელს მსოფლიოში.

საფრანგეთის მუშათა კლასი სწრაფად ეხმაურება ესპანეთის ამბებს. საფრანგეთის მუშათა კლასი ცდილობს, დაეხმაროს ესპანეთის ხალხს. შეძლებისდაგვარად ჩვენ განვაგრძობთ დახმარებას კიდევ უფრო მეტი ძალით და იმის რწმენით, რომ მათი საქმე მართალი საქმეა. შრომის საყოველთაო კონფედერაციას მოვთხოვეთ აღიაროს, რომ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა ნამდვილად იწვევს ესპანეთის ხალხის მოსპობას.

ამხ. ვინკი მიუთითებს, რომ სახალხო ფრონტის აქტიური მოქმედების წყალობით საფრანგეთში ფაშიზმმა უკან დაიხია, მაგრამ იგი არ არის მოსპობილი. თუ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, საჭიროა დაუყონებლივ დაიშალოს ფაშისტური ლიგები.

—ვტოვებთ რა საბჭოთა კავშირს, — ამბობს ამხ. ვინკი, — პირობას გაძლევთ, რომ ჩვენს სამშობლოში გადავცემთ თქვენს გრანდიოზულ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენ შეიძლება გვქონდეს ესა თუ ის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ პატიოსნად შევასრულებთ დაპირებას — ვიბრძოლოთ ფაშიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ძმობისათვის.

მისი სიტყვა დამსწრეთა მქუხარე ტაშს იწვევს. ამით დამთავრდა საერთო საუბარი. 15 წუთის განმავლობაში მიხეილ ივანეს-ძე კიდევ ესაუბრება ესპანეთის დელეგატებს, შემდეგ საფრანგეთის დელეგატებს, მათთან ერთად სურათს იღებს და, მაგრად ართმევს რა ყველას ხელს, სტოვებს დარბაზს.

საქ. საბჭოების VIII ყრილობა

15 ნოემბერს, დღის 12 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიხსნება სრულიად საქართველოს საბჭოების მე-8 ყრილობა.

დღის წესრიგი

1) მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის სტალინურ პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ. მომხს. — ამხ. **ფ. მახარაძე.**

2) სსრ კავშირის საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობისათვის დელეგატების არჩევა.

15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, იმავე შენობაში შესდგება ყრილობის დელეგატების პარტჯგუფის სხდომა.

ყრილობაზე შესვლა სადელეგატო მანდატებით, ა-კ. ცაკის და საქ. ცაკის წევრები შევლენ საწევრო ბილეთებით.

სსრ ცაკის მდივანი
თ. ჟღენტი.

ამხ. კობა ჩოხელი

ზემო ქედის კოლმეურნეობის (სიღნაღის რაიონი) ორდენოსანი თავმჯდომარე, საქ. საბჭოების VIII ყრილობის დელეგატი.

ისტორიული ყრილობა

ორდენოსანი საქართველოს განახლებულ დედაქალაქში — ტფილისში დღეს იკრიბება სრულიად-საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა.

ჩვენი რესპუბლიკა თვალსაჩინო მიღწევებით მოვიდა ამ ისტორიულ ყრილობაზე, რომელიც განიხილავს სოციალიზმის ეპოქის უდიდეს დოკუმენტს — სტალინის გენიის ქმნილებას, — ახალი კონსტიტუციის პროექტს.

გამარჯვებული სოციალიზმის ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში, როგორც სარკეში გამოხატულია საბჭოთა კავშირის ხალხთა მონაპოვრები.

მთელმა მოწინავე, პროგრესიულმა მსოფლიომ ამ დოკუმენტშიაც თვალნათლივ დაინახა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, სადაც ნამდვილად, წარმატებით ხორციელდება ხალხის შეუზღუდველი დემოკრატიული უფლებები და სადაც უკვე ხორცი შეისხა ძველად ჩაგრულთა და გაყვლეფილთა მილიონების ოცნებამ ბედნიერ მომავალზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი საქართველოს მუშები და კოლმეურნეები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლებიც დღეს იკრიბებიან VIII ყრილობაზე, სტალინური კონსტიტუციის პროექტში ხედავენ თავიანთ ნათელ, ბედნიერ აწმყოს, სოციალიზმის მზით გამთბარ და სტალინის გენიით განათებულ სასიხარულო, საამურ დღევანდელ ცხოვრებას.

სოციალიზმმა შესცვალა საბჭოთა საქართველოს სახე, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირისა. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის, ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის სწორად, განუხრელად, ბოლშევიკურად განხორციელების საფუძველზე, საბჭოთა საქართველო იქცა მოწინავე ორდენოსან რესპუბლიკად, იქცა ინდუსტრიულ - აგრარულ ქვეყნად.

თვალს ახარებს საქართველოს ინდუსტრიული პეიზაჟი! ჩვენი ქვეყანა დღეს ინდუსტრიული გიგანტებით არის მოფენილი. საქართველოში შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. მოეწყო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სრულიად ახალი (მანქანათმშენებლობის, ქიმიური, სამშენებლო, საფეიქრო და სხვ.) დარგები, აშენდა და ამუშავდა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, ლითონის კონსტრუქციებისა და ფოლადჩამომსხმელი ქარხნები, საკონსერვო და შაქრის ქარხნები, საფუძველი ჩაეყარა ოქროს და დარიშხანის მრეწველობას, ფართოდ ვითარდება ბარიტისა და გუმბრინის წარმოება.

საქართველოს მრეწველობის პროდუქცია იზრდება ნამდვილად ბოლშევიკური ტემპებით. თუ 1928 წელს ეს პროდუქცია გამოიხატა 70 მილიონ მანეთში, მიმდინარე წელს იგი 786 მილიონ მანეთს მიაღწევს. ამას მოჰყვა სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა, რამაც წელს 71 პროცენტს მიაღწია.

სოციალისტური რეკონსტრუქციის ტრაქტორმა ღრმად გადახნა საქართველოს მინდორ-ველები. დღეს კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობათა უკვე 74,4 პროცენტია გაერთიანებული. ძირეულად შეიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სახე. ჩაი, თამბაქო, ციტრუსები ვენახი — აი ის კულტურები, რომელიც მტკიცედ დაინერგა საკოლმეურნეო სოფელში. კოლმეურნე გლეხობა დაადგა შეძლებული ცხოვრების გზას.

სოციალისტური მიწათმოქმედების ჩქარი აღმავლობის მაჩვენებელია ის საყურადღებო ფაქტი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაიზარდა 180 მილიონი მანეთიდან (1931 წ.) 286 მილიონ მანეთამდე (1936 წ.). საქართველოს კოლმეურნენი, საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მედგრად იბრძვიან დიდი ბელადისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის იმ მითითების განსახორციელებლად, რომელიც ჰგულისხმობს საქართველოში ჩაის, ციტრუსების და ვენახის ფართოდ, ყოველმხრივ განვითარებას მათი მოსავლიანობის გადაჭრით გადიდებას. საქართველოს ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ იმ ბრძოლას, რომელმაც ჭაობებსა და ჭანჭრობს უკვე გამოსტაცა და მომავალში კიდევ გამოსტაცებს ნოყიერი მიწის მრავალ ათას ჰექტარს, სადაც სულ მალე აყვავდება ახალი საკოლმეურნეო სოფლები.

ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები სოციალისტური მშენებლობის სხვა ფრონტებზე, კერძოდ კულტურის ფრონტზე. ქართულმა მწერლობამ, თეატრმა, კინომ, მუსიკამ, მხატვრობამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სახით ჰპოვა ნამდვილი მოამაგე. საბჭოთა კულტურის ყველა დარგი მიდის უმაგალითო აყვავების გზით.

ამ უდიდეს მიღწევებს უშუალოდ გრძნობს და განიცდის საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელიც მეზობელ და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ერებთან ძმურ კავშირში ცხოვრობს და მუშაობს. ყველა ამ მიღწევას, რასაც ასე მკაფიოდ ასახავს სტალინური კონსტიტუციის პროექტი, საქართველოს მშრომელები უმადლიან ლენინ-სტალინის პარტიას, უმადლიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა გენიალურად მიჰყავს სახელოვანი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

საქართველოს ხალხი, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაადგა ნამდვილი აყვავების გზას, კარგად გრძნობს იმ დიდ უფლებას და მოვალეობას, რასაც მას სტალინური კონსტიტუციის პროექტი ანიჭებს. იგი კარგად გრძნობს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რასაც მას აკისრებს საბჭოთა საქართველოს გახდომა მოკავშირე რესპუბლიკად.

ეს არის უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტი. საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც მხოლოდ დიდ საბჭოთა კავშირში ჰპოვეს ნამდვილი თავისუფლება, ეს ფაქტი ავალებს კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მეტი შეუპოვრობით განაგრძონ ბრძოლა სოციალიზმის ყველა ფრონტზე და მუდამ სახელოვნად იარონ მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკების რიგებში.

თესვის გეგმის შესრულება

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას

სიღნაღის რაიონმა შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა: დათესილია 44.519 ჰექტარი ანუ 1.000 ჰექტარით მეტი შარშანდელთან შედარებით. 50 პროცენტი დათესილია მწკრივად. აქედან 11 პროცენტი ჯვარედინი თესვით.

ხარისხოვანი თესლით დათესილია პურეულის მთელი საგეგმო ფართობის 95 პროცენტი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე თქვენი მითითების განხორციელებისათვის ბრძოლაში მოსავლიანობის გასადიდებლად დიდი ენერგია და საქმისადმი ერთგულება გამოიჩინეს აგრონომებმა: აბრამიშვილმა, გურგენიძემ, კოხრეიძემ, გოგიტიძემ, ჯაფარიძემ, ბალანჩივაძემ, ლანდიამ, სეპაშვილმა და კოპინაშვილმა.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ა. **წითლიძე.**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე შ. **ალავერდაშვილი.**

სტალინური კონსტიტუცია

ამხ. ფილიპე მახარაძის სტატია

დღეს, 15 ნოემბერს, გაიხსნება სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა, რომელზედაც განიხილება საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუცია, 25 ნოემბერს შესდგება საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო ყრილობა, რომელზედაც საბოლოოდ განხილულ და დამტკიცებულ იქნება ეს კონსტიტუცია.

მთელი ხუთი თვე გრძელდება სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განხილვამ გამოიწვია ყველგან, საზოგადოების ყველა ფენაში, უდიდესი ინტერესი, აღფრთოვანება და შრომითი ენტუზიაზმი.

საკავშირო კონსტიტუციის ახალი სტალინური პროექტი აჯამებს საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ უდიდეს წარმატებებს და გამარჯვებებს სოციალისტური მეურნეობის და კულტურული განვითარების ყველა დარგში, ამაგრებს ამ წარმატებებს და შლის განვითარების კიდევ უფრო დიდ და ბრწყინვალე პერსპექტივებს საბჭოთა კავშირის ხალხთა წინაშე. თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ქვეყნის ამ ახალ დოკუმენტს აქვს უდიდესი მნიშვნელობა აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთათვისაც, რომლებიც იბრძვიან კაპიტალის მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

რასაც მუშათა კლასის გენიოსი იდეოლოგები და მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი 88 წლის წინათ წინასწარმეტყველებდნენ **„კომუნისტურ მანიფესტში"** კომუნისტური საზოგადოების დამყარების შესახებ, ის დღეს უკვე ხორციელდება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში — საბჭოთა კავშირში. სტალინური კონსტიტუცია წარმოადგენს სწორედ ამის ცოცხალ და უტყუარ დამამტკიცებელ საბუთს. ეს კონსტიტუცია აგებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად პრინციპებზე და წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას. იგი არის კონსტიტუცია გამარჯვებული პროლეტარიატისა, რომელმაც დაამყარა პროლეტარული დემოკრატია, ე. ი. ნამდვილი, ხალხური დემოკრატია: ლენინი ერთ თავის წერილში („წერილი ამერიკის მუშების მიმართ") ამბობდა: „მუშებისა და გლეხების საბჭოები—ეს არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, დემოკრატიის ახალი უმაღლესი ტიპი, ის არის პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა, სახელმწიფოს მართვის წესი **უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ**. პირველად ემსახურება დემოკრატია აქ მასებს, მშრომელებს, და აღარ წარმოადგენს დემოკრატიას მდიდრებისათვის"... აი, ასეთ დემოკრატიას აფორმებს ახალი სტალინური კონსტიტუცია მთელი თავისი პირდაპირობით და თანმიმდევრობით.

ცნობილია, რომ ბურჟუაზია თავისი აღმავლობის ხანაში (XVII-XVIII საუკ.) საჯაროდ აღიარებდა დემოკრატიის პრინციპებს, ე. ი. იმას, რომ ხელისუფლების წყარო და მატარებელი სახელმწიფოში არის ხალხი, რომ ყველა ადამიანები თანასწორი არიან, რომ ისინი იბადებიან და რჩებიან თავისუფალი. თუმცა ყოველივე ამას ბურჟუაზია აღიარებდა და თავის კონსტიტუციაშიაც შეჰქონდა სათანადო მუხლები, მაგრამ არასოდეს მას დემოკრატიის პრინციპების განხორციელებაზე სინამდვილეში არ უფიქრნია. ამიტომ ყველა ეს დეკლარაციები დარჩა მხოლოდ ქაღალდზე, ხალხის მოსატყუებლად. ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბე თავის დროზე გამოაშკარავეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა. ლენინი ზემოთ დასახელებულ წერილში ასე ახასიათებდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას: „ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც დიდი ისტორიული პროგრესი იყო საშუალო საუკუნეებთან შედარებით, ყოველთვის რჩება — და კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება არ დარჩეს — ვიწრო, კუდმოკვეცილ ყალბ, თვალთმაქც, დემოკრატიად, სამოთხედ მდიდრებისათვის, მახედ და მოტყუებად ექსპლოატირებულთათვის, ღარიბთათვის", და სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ყოველივე კლასობრივ საზოგადოებაში და, მასასადამე, ბურჟუაზიულშიაც, სადაც უმცირესობა ბატონობს უმრავლესობაზე, სადაც ადამიანი იჩაგრება ადამიანის მიერ, სადაც წარმოების საშუალებები და იარაღები (მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, შახტები, ტრანსპორტი და სხვ.). კერძო მესაკუთრეთა ხელშია, სადაც უმუშევრობა მძვინვარებს, შეუძლებელია მშრომელნი სინამდვილეში სარგებლობდნენ თანასწორობით და თავისუფლებით კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად, თუმცა სიტყვით, ქაღალდზე თანასწორობა და თავისუფლება აღიარებულია. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ თუნდაც ერთი წუთით, რომ კაპიტალისტი ან მემამულე ერთი მხრით, და დაქირავებული მუშა მეორე მხრით, თანასწორი უფლებით სარგებლობდნენ, თუნდაც კონსტიტუციაში აღიარებული იყოს „ძმობა, ერთობა, თანასწორობა", ან, როგორც განაცხადა ამხანაგ სტალინმა როი ჰოვარდთან საუბრის დროს, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ უმუშევარი რაიმე თავისუფლებით სარგებლობდეს სინამდვილეში! ამიტომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, რა გინდ ის დემოკრატიული იყოს, შეუძლებელია ლაპარაკი საყოველთაო თანასწორობაზე და ნამდვილ თავისუფლებაზე, თანასწორობით და თავისუფლებით იქ სარგებლობდნენ და სარგებლობენ მხოლოდ მდიდრები, კაპიტალისტები და მემამულეები.

ეს კიდევ არაფერი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს არცერთი კონსტიტუცია, გარდა ინგლისისა*), არ სცნობს ქალის თანასწორობას მამაკაცთან; ავიღოთ, მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც ყველაზე მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება. ქალი იქ სრულიად მოკლებულია საარჩევნო უფლებას. არანაკლებ ბოროტებას აქვს ადგილი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში დაპყრობილი ერების მიმართ, განსაკუთრებით კოლონიურ და ნახევარ-კოლონიურ ხალხთა მიმართ, რომლებიც არათუ არ სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და რაიმე თავისუფლებით, არამედ ნამდვილ მონურ მდგომარეობას განიცდიან. თუ ასეთი მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ბურჟუაზიული დემოკრატია, რაღა უნდა ვთქვათ იმ ქვეყნებზე, სადაც ფაშისტური ბურჟუაზიის სისხლიანი დიქტატურაა შემოღებული და სახელმწიფო მართველობის მეთოდად მიღებულია თეთრი ტერორი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის შემდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხდება ბურჟუაზიული დემოკრატიის თანდათანი და სწრაფი ლიკვიდაცია, ე. ი. გაუქმება პარლამენტარული წესწყობილებისა და სახელმწიფო მმართველობის ხელში ჩაგდება ფაშისტების მიერ. ამნაირად ბურჟუაზიული დემოკრატიის ადგილს იჭერს, ზოგან კი უკვე დაიჭირა კონტრრევოლუციური ფაშისტური ბურჟუაზიის დიქტატურამ.

მაგრამ ფაშისტური დიქტატურის ბედი ხომ სავსებით დამოკიდებულია კაპიტალიზმის არსებობაზე, რომლის წინააღმდეგ იბრძვის მუშათა კლასი ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში. მოისპობა თუ არა კაპიტალის სისხლიანი ბატონობა მუშათა კლასზე, მაშინვე გაიმარჯვებს მუშათა კლასი, განხორციელდება ნამდვილი დემოკრატია. ასე მოხდა საბჭოთა კავშირში, სადაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო კაპიტალის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა მუშების და გლეხების საბჭოების სახით. ამით ჩაეყარა საძირკველი ნამდვილ დემოკრატიას, რომელიც პირველად ისტორიაში ემსახურება ხალხის დიდ უმრავლესობას.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ არათუ სიტყვით აღიარა ადამიანთა თანასწორობა განურჩევლად ეროვნებისა, რასისა და სქესისა, არამედ საქმით შეუდგა ამის განხორციელებას ცხოვრებაში. პირველ ხანებში, როცა კონტრრევოლუციური კლასები, კაპიტალისტები და მემამულეები, იმათი პოლიტიკური პარტიები და დამქაშები კონტრრევოლუციურ მეშშევიკრებამდე, გააფთრებით ებრძოდნენ პროლეტარიატს, როგორც აშკარად, ისე ფარულად, მავნებლობით და საბოტაჟით, პროლეტარული სახელმწიფო იძულებული იყო შეეზღუდა დემოკრატიის გამოყენება, რადგანაც პირდაპირ სისულელე იქნებოდა თავისი მტრებისათვის იმ უფლებების მინიჭება, რომლებითაც თვით პროლეტარიატი სარგებლობდა, ე. ი. გადაეცა მათთვის იარაღი, რომელსაც ისინი, რა თქმა უნდა, არ დაიშურებდნენ მაშინვე პროლეტარიატის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. საუცხოოდ ახასიათებს ამ მომენტს ამხ. ლენინი შემდეგ სიტყვებში:

„საბჭოთა ხელისუფლება აქრობს ექსპლოატატორებისა და იმათი დამხმარებლების „თავისუფლებას", იგი ართმევს მათ ექსპლოატაციის „თავისუფლებას", სიმშილზე ხელის მოთბობის „თავისუფლებას", კაპიტალის ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლის „თავისუფლებას", უცხოეთის ბურჟუაზიასთან შეთანხმების „თავისუფ- [illegible]

პლოატატორული კლასები (ეს კლასები ჩვენში უკვე ლიკვიდირებულია), როგორც ქალაქად, ისე სოფლად საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. კონტრრევოლუციური კლასები საბჭოთა კავშირში განადგურებულია და ამასთან დაკავშირებით ძირეულად შეიცვალა კლასების ურთიერთობა. „ჩვენში—განაცხადა ამხანაგ სტალინმა როი ჰოვარდთან საუბრის დროს—არ არსებობენ ერთიმეორის დამპირისპირებელი კაპიტალისტთა კლასი და კაპიტალისტთა მიერ ექსპლოატირებული მუშათა კლასი. ჩვენი საზოგადოება შესდგება მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის და სოფლის თავისუფალ მშრომელებისაგან—მუშებისაგან, გლეხებისაგან, ინტელიგენციისაგან... იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ჩვენ შევქმენით, შეიძლება ეწოდოს საზოგადოების საბჭოთა, სოციალისტური, ჯერ კიდევ არამთლად აშენებული, მაგრამ თავისი ფესვებით სოციალისტური ორგანიზაცია". ამ შესანიშნავ სიტყვებში ნათლად და მკაფიოდ დახასიათებულია სტრუქტურა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირში, ერთი მხრით, პროლეტარული რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებისა და, მეორე მხრით, სოციალიზმის წარმატებითი შენების შედეგად.

ამნაირად საბჭოთა კავშირში აღარ არსებობენ ერთი მეორის მოპირდაპირე კლასები, აღარ არსებობს საფუძველი და პირობა იმათი არსებობისა, ვინაიდან მოსპობილი და გაუქმებულია კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და იარაღებზე. მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ყვლეფა, ექსპლოატაცია. მაგრამ ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში აღარაა ერთი მეორის მოპირდაპირე კლასები: ერთი მხრით კაპიტალისტების კლასი და მეორე მხრით ექსპლოატირებული მუშების კლასი. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ კლასები საერთოდ უკვე სრულიად მოისპენ. მოისპო და აღმოფხვრილია ჩვენში ექსპლოატატორთა კლასი: კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები. მეორე მხრით, თანდათან [illegible]

არ მოსპობილა. ამიტომ რამდენადაც არსებობს განსხვავება მუშებსა და საკოლმეურნეო გლეხობას შორის, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენში კლასები უკვე სრულიად აღარ არსებობენ. მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენი წარმოადგენენ თავისუფალ მშრომელებს, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე ინტერესები და მათ შორის არ არის კლასობრივი წინააღმდეგობა. ამიტომ საბჭოთა კავშირმა უკვე მიაღწია იმ საფეხურს, როცა საბჭოთა რომელიმე კატეგორიის მოქალაქეთათვის საჭირო იყოს რაიმე უპირატესობის შენახვა. უკვე დადგა დრო, როცა შესაძლებელია და საჭიროა სრული დემოკრატიის ცხოვრებაში გატარება. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა მოქალაქეების საარჩევნო უფლებებს, სტალინური კონსტიტუციის პროექტის მეთერთმეტე თავს, სადაც ლაპარაკია საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ არჩევნებზე საიდუმლო ხმის მიცემით. მიუხედავად რასისა და ეროვნებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული მოღვაწეობისა. სტალინური კონსტიტუცია ითვალისწინებს ყოველივე შეზღუდვის გაუქმებას ამ მხრით. ასეთი არჩევნები არ იცის არცერთმა კონსტიტუციამ დედამიწაზე. ეს შეიძლება მხოლოდ გამარჯვებული მუშათა კლასის ქვეყანაში, სადაც საზოგადოება შესდგება თავისუფალ მშრომელებისაგან.

ყოველივე ეს გენიოსურად გაითვალისწინა ამხანაგ სტალინმა, როცა მისი ინიციატივით საბჭოების VII საკავშირო ყრილობაზე შეტანილ იქნა წინადადება არსებული კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა და გამოიყო კომისია თვით ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით. პრო- [illegible]

ამავე დროს სტალინური კონსტიტუცია თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია უდიდესი **მზრუნველობით ადამიანზე.** ეს გარემოება [illegible] დამახასიათებელია სტალინური კონსტიტუციისათვის. სოციალიზმის მოწინააღმდეგეები და მტრები ყოველთვის გაიძახოდნენ და დღესაც გაიძახიან, ვითომც სოციალიზმისთვის არ არსებობდეს ცალკეული ადამიანები, ვითომც მათი პირადი ინტერესები მსხვერპლად ეწირებოდეს საერთო ინტერესებს. არა, გვეუბნებიან ამხანაგები ლენინი და სტალინი, სოციალიზმი აერთებს საზოგადო და პირად ინტერესებს. საჭიროა ზრუნვა როგორც საზოგადო და საერთო ინტერესებზე, ისე ცალკეულ ადამიანებზედაც, ვინაიდან თვით სოციალიზმის ინტერესები მოითხოვს, რათა ცალკეულ ადამიანებს მიეცეთ ფართო გასაქანი და სრული შესაძლებლობა ინიციატივისა და თავისუფალი შემოქმედებისათვის. ამიტომაც სტალინური კონსტიტუცია ღირსეულად უპასუხებს სოციალიზმის ყველა გამყალბებელ - დამმახინჯებლებს, როცა ის ითვალისწინებს მზრუნველობას ადამიანის მიმართ.

თავის საუბარში უელსთან ამხანაგ სტალინმა ასე გამოხატა ეს აზრი, რომელიც შემდეგში ბრწყინვალედ იქნა ჩაქსოვილი ახალ კონსტიტუციაში: „კოლექტივიზმი, სოციალიზმი—არ უარჰყოფს, არამედ ათავსებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან. სოციალიზმს არ შეუძლია აიცილოს თავიდან ინდივიდუალური ინტერესები. ამ პირად ინტერესების სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას".

აქედან ვხედავთ, რომ პირადი და საზოგადო ინტერესების შეთავსება არათუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა სოციალისტურ საზოგადოებაში.

დასასრულ, აქ მე მინდა შევჩერდე სტალინური კონსტიტუციის მეათე თავზე, სადაც ლაპარაკია მოქალაქეთა ძირითად **უფლებებსა და მოვალეობებზე.**

რა თქმა უნდა, ვერცერთ ბურჟუაზიულ კონსტიტუციაში ვერ ნახავთ რასმე მის მსგავს, რაც მოიპოება საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის ხსენებულ თავში. გარანტირებული უფლება შრომისა, დასვენებისა, განათლებისა, მოხუცებულობის დროის უზრუნველყოფისა, რაც აქ აღიარებულია, ყოველივე ეს რეალურად ხორციელდება სინამდვილეში და ამ უფლებების სავსებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში. აღჭურავს რა მოქალაქეთ ასეთი უდიდესი უფლებებით, სტალინური კონსტიტუცია ამავე დროს აკისრებს იმავე მოქალაქეებს შემდეგ ძირითად მოვალეობებს საკავშირო კონსტიტუციის დაცვას, კანონების ასრულებას, შრომის დისციპლინის დაცვას, პატიოსან მოპყრობას საზოგადოებრივ მოვალეობისადმი სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემას (მუხლი მე-130). საბჭოთა კავშირის მოქალაქის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების მოვლა და განმტკიცება (მუხლი მე-131). სხვა მოვალეობებიც აწევს საბჭოთა მოქალაქეს, მაგრამ მე აქ განგებ ხაზს ვუსვამ განსაკუთრებით დასახელებულ მოვალეობებს. თუ ამ მხრით მივუდგებით ჩვენს მდგომარეობას, უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ დიდი ნაკლულოვანებები გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრგან ადგილი აქვს საბჭოთა კანონების დარღვევას, ან ამ კანონების და თავის მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, აგრეთვე [illegible] საკუთრების განიავებას და [illegible] კანონების დარღვევისადმი, [illegible] ზოგიერთ საბჭოთა [illegible] მხრით ადამიანის მიმართ. აი რას სწერდა ამასწინათ გაზ. „პრავდა" ერთ-ერთ თავის მოწინავე წერილში: „პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალისტური ცხოვრების წესებს, — ეს იგივე პრინციპებია, რომლებითაც გამსჭვალულია სტალინური კონსტიტუცია, ახალი ქვეყნის კონსტიტუცია. ესაა იდეური ბოლშევიკური სიმხურვალე, მგრძნობიარე სტალინური მიდგომა ადამიანისადმი, ამხანაგისადმი ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოებისათვის, საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვა, ყველა ეროვნებათა თანასწორობა, მამაკაცების და ქალების თანასწორობა, პატივისცემა მოხუცებულობისადმი, ამხანაგური დახმარება, ვინც ამას საჭიროებს, ფრთხილი მიდგომა ბავშვებისადმი და იმათი აღზრდა კომუნისტურად" შემდეგ იქვე ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი დარღვევა გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრნი არიან, ვინც არღვევს სოციალისტური ცხოვრების წესებს. ჩვენს საზოგადოებაში კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც გვიჩვენებენ თავიანთ საზიზღარ სახეებს, გამოსულები სხვა ქვეყნიდან, კაპიტალიზმის ნარჩენები: მიდგომა ქალებისადმი, როგორც საკუთრებისადმი, როგორც დაბალი არსებისადმი, არაადამიანური, არა მგრძნობიერი მიდგომა ბავშვებისადმი, ადამიანისადმი და სხვ. და სხვ. ესენი. ქურდულად შემოპარულნი არიან ჩვენს საზოგადოებაში. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების გაწმენდა იმათგან. საჭიროა ცეცხლით განადგურება კაპიტალიზმის ამ ნარჩენთა შეუპოვარ ბრძოლაში, თვითკრიტიკის ბოლშევიკურ ცეცხლში. სოციალისტური საზოგადოებიდან, რომელზედაც ლაპარაკობს დიდი სტალინური კონსტიტუცია, უნდა განიდევნოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ახალი ცხოვრების მშენებლობას და აყვავებას".

ყოველივე ეს სრული სიმართლე და ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, სტალინური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ჩვენში ამ გარემოებას თითქმის სრულებით არ ექცეოდა ყურადღება. ნაკლები იყო ან თითქმის სრულებით არ იყო თვითკრიტიკა და ბრძოლა კაპიტალიზმის ნარჩენების წინააღმდეგ, რომლებიც გვიჩვენებენ თავის საზიზღარ სახეს შრომის დისციპლინის დარღვევაში, რევოლუციური კანონების შეუსრულებლობაში, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვასა და განიავებაში, ქალების დამცირებაში, ბავშვების მიმართ უღიერად მოპყრობაში და სხვ. და სხვ. ახალი სტალინური კონსტიტუციისადმი ფორმალური მიდგომა არ უნდა იყოს. ამ კონსტიტუციას უნდა მიეცეს აგრეთვე **ფართო აღმზრდელობითი მნიშვნელობა.** მასზე უნდა აღვზარდოთ ახალი თაობები. მაგრამ ძველმა თაობამაც უნდა ისწავლოს იქიდან. შრომის დისციპლინის და სოციალისტური საკუთრების დაცვა, ყველა ერის თანასწორობა, მამაკაცის და ქალის თანასწორობა, მზრუნველობა ბავშვებზე და სხვ. თვითეული მოქალაქის მოვალეობად უნდა გადაიქცეს. უფლება გულისხმობს მოვალეობას და, პირიქით. თუ გვსურს უფლება გვქონდეს, უნდა ვიზრუნოთ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე. ვინც არ ასრულებს ამ პირობას, იგი არ შეიძლება საბჭოთა მოქალაქე იყოს. ამაშია აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა და აზრი სტალინური კონსტიტუციისა.

წითელი წყაროს (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობა „შრომის" მეძროხეობის ფერმის მწყემსებს [illegible] უკითხავს სტალინური კონსტიტუციის პროექტს.

ს. გოდაბრელიძე

საქ. სახგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს ინდუსტრია

ათეული და ასეული ახალი წარმოების შექმნისა და ძველის მთლიანი რეკონსტრუქციის და მნიშვნელოვანი გაფართოვების შედეგად საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ ინდუსტრიას ამჟამად აქვს შემდეგი მსხვილი დარგები: ელექტრომრეწველობა, ნავთის გადამმუშავებელი მრეწველობა, ნახშირის, მარგანეცის, ელექტრო მეტალურგიის (ფერო შენადნობნი) და იშვიათი ლითონების, ოქროსი, დარიშხანის, მინერალურ-სამადნოსი, მანქანათმშენებლობის, ქიმიურის, საშენი მასალების, სატყეო და ქაღალდის, აბრეშუმის, მაუდის და ბამბის ქსოვილების, სამკერვალოსი, ტყავის და ფეხსაცმლის, შუშის, ჩაის, კონსერვის, თამბაქოს და სხვა.

მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა ისეთი მასშტაბით, რომ მისი დონე მიმდინარე წელს 38-ჯერ მეტია, ვიდრე მენშევიკობის დროს იყო. ფრიად დამახასიათებელ სურათს იძლევა მთელი საბჭოთა კავშირის და ცალკე საბჭოთა საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ზრდის შედარებითი ციფრები: (1926 — 1927 წ. უცვლელ ფასებში, მილიონ მანეთობით):

წლები	საბჭოთა კავშირი	საქართველო
1913	10251	29
1928	16833	70
1932	38846	420
1935	62136	640
1936*)	77000	768

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, რომ 1913 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირში მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 7 ½-ჯერ, საქართველოში — 26 ½-ჯერ. ეს ციფრები საუკეთესო გამომხატველია იმ პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს წინათ ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილ ახალ წარმოებათა და მთლიანად რეკონსტრუირებულ წარმოებათა პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენს 97,2 პროცენტს, ესე იგი ძველი წარმოებები იძლევიან მთელი პროდუქციის მხოლოდ 2,8 პროცენტს. აქედან სავსებით აშკარა ხდება, რომ მსხვილი მრეწველობა საქართველოში შექმნილია მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების დროს. პირველ ხუთწლედში და მეორე ხუთწლედის ოთხ წელში საქართველოს სოციალისტური მრეწველობის მშენებლობაზე (ელექტროფიკაციის ჩათვლით) დახარჯულია ფრიად დიდი თანხა — 1,1 მილიარდი მანეთი.

მომავალ 1937 წელში, წინასწარი ვარაუდით, საქართველოს მსხვილი მრეწველობა მოგვცემს 900 — 950 მილიონი მანეთის პროდუქციას. თუ ამას დავუმატებთ წვრილი მრეწველობის პროდუქციას, მომავალ წელში ჩვენ მივიღებთ ერთ მილიარდზე მეტი მანეთის პროდუქციას, ე. ი. იმის მეათედ ნაწილს, რასაც 1913 წელს იძლეოდა მთელი რუსეთის იმპერიის ვეებერთელა ტერიტორიაზე არსებული მრეწველობა.

მეორე ხუთწლედის გეგმით საბჭოთა საქართველოს მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1937 წელში უნდა გაზრდილიყო 604 მილიონამდე. ფაქტიურად ჩვენ ამ დონეს უკვე მიმდინარე წელს საგრძნობლად გადავაჭარბებთ.

საბჭოთა საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად რომ გადაიქცა, ეს სჩანს იქიდან, რომ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა 1925 წელს 21,7 %, მიმდინარე წელს კი უდრის 71 პროცენტს. მრეწველობის ხვედრითი წონის ასეთი დიდი ზრდა მით უფრო აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენში ამავე პერიოდში დიდი მასშტაბით განვითარდა, განსაკუთრებით ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების დარგში (ჩაი, ციტრუსები, თამბაქო და სხვ.). მარტო 1931 — 1936 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქცია (უცვლელ ფასებში) 180 მილიონი მანეთიდან 286 მილიონ მანეთამდე გაიზარდა.

ამჟამად საქართველოს მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულია 65 ათასი და მშენებლობაში 49 ათასი კაცი, მაშინ როცა საბჭოთა ხელისუფლებამდე მრეწველობაში ჩაბმულთა რიცხვი 8—12 ათასს უდრიდა.

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენს ენერგეტიკა, რომლის განვითარება ჩვენში მაღალი ტემპით მიმდინარეობს. ლენინი ელექტროფიკაციის გეგმას სთვლიდა პარტიის მეორე პროგრამად. „გოელროში" გამოხატულ ლენინის გენიალურ იდეას მტრები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და ტროცკისტები, დასცინოდნენ, „ელექტროფიქციას" ეძახდნენ. ტროცკისტი შატუნოვსკი ამტკიცებდა, რომ „ეს გეგმა, ნავარაუდევი განსახორციელებლად ათი წლის განმავლობაში, შეიძლება არ განხორციელდეს 40 წელიწადს, ჩვენ კი ვერ გავძლებთ ხუთ წელსაც". დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით „გოელროს" გეგმა გადაჭარბებით განხორციელდა: ნაცვლად დასახული 8,8 მილიარდი კილოვატ-საათის გამომუშავებისა, საბჭოთა კავშირი მიმდინარე წელს გამოიმუშავებს 32 მილიარდს (ოთხჯერ მეტს, ვიდრე „გოელროს" გეგმით იყო დასახული).

ელექტროენერგიის გამომუშავების დინამიკა საბჭოთა კავშირში მთლიანად და ცალკე საქართველოში ასეთ სურათს იძლევა:

ელექტროენერგიის გამომუშავება კილოვატ-საათობით (მილიონებში)

წლები	საბჭოთა კავშირი	საქართველო
1913	1900	20
1928	5000	40
1935	25900	340
1936*)	32000	438

*) მოსალოდნელი შესრულება გეგმის მიხედვით.

ამ ცხრილიდანაც ნათლად სჩანს ელექტრო მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტენდენცია. მთელ კავშირში ომისწინადროინდელ დროსთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 16-ჯერ, საქართველოში კი 28-ჯერ.

საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკის უდიდესი ზრდის უაღრესად შესამჩნევ ბაზას წარმოადგენს ჰიდრავლიკური ენერგიის იშვიათი სიმდიდრე.

საბჭოთა ელექტრონის შუქი, წვრილი ჰიდროსადგურების მშენებლობის შედეგად, ანათებს ისეთ წინათ მივარდნილ ადგილებს, როგორიცაა ლენტეხი (ქვემო სვანეთი), ლიხაური და ბახვი (გურია), ონი, საკაო და შოვი (რაჭა), ვანი, ზნაური და სხვ. მთავრდება ჰიდროსადგურების მშენებლობა ზემოსვანეთში (მესტია), ამბროლაურის რაიონში (რიცეულის ჰიდროსადგური), ბაშკიჩეთის რაიონში, დეირში (ბორჯომის რაიონი), ლორეშაში, კინჩხაში (ხონის რაიონი), ცაგერში, თიანეთში. ლუქსემბურგის რაიონში, ადიგენში, ასპინძაში. ხევსურეთში (ბარისახო), არბოში, ლენინგორში. ჯავაში და სხვ.

ნავთის მრეწველობის განვითარებაც მტკიცე საფუძველზე დადგა. საქართველოში 50 წელიწადია ცნობილია ნავთის საბადოები, მაგრამ სხვადასხვა კაპიტალისტური ფირმების (გერმანელების, ინგლისელების, ფრანგების, ბელგიელების, იტალიელების) ყოველგვარმა ცდებმა უნაყოფოდ ჩაიარა. 1929 წლიდან ფართოდ გაიშალა საქართველოს ნავთის საბადოების შესწავლა და ძიება, რისთვისაც დაიხარჯა 45 მილიონ მანეთზე მეტი. ათვისებულ იქნა შირაქის უწყლო მიდამოები და ახლა იქ ცალიერ ადგილზე წარმოიშვენ ქალაქის ტიპის მუშათა საცხოვრებელი უბნები. საბჭოთა კავშირის გრანდიოზულად გაზრდილმა ნავთის მრეწველობამ, რომელმაც მსოფლიოში მეორე ადგილი დაიჭირა, შექმნა პირობები საქართველოს ნავთის საბადოების ათვისებისა და საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის.

რაც შეეხება ნახშირის მრეწველობას, ნახშირის წლიური ამოღება 1913 წელს უდრიდა 72 ათას ტონას, მენშევიკების დროს კი დავიდა 35 ათას ტონამდე. ამ მცირეოდენი პროდუქციის გასაღებაც „დიდ პრობლემას" წარმოადგენდა, ვინაიდან არ იყო განვითარებული მრეწველობა — ნახშირის მთავარი მომხმარებელი.

„ნახშირი მრეწველობის ნამდვილი პურია", — ამბობდა ლენინი. მრეწველობის განვითარებამ საქართველოში გამოიწვია ქვანახშირის მსხვილი მრეწველობის შექმნის საჭიროება. ამჟამად საბჭოთა საქართველოს აქვს ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება, რომლის წლიური სიმძლავრე 1,2 მილიონ ტონა ნახშირს უდრის. ტყვარჩელი შექმნილია მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ წარმოების ირგვლივ აღმოცენდნენ ახალი ქალაქები — ქვეზანი და აკარმარა. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიც სრულიად შეიცვალა, მოხდა, მათი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და ქვანახშირის ამოღება ომისწინადროინდელთან შედარებით ხუთჯერ გაიზარდა. ამჟამად გაჰყავთ ორი ახალი მაღარო, რაც ნახშირის წლიურ ამოღებას ერთ მილიონ ტონამდე აიყვანს. უახლოეს წლებში, ტყიბულსა და ტყვარჩელს გარდა, ექსპლოატაციაში შევა ახალციხის საბადოები, რომლის მარაგი მეტია, ვიდრე ტყიბულისა და ტყვარჩელისა ერთად.

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ერთერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენს ჭიათურის მარგანეცი, რომელიც მსოფლიოში როგორც მარაგის, ისე მადნის ხარისხის მხრივ მარგანეცის ძირითად საბადოდ ითვლება. თუმცა ჭიათურის მარგანეცის ექსპლოატაცია 1879 წლიდან სწარმოებს, მაგრამ ტექნიკურად მაღალი დონის მრეწველობა მოწყობილ იქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ. 30 საზღვარგარეთული და ადგილობრივი ფირმის და 260 მრეწველის მიერ მარგანეცის მტაცებლური წესით წარმოების მაგივრად ამჟამად ჭიათურაში მსხვილი სოციალისტური თანამედროვე ინდუსტრიული მრეწველობაა, მაღალი ტექნიკით აღჭურვილი, სადაც მექანიზებული ამოღება და გამოტანა 85 პროცენტს აღწევს, სადაც ახაჩა ურმების მაგივრად გადაზიდვა ხდება საჰაერო საბაგირო გზებით, სადაც აგებულია მუშათა ბინების დიდი რაოდენობა.

ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე და რიონჰესის ენერგიაზე წარმოიშვა ჯუღელის ფერო-მარგანეცის ქარხანა, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს (კავშირში ასეთი წარმოება სულ სამია). ამჟამად ეს ქარხანა სცილდება წინასწარ დასახულ ფარგლებს და ხდება ფეროშენადნობთა დიდ კომბინატად.

საქართველო მომავალი წლიდან, რაჭის იშვიათი ლითონის—მოლიბდენის წარმოების ათვისების შემდეგ, მოლიბდენის წარმოების მხრივ პირველ ადგილს დაიჭერს კავშირში. დარიშხანის ამოღების მრეწველობის მხრივაც (რაჭა, სვანეთი) საქართველოს ს.ს. რესპუბლიკა ძირითად რაიონს წარმოადგენს კერძოდ სვანეთის დარიშხანის საბადო თავის მარაგით და ხარისხით უდიდესია საბჭოთა კავშირში.

საფუძველი ჩაეყარა ოქროს მრეწველობის განვითარებასაც. 1935 წლიდან სვანეთში მდინარე ინგურის ხეობაში დაიწყო ოქროს საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია, რაც სვანეთის მოსახლეობისათვის შრომის ერთ მთავარ წყაროდ ხდება.

მინერალების ამოღების მრეწველობაში საქართველოში განვითარდნენ ისეთი დარგები, რომელთაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. საქართველოს ბარიტის მრეწველობა ძირითადად ამარაგებს საბჭოთა კავშირის მთელ მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან ბარიტზე. გუმბრინის მხრივაც საქართველო მთლიანად ამარაგებს კავშირის ნავთის მრეწველობას, ანდეზიტით—ქიმიურ მრეწველობას და სხვ. მრეწველობის ეს დარგები ეკუთვნიან საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის ძირითად წარმოებებს.

მანქანათმშენებლობის მრეწველობა საქართველოში სრულებით არ იყო. ამჟამად არსებობს ათი მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელნიც ამზადებენ მანქანებს და მოწყობილობას სხვადასხვა დარგებისათვის (აბრეშუმის და საფეიქრო მრეწველობისათვის, ჩაის მრეწველობისათვის, მეღვინეობისათვის და სხვ.). აშენდა და ამ ორი წლის განმავლობაში გაშვებულ იქნა ექსპლოატაციაში ოთხი მანქანა — მშენებელი დიდი ქარხანა — ბათომში ჩაის მოწყობილების, ტფილისში დაზგების მკეთებელი მძლავრი ქარხანა, ავტომობილების შემკეთებელი ქარხანა და ავჭალის ფოლადის და თუჯის გამომდნობი ქარხანა.

იქმნება ქიმიური მრეწველობა. მიმდინარე წელს დაიწყო რიონის აზოტის კომბინატის მშენებლობა. ეს წარმოება თავის მოცულობით უდიდესი იქნება საქართველოში.

შექმნილია საამშენებლო მასალების მრეწველობა, რომელიც რამდენიმე ათეული ახლად აშენებული ქარხნისაგან შესდგება (აგურის, კრამიტის, კირის, ცემენტის და სხვ). იქმნება ქაღალდის მრეწველობა (გაშვებულია ექსპლოატაციაში ტფილისის ქაღალდის ქარხანა და მთავრდება ინგურის კომბინატი).

მსუბუქი ინდუსტრია მთლიანად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. თუ მსუბუქი მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იძლეოდა მხოლოდ ორი მილიონი მანეთის პროდუქციას, მიმდინარე წელს ის იძლევა 118 მილიონი მანეთისას. მსუბუქი მრეწველობა შესდგება მთელ რიგ ახლად აშენებულ მსხვილ საწარმოთაგან (აბრეშუმის ძაფის ამომღები ქარხნები, აბრეშუმის საქსოვი ქარხნები, მაუდის ქსოვილების ქარხნები, რამდენიმე სამკერვალო ქარხანა, ფეხსაცმლის ახალი მძლავრი ქარხანა და სხვ).

გემო-კვების მრეწველობაც შექმნილია პირველ და მეორე ხუთწლედის პერიოდში. ამჟამად ის იძლევა 166 მილიონი მანეთის პროდუქციას, ნაცვლად 9 მილიონისა 1927-28 წელს. განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაიშალა ჩაის მრეწველობა.

აი, როგორ სურათს იძლევა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრია საბჭოების ყრილობისათვის.

○

ახალი სტალინური კონსტიტუცია კიდევ უფრო ფართოდ შლის საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების მაქსიმალურად გამოყენების პირობებს. ნაციონალური რესპუბლიკები ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, შეერთებული ძალით, განუხრელად მიიმართებიან განვითარების კიდევ უფრო მაღალი საფეხურისაკენ.

◆

---

*) ქალის თანასწორობა არჩევნებში დიდი ბრძოლის შემდეგ აღიარებულ იქნა ინგლისში მხოლოდ 1918 წელს, და ისიც დამახინჯებულად, თუმცა თითქმის 700 წელიწადია, რაც იქ პარლამენტი არსებობს.

*) მოსალოდნელი შესრულების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის რაიონის სოფ. იგოეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი ამხ. მარო ჩადუნელი შეხარის შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს.
ფოტო რ. აკოფოვისა

ყრილობას ახალი გამარჯვებით შევხვდი

მიხარიან!.. საქართველოს საბჭოების ყრილობას ახალი გამარჯვებებით შევხვდი. ამაყად, თამამად წარვდგები ყრილობის წინაშე, რომელსაც საქართველოს საუკეთესო ადამიანები ესწრებიან, და მოვუყვები როგორ მივაღწიე ამ გამარჯვებას.

ეს იყო თებერვლის თვეში; ამხ. ლ. ბერიასთან შევიკრიბენით საქართველოს ჭარხლის რაიონების მოწინავე ადამიანები. საკითხი ეხებოდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებას. ამხ. ბერიამ მოგვცა მითითება, რომ ჩვენშიაც, საქართველოშიაც, შეიძლება ავწიოთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა ისევე, როგორც უკრაინაში მარიამ დემჩენკომ. მოსავლის აწევის მთელი საიდუმლოება ადამიანებშია... როგორ მოამზადებ ნიადაგს, როგორ მოუვლი ჭარხლის ნათესს, — აი მოსავლიანობის გადიდების ნამდვილი ბერკეტი. ამას კი ადამიანები აკეთებენ. დემჩენკომ გასულ წელს ასე მოიყვანა ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხალი. აქედან დაიწყო ჭარხლის პლანტაციების ხუთასოვანთა მოძრაობა და მოედო მთელ საბჭოთა კავშირს, საქართველოსაც და, წარმოიდგინეთ, ჩვენს სოფელს, პატარა იგოეთსაც კი.

ამ თათბირზე ამხ. ლ. ბერიას მე პირობა მივეცი და ვუთხარი, რომ ჩვენც, ქართველი კოლმეურნე ქალები, არ ჩამოვრჩებით სახელგანთქმულ უკრაინელ მარიამ დემჩენკოს. პირადად მე ვიკისრე წლევანდელი მოსავლიდან ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხალი მიმეღო. ასევე იკისრეს გორისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეებმა. ჩვენი რაიონიდან ამხ. ლ. ბერიას 500 ცენტნერი ჭარხლის მოყვანას დაჰპირდა აგრეთვე კოლმეურნე ქალი მარიამ ბეგლარაშვილი.

რა გამოვიდა? როგორია შედეგები? უნდა ითქვას, შედეგები საუკეთესოა... ამხ. ლ. ბერიასათვის მიცემული პირობა შესრულებულია; და არა მარტო შესრულებულია, არამედ გადაჭარბებულია კიდეც. ჩვენ ქართველი დემჩენკოები გავხდით.

ვიტყვი პირდაპირ: მე მარიამ დემჩენკოს ვაჯობე. რაც მან შარშან მოიყვანა, მე წელს იმაზე მეტი მოვიყვანე. პირველ, სანიმუშოდ მოვლილ ჰექტარზე 1.080 ცენტნერი ჭარხალი მოვიყვანე. დანარჩენ ჰექტარებზე უფრო ნაკლები, მაგრამ 500 ცენტნერზე მეტი. ჩემს ნაკვეთზე ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანე 675 ცენტნერამდე. ხარისხიც საუკეთესო იყო, მსხვილძირა. ჭარხლის ზოგი ძირი 2-3 კილოს იწონიდა.

ალბათ მკითხავთ, როგორ მიიღე ასეთი მაჩვენებლები, იმ დროს, როდესაც ამავე კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებმა ძლივსძლივობით 250 და 300 ცენტნერი მიიღესო.

ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: როგორც ამხ. ლ. ბერიამ დაგვარიგა. მთავარია პატიოსანი შრომა; ჩემს ბრიგადაში სულ 12 კაცია. ჩვენ ჭარხლის თესვამდე საუკეთესოდ მოვამზადეთ ნიადაგი; ავკრიფეთ კენჭები, გავაფხვიერეთ მიწა, დავყარეთ ნაცარი და ქათმის ნაკელი. თავიდანვე ბოლო მოვუღეთ სარეველა ბალახებს.

ჩვენს ჭარხალს მორწყვაც კარგი ჰქონდა. მე და ჩემი ბრიგადის წევრები ჭარხალს დროზე ვაწვდიდით წყალს.

უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში ჩემი ბრიგადის წევრების აქტივობა კოლმეურნეობაში საერთოდ და კერძოდ შაქრის ჭარხლის მოვლა-პატრონობის დარგში ძალიან გაიზარდა.

ჩვენს სოფელში ხალხი დიდად შეხარის სტალინური კონსტიტუციის პროექტს და მოუთმენლად ელის საბჭოების მე-8 საკავშირო ყრილობას, რომელიც ამ პროექტს კანონად აქცევს.

დიახ! საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მე ახალი გამარჯვებებით მოვედი. მე ვატყობ ჩემ თავს, რომ ყოველმხრივ გავიზარდე და წინ წავედი. მაგრამ ჯერ კიდევ შუა გზაზე ვდგევარ... უფრო წინ უნდა წავიდე. ჭარხლის მოსავალი იქამდე უნდა ავიყვანო, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის ყურადღება მივიქციო.

მარო ჩადუნელი.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურის მიღწევები

ა. აფხაძე

საქ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილე

◇

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მერვე საგანგებო ყრილობა ისტორიული ყრილობაა. საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები ამ ყრილობაზე შეაჯამებენ ახალი, სტალინური კონსტიტუციის განხილვის შედეგებს და ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის საერთო აზრს წარუდგენენ საკავშირო საბჭოთა ყრილობას, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენი ეპოქის უდიდეს დოკუმენტს, სოციალისტური საზოგადოების ძირითად კანონთა სტალინურ კოდექსს.

სტალინური კონსტიტუციის 146 შესანიშნავ მუხლს შორის, რომლებიც საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების სარკეს წარმოადგენენ და მშრომელთა საყოველთაო სიხარულს იწვევენ, არის მუხლი განათლების შესახებ. ამ მუხლში ვკითხულობთ: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, — უმაღლესი განათლების ჩათვლით, — უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით".

ხალხის განათლების უფლებისათვის კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ. ექსპლოატატორული, მჩაგვრელი კლასები განათლებას მუდამ იყენებდნენ როგორც გაბატონებულთა პრივილეგიას. მუშათა კლასის სისხლის მსმელი კაპიტალისტები „ცოდნის ძალას" იყენებენ, როგორც მდიდართა მონოპოლიას, მშრომელთა წინააღმდეგ (ლენინი, ტ. XXI). მთელი ქვეყნის მშრომელთა ბელადი, ლენინის საქმის გენიალური გამგრძელებელი დიდი სტალინი საბჭოთა ხალხის განათლების გრანდიოზულ მიღწევათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. ამხანაგი სტალინის ინიციატივით და მისი წინადადებით მიიღო ჩვენი პარტიის მეთექვსმეტე ყრილობამ ისტორიული დადგენილება საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შესახებ. რაც ასეთი წარმატებით განხორციელდა მთელ საბჭოთა ქვეყანაში.

მრავალი ჩაგრული ეროვნება, რომლებიც რევოლუციამდე მოკლებულნი იყვნენ ელემენტარული ცოდნის მიღების საშუალებას, დღეს თავიანთ დედაენაზე ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვრებს, კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს. საბჭოთა კავშირში სწავლება 120 მეტ სხვადასხვა ენაზე სწარმოებს. თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულმა ხალხებმა მიიღეს თავიანთ ენაზე სკოლა და თეატრი, წიგნი და გაზეთი, ჩაუყარეს საფუძველი ლიტერატურისა და პოეზიის, მხატვრობისა და მუსიკის განვითარებას.

კაცობრიობის ისტორიაში არნახული გაქანება მიეცა მშრომელთა შეგნების მასობრივ გარდაქმნას, მათი კულტურის ამაღლებას და განვითარებას. ის, რაც მთელი ისტორიის მანძილზე აბნელებდა და ართულებდა მშრომელი ხალხის გონებას, სამუდამოდ დათრგუნვილ იქნა. იშლება, ისპობა და სამუდამოდ ქვარდება საბჭოთა ადამიანების შეგნებიდან კაპიტალიზმის ყველა შავი ლაქა. მის ადგილს იჭერს ახალი სოციალისტური შეგნება. ახალმა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ და მასზე აღმოცენებულმა ახალმა კულტურამ შექმნეს საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებები. ეს თვისებებია — სიმამაცე და გმირობა, თავდადება სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის, მისი ბელადების დღეგრძელობისათვის.

საბჭოთა ახალი კულტურა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. ის არის ნამდვილად სახალხო, ყველასათვის ხელმისაწვდომი და არა კასტური, გაუმაძღარი ღორმუცლების — მემამულეებისა და კაპიტალისტების კულტურა, რომელიც ლპება და უკან-უკან მიდის.

განათლება საბჭოთა ქვეყანაში საყოველთაო და სახალხო კუთვნილებაა. ეს არის სოციალისტური რევოლუციის ერთერთი უდიდესი ისტორიული მონაპოვარი. ის, რაც სტალინური კონსტიტუციის მე-121 მუხლში განათლების უფლების შესახებ სწერია, არ არის დეკლარაცია, არამედ ჩვენი დღევანდელი დღის სოციალისტური, რეალური სინამდვილეა. საბჭოთა ქვეყანაში განათლების უფლებით სარგებლობს ყოველი მშრომელი. ამ უფლების განხორციელებას ემსახურება მრავალი და მრავალი ათასი უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი — უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, მუშფაკები, ტექნიკუმები, კურსები, საღამოს სკოლები, დაწყებითი სკოლები, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები. ხალხის განათლებას და კულტურულ გარდაქმნას ემსახურება მრავალი და მრავალი ათასი კლუბი, სამკითხველო, კულტურის სახლი, თეატრი, კინო, მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს ხალხის კეთილდღეობისათვის არსებობს.

თბილისის მე-109 სკოლის მოწაფეები ამზადებენ საჩუქრებს საქ. საბჭოების მე-VIII ყრილობისათვის. **სურათზე:** მეექვსე კლასის ფრიადოსანი შამილ არონაშვილი საპარაშუტო კოშკის მოდელთან, რომელსაც ის საჩუქრად უძღვნის ყრილობას.

საქართველოში საბჭოთა წყობილების პირობებში აყვავდა, განვითარდა და დაწინაურდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურა. საქართველოს რესპუბლიკის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში, რომელთა რიცხვი 4.265 უდრის, შვიდასი ათასამდე მოსწავლე სწავლობს. აქედან 273 საშუალო სკოლაა 157.814 მოსწავლითა და ხუთი ათასამდე მასწავლებლით.

თუ მოვიგონებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საშუალო სკოლების რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყო, ნათელი გახდება, რამდენად გიგანტური ნაბიჯია გადადგმული საშუალო განათლების საყოველთაო სახალხო განათლებად გადაქცევისათვის. უმაღლესი სასწავლებლების ქსელით მოიფინა ჩვენი რესპუბლიკა. 16 უმაღლესი სასწავლებელი ოციათასამდე სტუდენტით და ორი ათასამდე მეცნიერი მუშაკით წარმოადგენს უდიდეს ძალას, რომელსაც მეცნიერება ხალხში გადააქვს და მეცნიერების მიღწევებს სოციალისტური საზოგადოების განსამტკიცებლად იყენებს. ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელშიაც ხუთი ათასამდე მოსწავლე სწავლობს, საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტთა შორის ერთი საუკეთესო უნივერსიტეტთაგანია. ჩვენი მეცნიერების რიგებში მუშაობენ ისეთი პირები, რომელთაც საქვეყნო სახელი აქვთ მოხვეჭილი.

ასევე დიდი და წარმტაცია საქართველოს სოციალისტური კულტურის მიღწევები თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, მხატვრობის და მასობრივი მხატვრული შემოქმედების დარგში. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრის წარმატებანი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიღწევები, საქართველოს საბჭოთა მხატვრების შემოქმედების გამოფენა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენების მიხედვით თემაზე „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" და სხვ.

განსაკუთრებით დიდი და წარმტაცია საქართველოს სოციალისტური კულტურის მიღწევები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხანაგი ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობს. ამხანაგი ბერია დაუღალავად აწვრთნის საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, ყველა მშრომელს, როგორ უნდა სტალინურად ზრუნვა ადამიანებზე, ასწავლის სტალინური მუშაობის სტილს, სტალინურ პრინციპიალობას და იდეურობას, სტალინურ შეურიგებლობას მშრომელი ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ.

ამხანაგი ლავრენტი ბერია საბჭოთა სოციალისტურ კულტურას უდიდესი ყურადღებით ეპყრობა, დაუღალავად ხელმძღვანელობს ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას საქართველოში და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა, რომელსაც მთელი ქვეყნის მშრომელთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი უდგას სათავეში, ახალ და ახალ მიღწევებს მოიპოვებს სოციალისტური კულტურის ფრონტზე. ამის თავდებია სტალინური კონსტიტუცია, რომელსაც საბჭოთა კავშირის მერვე ყრილობა დაამტკიცებს.

ტიციან ტაბიძე

კახელი გლეხის თქმა ბელადზე

აილებს გლეხი ხელში სავსე ჯამს,
ოთხკუთხივ ასე დაილოცება:
— იყოს დღეგრძელი აწლა მარადჟამს,
ვინც აგვიხილა ქვეყანას ოცნება.

ამრავლა ხალხი, ამრავლა ვაზი
უკვდავების ხეს უდგას მებაღეთ.
ჰყვავის ქვეყანა ჩვენი ლამაზი,
ბედნიერების კარი შეგვაღეთ.

რაც ქვეყანაზე გაჩნდა ვენახი
და ყურძნის ტევანს დაღინდა წვენი,
სხვა ძე კაცისა ჩვენ არ გვინახავს,
ასე ყელამდე რომ იყოს ჩვენი.

საწყალ ბეჩავ ხალხს მოგვცა სამშობლო
და შეგვასწავლა ქვეყნის ანბანი,
ვკოცნით იმ მიწას, სადაც საამო
დაირწა მისი დიდი აკვანი.

მთელ დუნიაზე კაცი და ქალი,
რაც ხეს კვირტი აქვს გამოტახილი,
რაც ჰყვავის ქვეყნად — მიწა და წყალი,
ყველას ერთი გვყავს მამა სტალინი.

ასე ვიფიცავთ მის მზეს და მთვარეს
და დაულოცავთ მას მშობელ დედას.
უძლეველია საბჭოთა მხარე
რადგანაც სტალინს დიდ ბურჯად ხედავს.

სანამ მშრომელებს ის გვერდს გვიმაგრებს,
ქვეყნად არავის დავეჯაბნებით.
ჩვენც კახეთიდან შივალთ ალავერდს
სავსე ცხოვრების დიდი ჯამებით.

◇

სიმღერა სტალინზე

დაუკარ ჩემო ჩონგურო,
ნაზო და ტკბილხმიანო,
მრავალი ტანჯვის მომსწრე ხარ,
დღეს კი მხურს აგახმიანო!
დღეს ახალ ჰანგებს ვიმღერით
გლეხკაცებს მოგვილხენია,
გადაგვავიწყდა წარსული
ტანჯვის მწუხარე დღენია.
ვისას უმღეროთ, თუ არ შენ,
სტალინო, ხალხთა გენიო;
შენი მზრუნველი მარჯვენა
მოფენილს გადასწვდენია.
მზე ამოვიდა გლეხისთვის
არავინ დაობს რიგულზედა,
სიმართლის მთქმელო, მიყვარხარ,
უტკბილესი ხარ სულზედა,
სულ თავისუფლად ვმუშაობთ,
აღარ გვემლევა ხელია,
ვისაც აქვს შრომის უნარი,
ყველანი ერთხმად მღერიან.
ძველ საქართველოს ძველ სოფლებს
სულ შეეცვალათ ფერია,
საბჭოთა ხელისუფლების
სულ მეცხრამეტე წელია.
შრომით შექმნილმა ქვეყანამ
გაიძრო ძველი კანია,
მინდვრად გუგუნებს ტრაქტორი,
ქარხანამ მისცა ბანია,
ძველი ცხოვრების წესისგან
ხელები დაგვიბანია.
წინ მივალთ ყოველ დღიურად
საერთო სიხარულია,
„ტყუილმა აღარ დაგვფარცხოთ
წელმა ნახნავი ხნულია".
ეს გაზაფხული შენ შექმენ,
სტალინო ხალხთა ბელადო.
საბჭოთა ქვეყნის სითთვე
შენ გვიკავია ხელადო.
სამშვია ცხოვრება,
გადავიქცით მღერადო,
გვიყვარხარ, მიტომ შენს სახელს
ვიმღერით მინდორ-ველადო.

თქმული **ი. ჯავახიშვილის** მიერ
(ს. შალაური, თელავის რაიონი).

◇

ჩვენი ბერია

შრომის შემდეგ მივუსხდებით
გაგანია კერას.
და ვამბობთ რაც უშრომია
ჩვენს ლავრენტი ბერიას.
წყალი ყველგან დაუშრია,
მას ფოთსა და მერიას,
ნაყოფიერ ხეებსა რგავს,
ლიმონ-კრიპტომერიას.
ციტრუსების სანერგეებს,
ყველამ ხელი მოჰკიდოს, —
დაბალზე რომ აჭრილა
ალამაზებს კოლხიდას.
ჩვენს მხარეში დაიბადა
შრომის შვილი მეღვაწე,
დიდი საქმის მოთავე
და სიმართლის მზირგავა.
კავკასიის ალამაზებს
კარგი მეურნეობით,
ყველა კუთხის ამხანაგებს
ამშენებენ მხნეობით.
ის ყველაფერს კარგს აკეთებს,
გვამიანს და გონიერს,
უსწავლელად აღარ სტოვებს,
მოზარდსა და არც ხნიერს.
ქალაქებში აშენებენ,
მუშის სახლებს განიერს, —
სოფლად არსად არ სტოვებენ
მინდორს უქმად ცარიელს.
აქ გერანი, ჩაი, რამი
არ ნახულა არასდროს,
ჩვენ ვუსურვოთ დიდი ხანი
ამ უბადლო წინამძღოლს.
შრომა გვწყალობს, ჩვენს ველებზე
გაზაფხული სუნთქავს,
და ბერიას სადღეგრძელო
ხალხს სიმღერით უთქვამს.

თქმული მოხუცი კოლმეურნე
ლადო სალაყაიას მიერ.
(ცხაკაიას რაიონი)

დ. კომახიძე

სოციალისტური სასოფლო მეურნეობა

ცნობილია, რომ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის დროს კოლონიური საქართველო სულს ღაფავდა ცარიზმის და მემამულეთა მძიმე უღლის ქვეშ. კუდაბზიკა თავადაზნაურობა, რომელთაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მეფის მთავრობა, სწოვდა სისხლს გლეხის გულიდან. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. მამაპაპური ხის გუთანი და თოხი, აი რა იყო სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალება.

დიდმა სტალინმა გამოჭედა ამიერკავკასიასა და საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მუშათა კლასის და გლეხობის რევოლუციურ შეკავშირებას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდმა ოქტომბერმა საბოლოოდ დაამხო ტირანია რუსეთში, და პროლეტარული დიქტატურა დაამყარა. საქართველოში კი წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ პარტიათა ბრბომ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში. სოციალ გამცემლურმა მენშევიკურმა პარტიამ და მისმა მთავრობამ თავისი ბატონობის წლები აჯანყებული რევოლუციური გლეხობის სისხლში ჩახრჩობას მოანდომა. მენშევიკების „აგრარული რეფორმა" თავისი შინაარსით არსებითად არ გასცილებია მეფის მთავრობის მიერ 1864 წელში გატარებულ აგრარულ რეფორმას, გლეხებს არ მიეცათ მიწა.

მენშევიკური ხელისუფლების დროს საქართველოს სოფლის მეურნეობა დაეცა. 1913 წლის ნათესი ფართობი 737.600 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 1919 წელს შემცირდა 522.353 ჰექტარამდე. დეგრადაცია განსაკუთრებით განიცადა სპეციალურმა და ტექნიკურმა კულტურებმა. 1913 წ. თამბაქოს ნათესი ფართობი 10.028 ჰექტარს უდრიდა, ხოლო 1920 წლისთვის 1.592 ჰექტარამდე შემცირდა. ციტრუსოვანთა ნარგავები ამავე პერიოდისთვის 500 ჰექტარიდან 375 ჰექტარამდე შემცირდა. განადგურდა ვენახი და ისედაც უმნიშვნელო რაოდენობის ჩაის პლანტაციები.

1921 წელს საქართველოს მშრომელმა ხალხმა დაამხო მენშევიკური ბატონობა და პროლეტარული დიქტატურა დაამყარა. ამ პერიოდში სტიქიურად არსდებოდა თითო ოროლა კოლმეურნეობანი. პირველი კოლმეურნეობა 1921 წ. მარტში ჩამოყალიბდა კასპის რაიონის სოფელ სამთავისში 1922 წელში არსდება გურჯაანის რაიონში სოფელ მუკუზანში კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანება" სოფელ ველისციხეში „შრომის სამეფო" 1927 წელს საქართველოში 11 კოლმეურნეობა არსებობდა, ხოლო 1929 წლისათვის კი 108. სავსებით სამართლიანად აღნიშნა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა 1928 წელს 3 სექტემბრის დადგენილებაში, რომ საქართველოში პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეს.

1928 წლიდან იწყება საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ერთგვარი აღმავლობა. იზრდება კოლმეურნეობათა რიცხვი, მაგრამ 1929 წლის შემოდგომიდან და განსაკუთრებით 1930-31 წლებში ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული იქნა მთელი რიგი უხეში შეცდომები, რითაც საკოლმეურნეო წარმოებას სახელი გაუტეხა.

მდგომარეობა იმით გამოსწორდა რომ ამხანაგი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მიეცა ა.-კ. და საქართველოს ბოლშევიკებს გაშლილი საბრძოლო პროგრამა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების სახით, და იმით რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა დიდი სტალინის ნიჭიერი მოწაფე, მტკიცე სტალინელი ამხ. ლავრენტი ბერია.

1932 წლიდან იწყება საქართველოს სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა.

1930 წელს პირველ ივნისისათვის საქართველოში კოლექტივიზაცია 3,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო იმავე გაზაფხულზე 10 მაისისათვის გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია 65 პროცენტს უდრიდა. ეს იყო საკოლმეურნეო მშენებლობაში „თავბრუ დახვევის პერიოდი". იოლად მოპოვებული „წარმატება" არა რეალური აღმოჩნდა. იმავე მაისის ბოლოს ძალდატანებით შექმნილ კოლმეურნეობიდან გამოსვლის გამო კოლექტივიზაცია 21 პროცენტამდე შემცირდა. სინამდვილეში ეს შემცირება კი არა, სიცალიერის გამოაშკარავება იყო.

საქართველოს პარტიულ და არა პარტიულ ბოლშევიკებს, ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით ხანგძლივი მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რომ აღედგინა კოლექტივიზაციის ავტორიტეტი. და ეს ასეც მოხდა. ამჟამად საქართველოში 4.417 კოლმეურნეობაა, კოლექტივიზაცია 74,4 პროცენტს უდრის. კოლმეურნეობანი მტკიცდებიან მეურნეობრივად, ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, ისინი ბოლშევიკურ კოლმეურნეობათ ხდებიან, იზრდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. ათასეული და ათეული ათასეული კოლმეურნენი შეძლებულები გახდნენ. კოლმეურნეობანი ნამდვილად გაბატონებულ ძალად გადაიქცა სოფლად.

უდავოა, რომ „საქართველოს გლეხობა მტკიცედ მიდის კოლმეურნეობათა გზით ლენინ-სტალინის პარტიის ნაჩვენები გზით... საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს სოფლებში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა" (ლ. ბერია).

აყვავდა საქართველოს სოფლის მეურნეობა, აყვავდა ყველა მისი დარგი. აი, ციფრებიც.

ჩაის კულტურით დაკავებული ფართობი 36 ათას ჰექტარს აღწევს. მოსავალი კი საშუალოდ ჰექტარზე წინააღმდეგ 1931 წელს 701 კილოგრამისა 1.600 კილოგრამია. ცალკეულ კოლმეურნეობებში (მაგ. კობულეთის. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა) 6.000 კილოგრამსაც აღწევს.

მეფისა და მენშევიკური ხელისუფლების წყალობით გადაგვარებული მევენახეობის აღმავლობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა ამხ. ლ. ბერიას მიერ დასახულ ღონისძიებებით ახლა საქართველოში ვენახის საერთო ფართობი 37 ათას ჰექტარს ცილდება, მოსავალი იზრდება. წელს მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მიიღეს ჰექტარზე 60 — 100 ცენტნერი ყურძენი. 1931 წელს ვენახის სანერგე 50 ჰექტარი იყო, ახლა კი 462 ჰექტარია.

თამბაქოს კულტურას ამჟამად უჭირავს 20 ათასამდე ჰექტარი.

1931 წელს ტუნგოს ხე ერთ ჰექტარზე იყო გაშენებული, ახლა კი — 4.716 ჰექტარზე. იზრდება აგრეთვე საერთო ფართობი და მოსავლიანობა ისეთი კულტურებისა, როგორიცაა გერანი, რამი, და სხვ.

1931 წელს მარცვლეულ კულტურას ეჭირა 773 ათასი ჰექტარი, წელს კი მარცვლეულს უკავია 838 ათასი ჰექტარი. 1931 წელს ჰექტარზე მიღებულ იქნა საშუალოდ 7,9 ცენტნერი მარცვლეული, შარშან — 10,3 ცენტნერი, წელს კი ამაზე მეტი იქნება. 1931 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი 37.6 მილიონი ფუთი იყო, შარშან — 52 მილიონი ფუთი, წელს კი ჩვენ უნდა მივიღოთ 60 მილიონი ფუთი. 1940 წლისათვის მოსავლიანობის და ნათესების ზრდით უნდა მივიღოთ 80 მილიონი ფუთი მარცვლეული. ეს კი უზრუნველჰყოფს საქართველოს მარცვლეულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საკუთარი რესურსებით. ასეთია ამხ. ლ. ბერიას მიერ დასმული საბრძოლო ამოცანა.

1934-35 წელი აღმავლობის წელი იყო მესაქონლეობის განვითარებაში. შარშან მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა საქართველომ გადაჭარბებით შეასრულა და ჩრდილოეთ კავკასიასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. 1936 წლის პირველ იანვრისთვის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 1.600 ათასზე მეტს უდრიდა, ცხვრისა და თხის — 1.600 ათასს, ღორების — 776 ათასს და ცხენების—163 ათასს.

დღითიდღე იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. 1930 წელს საქართველოში 3 მტს-ი დაარსდა (აბაშის, აგარის და ბორჩალოს რაიონებში) ახლა კი 39 მანქანა-ტრაქტორთა სადგური არსებობს. საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ემსახურება 30 მილიონზე მეტი ცხენის ძალის მქონე 1.900-მდე ტრაქტორი, აგრეთვე 206 კომბაინი. წლის შემოდგომაზე და 1937 წლის გაზაფხულზე 9 ახალი მტს-ი დაარსდება.

პრაქტიკულად წყდება უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა — კოლხიდის ამოშრობა. ამ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კოლხიდის ამოშრობაზე დაიხარჯა 30 მილიონ მანეთამდე. აქედან მარტო წელს — 10 მილიონ მანეთამდე. კოლხიდის დაშრობის შედეგათ ათეულ ათას ჰექტარ ნოყიერ მიწას ღებულობენ საქართველოს მშრომელები. კოლხიდა ველ-ბაყაყების მალარიის ბუდიდან მუდმივ მწვანებულ ჩაის და ციტრუსების ბაღნარი ხდება.

საკოლმეურნეო წარმოების გამარჯვებამ ათასეულობით და ათეული ათასეულობით წარმოშვა ახალი ადამიანები; ესენი არიან ყოფილი მოჯამაგირეები, ღარიბისი და საშუალო გლეხები, მუდამ რომ სიმშილობდნენ და ყოველი ფეხის გადადგმაზე დამცირებას განიცდიდნენ. ახლა ისინი შრომის ენტუზიასტები და შეძლებულები არიან. დღეს საქართველოს კოლმეურნეობებში უშუალოდ მომუშავე 30 კაცი და ქალი ატარებს უმაღლეს ჯილდოს — ორდენებს. ჩვენ გვყავს 4 ორდენოსანი ტრაქტორისტი და კომბაინერი. საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე 11 კაცი ორდენოსანია.

შეიცვალა სახე სოფელმა. ახლა ათეული ათასობით საუკეთესო სახლებს აგებენ კოლმეურნეები. მიწური ქოხები ისტორიას ბარდება. კოლმეურნეთა ბედნიერ ოჯახებში ძვირფასი კულტურული ნივთები აღარ წარმოადგენს იშვიათობას. სოფელ ასურეთის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 14 კოლმეურნემ შეიძინა პიანინო.

აი, როგორ ხვდება საქართველოს სოფლის მეურნეობა საბჭოების VIII ყრილობას.

პატარა ფელეტონი

წინდაუხედავი ნაბიჯით

ღრმად ვარ დარწმუნებული, იმ ცხენს რომ სცოდნოდა რა დაემართება მოჰყვებოდა მის წინდაუხედაობას, ამ საქმეს არ იზამდა! მაგრამ გვიანღაა თითზე კბენანი! ნაბიჯი გადადგმულია, სასამართლოს გადაწყვეტილება დაწერილია, საკასაციო საჩივარი უკუგდებულია! წავიდეს და იხვეწნოს რამდენიც ნებავს.

ზაფხულის პაპანაქება დღე იყო, დედამიწას ალმური ასდიოდა. სიცხეს ცეცხლის სალტებით შეებოჭა ჰაერი. საყდლის ველიანზე რამდენიმე ცხენი სძოვდა მზვერვალებისაგან ცვარგამშრალ ბალახს. მათ შორის ერია დომენტი ტორაძის ცხენი, რომელიც მშრალმა ბალახმა მოაწყურა. პირის გასასველებლად გასწია იქვე მახლობელ ღელისკენ, ხარბად დაეწაფა, სიამოვნებით ორიოდეჯერ დაიფრუტუნა კიდეც. იამა სიგრილე და მყუდროება, ღელეში რომ იყო დასადგურებული. დაიზარა უკან გაბრუნება და გაუდგა გზას.

შესდექ, უგუნურო! რამე ფათერაკს არ გადაეკიდო, ხავსი არა შეგემთხვეს რა, მგლის კერძი არ გახდე და არ გამწარო შენი პატრონი, სად არის გაგონება! არ დაიშალა, წავიდა, დაიკარგა.

დომენტი ტორაძის ცხენო! იცი კი რა მოჰყვა ამ შენს მოუფიქრებელ ნაბიჯს! იცი რამდენი ზარაფხანი სუფრა გაიშალა, რამდენი გულის ამაჩუყებელი სადღეგრძელო დაილია, რამდენი მელანი დაიღვარა საწყალ ქაღალდზე, რომელსაც ბედმა თუ უბედობამ ხვედრად არგუნა ყველაფერი აიტანოს უდრტვინველად და უწუწუნოდ?! იცი ეს ტორაძის ცხენო?!

ცხენი დაიკარგა. დომენტი ტორაძე ამ ელდას ვერ გადაიტანდა. ეს მეტისმეტი უსამართლობა ეჩვენოდა, მის თავზე მოვლენილი. ამიტომ დომენტიმ გადაწყვიტა: მიდი, მე კი ნუ დამეკარგება ცხენი, სოლომან სვანიძეს დავაკლებ, ამაზე უფრო უპრიანი არისო, ჰქონდეს მისიზეპრისაცო; სვანიძე ამგვარ ქარს შეჩვეულიც არის, ამ ორიოდე წლის წინათ კამეჩი დაეკარგა, მაგრამ გული არ გასტეხებიაო. ერთი სიტყვით, გადაწყვიტა ეს დომენტიმ, შემოიჭრა სვანიძის ცხენს, რომელიც უკვე გამაძღარიყო ველიანზე და გულის გასაგრილებლად უხალისოდ წიწკნიდა ბალახს, შემოაჯდა ამ ცხენს და გასწია შინისაკენ.

დომენტიმ ცხენი თავლაში დააბინავა და თვითონ დაფაცურდა, რამდენიმე სოფლის მეგობარს პური გაეტეხა იქვე ჭერის თავთან, ვიდრე სახლში ხაჭაპურები ცხვებოდა და ვერია კეცზე დაიბრაწებოდა. ეს ყველაფერი იმისათვის იყო საჭირო, რომ ჰეროთან ნაზიარებ ხალხს საცა ჯერ არს ეთქვა: სოლომან სვანიძის ცხენი სოლომან სვანიძისა კი არ არის, არამედ დომენტი ტორაძისაო.

სოლომანმა თქვა, საყდლის სასოფლო საბჭომ ცხენი პატრონს ჩააბარა. დომენტიმ თქვა ქუთაისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოში. სასამართლომ სვანიძის ცხენი ტორაძეს მიუსაჯა. ცხენი ტორაძემ ჩაიბარა. სვანიძემ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ ამა წლის ორი სექტემბრის სხდომაზე გადაწყვეტილება დაამტკიცა — ე. ი. სთქვა, რომ ცხენი ტორაძისაო.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა გათავებულიყო; საქმე ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა. ყველა ინსტანცია გაიარა—დომენტი ტორაძის ჭერის თავით დაწყებული და უზენაესი სასამართლოთი გათავებული. თითქოს ცნებათა ღელვა უნდა დამცხრალიყო და ურწმუნო სოფელს საბოლოოდ უნდა ერწმუნა, რომ დიაღაც, სვანიძის ცხენი ტორაძისაა. მით უმეტეს, თუ ამას უზენაესი სასამართლოც ამბობს.

მაგრამ ამ დალოცვილ მზის ქვეშეთში განა ახირებული სულდგმული გამოილევიან! სწორედ ასეთი ახირებული გამოდგა დომენტი ტორაძის ცხენი. თავისი ყოველად უაზრო დაკარგვით ხომ ერთი ვაივიშველიში შექმნა საყდლიაში და კასაცია—აპელაციების ბუკი დააყენა. ის-ის იყო ქარტეხილი უნდა ჩამდგარიყო, რომ ამ მოუფიქრებელ საქციელს უფრო მოუფიქრებელი ნაბიჯი მიაყოლა-ადგა და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა. ნეტავ რა პირით, რა ნამუსით უნდა შეხედოს ამ ურცხვმა ცხენმა ქუთაისის გაერთიანებულ სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს, ოქმებს, რომლებიც მის თაობაზე დაწერილა, კანონთა კრებულებს, რომლებიც მის საქმეზე გადაფურცლულა? რა პირით უნდა შეხედოს დომენტი ტორაძის მეგობრებს, რომელთაც არა ერთი და ორი ჭიქა გამოუცლიათ მისი სულის საცხონებლად! განა გასამტყუნარია დომენტი ტორაძე, რომელიც კარს არ უღებს თავის უძღებ ცხენს, უარობს და ამბობს ჩემი არ არისო. რა ვუყოთ, რომ სოფელი საწინააღმდეგოს ამტკიცებს? ამას რა ფასი აქვს, როდესაც დომენტის სასამართლოს გადაწყვეტილება უდევს ჯიბეში. ცხენი? ცხენი ის მშიერ-მწყურვალი, მიუსაფარი, ილუსტრირებული, და თავისი პატრონის, დომენტის ყოველ დაძახებაზე ნაღვლიანად ღიმება პატრონს...

სოლომან სვანიძე კი გულდაწყვეტილი შეჰყურებს თავის ცხენს დომენტი ტორაძის თავლაში და ის იმედი აქვს უფრო გულში, რომ რესპუბლიკის პროკურორი არ შეიწყნარებს სიმართლისა და სამართლის დარღვევას ასე აშკარად, მზისით და დღისით.

სირიუხი.

საბჭოების ყრილობები

აფხაზეთი

13 ნოემბერს სოხუმში დაიხურა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა, რომლის დღის წესრიგშიაც იდგა ორი საკითხი:

მოხსენება საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტის საერთო სახალხო განხილვის შედეგებზე და დელეგატების არჩევა საბჭოების სრულიად საქართველოს მერვე ყრილობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ლაკობამ, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აფხაზეთში სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა საბჭოების და აღმასკომების 197 პლენუმი, ქალაქის საბჭოების სექციათა და სადეპუტატო ჯგუფთა 637 სხდომა, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო საბჭოების 10 ათასამდე წევრმა და კანდიდატმა. ამას გარდა, ადგილებზე, უშუალოდ სოფლებში, კოლმეურნეობებში, საწარმოებში კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მოწვეული იყო 1.253 კრება, რომლებზედაც მონაწილეობა მიიღო 98-100 ათასმა მშრომელმა, რაც ამ საწარმოებში, ორგანიზაციებში და კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მშრომელთა 90 პროცენტს შეადგენს.

ამ მრავალრიცხოვან სხდომებსა და კრებებზე სტალინური კონსტიტუციის განხილვისას ხდებოდა სოციალიზმის დიადი გამარჯვებათა შეჯამება. კონსტიტუციის პროექტის განხილვამ ჩაიარა შრომის ნაყოფიერების და მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ზრდის ნიშნით.

ყრილობას მიესალმნენ ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის, შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის, ოჩემჩირის ნავსადგურის მშენებლობის მუშათა დელეგაციები, აგრეთვე ორდენოსანი აფხაზეთის საუკეთესო კოლმეურნეობების („აკომშარა", „წითელი არაგიჩი", ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა) დელეგაციები.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის სულისჩამდგმელს და შემქმნელს, ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს და საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, საუკეთესო სტალინელს ამხ. ლავრენტი ბერიას.

საბჭოების სრულიად საქართველოს ყრილობაზე არჩეულია 40 დელეგატი, მათ შორის ამხანაგები ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, ნ. ლაკობა, ა. აგრბა, მ. გობეჩია. აფხაზეთის ორდენოსნები: „აკომშარას" კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბარციცი, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მშენებლობის უფროსი შ. გაბრიჩიძე, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს ელექტრომავლის მემანქანე აშხაცავა, ჩაის მკრეფავი ოჩემჩირის რაიონიდან ცაცა კარდავა და უმცროსი ლეიტენანტი ხიდ აბბა, აგრეთვე ლენინის სახელობის ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯგუბურია, დოცენტი ნ. ანთელავა და სხვ.

ზემო-სვანეთი

10 ნოემბერს სოფელ ლახამულაში შედგა ზემოსვანეთის საბჭოების მესამე სარაიონო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 500 დელეგატი — საუკეთესო ადამიანები, გზის მშენებლობის, ტყის დამუშავების და ოქროს ბუდობების სამიებელ სამუშაოთა სტახანოველები.

ყრილობაზე სტალინური კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გაზდელიანი.

ჩამორჩენილი და ღატაკი იყო სვანეთის ცხოვრება ოქტომბრის რევოლუციამდე. სვანეთი მაშინ თავადიანების და დადეშქელიანების საექსპლოატაციო წყაროს წარმოადგენდა. სისხლის აღების ბოროტი წესი ძლიერ ბოჭავდა და ანადგურებდა სვანეთის ხალხს. სისხლის აღება საუკუნეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამობრწყინდა მზე ახალი ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისა. ხელუხლებელი იდგნენ ულრანი ტყეები. სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ ხალხში ლეგენდები დადიოდა, რომ იქ იმყოფება ოქროს, სპილენძის და სხვა ძვირფასი მადნეულობის დიდძალი მარაგი.

სადაც წინათ მხოლოდ ტურები და მგლები დაძრწოდნენ, ახლა იქ ხე-ტყის დამუშავება, სახალხო მეურნეობის წამყვან მეურნეობად გადაიქცა. სვანეთის წინაშე დაყენებულია ამოცანა მოამარაგოს ხე-ტყის ნედლეულით ენგურის ქაღალდის კომბინატი.

ათასობით სვანები მუშაობენ ხის ჭრაზე. ინგურის ხიობაში უკვე ამოჰქვთ ოქრო, ათასზე მეტი სვანია ჩაბმული ამ სამუშაოში.

გამოიცვალა სოფლის მეურნეობის სახეც. გასულ წელს სვანეთში შემოიტანეს ბოსტნეულის თესლი და ახლა ყოველ ოჯახს აქვს თავისი კარტოფილი, თავისი ხახვი. მიმდინარეობს ცდები კომბოსტოს მოსაყვანად. სვანეთში წელს პირველად დარგეს ხუთი ათასი ხეხილი. ბალახის თესვა მესაქონლეობის განვითარებას მტკიცე ბაზას შეუქმნის.

სისტემატური შიმშილი, საცხოვრებელი ბინების აუტანელი ანტისანიტარული მდგომარეობა, რომელიც წინათ სვანეთის ხალხს ანადგურებდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს მოისპო. სვანეთის სოფლებში ყოველდღიურად იზრდება სოციალისტური კულტურის კერა.

მეფის და მენშევიკების დროს არ იყო არცერთი სკოლა, ახლა კი ზემოსვანეთის რაიონში ითვლება 30 დაწყებითი, 12 არასრული საშუალო სკოლა, 2 ტექნიკუმი — პედაგოგიური და მესაქონლეობის, რომელნიც ამზადებენ მასწავლებლებს და ზოოტექნიკოსთა საკუთარ ძალებს. მოსკოვსა, ლენინგრადსა და ტფილისში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 180 მეტი სვანი.

სვანებიდან უკვე გამოვიდნენ ინჟინერ-მშენებლები, ორი ინჟინერ-გეოლოგი, ორი ქირურგი, ერთი თერაპევტი.

ამჟამად მესტიაში შენდება 180 ცხენის ძალის ჰიდროელექტროსადგური. ყველა სოფ. საბჭო ტელეფონიზებულია.

კამათში გამოსული დელეგატები აღნიშნავდნენ სტალინური კონსტიტუციის დიდ მნიშვნელობას, უწოდებდნენ მას თავისუფლების, ბედნიერების, მშვიდობიანობის კანონს.

სიღნაღი

9 ნოემბერს სრულ 2 საათზე სიღნაღის კლუბში თავი მოიყარა 226 დელეგატმა, მათ შორის ბევრია მუშა - კოლმეურნე სტახანოველები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 5 ორდენოსანი.

ხალხით გაჭედილ კლუბის დარბაზში გაისმის ტაშის გრიალი, როცა სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ალავერდაშვილი საბჭოების IV ყრილობას გახსნილად აცხადებს. საპატიო პრეზიდიუმის არჩევის დროს კიდევ უფრო ძლიერდება მქუხარე ტაში. გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს სტალინს", „გაუმარჯოს დიდს საბჭოთა კავშირს".

ყრილობის პირველ საკითხზე სტალინური კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. შალვა ალავერდაშვილი.

დელეგატები უაღრესად დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ მომხსენებელს, რომელიც ლაპარაკობდა მათთვის უკვე ცნობილ და აღმაფრთოვანებელ საკითხზე. სტალინური კონსტიტუციის პროექტი ყველა კოლმეურნეობაში წაიკითხეს, გულდასმით განიხილეს თვითეული მუხლი, გამოსთქვეს თავიანთი აზრები ამ საკითხის ირგვლივ. მაგრამ აქ, ყრილობაზე, დელეგატები კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდნენ კონსტიტუციის პროექტის დედაარსს, მომხსენებელმა მათთვის გასაგები ენით და საფუძვლიანად განმარტა კონსტიტუციის თვითეული მუხლი, თვითეული კარი.

მოხსენების შემდეგ სიტყვა პირველად ეძლევა ზემოქედის „კომუნის გზის" სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსან თავმჯდომარეს ამხ. კობა ჩოხელს. ის აღფრთოვანებული იწყებს ლაპარაკს მათი სოფლის მცხოვრებთა წარსულიდან. — ვის, რომელ მთავრობას ახსოვდა საცოდავი ქედელი მშრომელები? — ლაპარაკობს იგი, — ისინი საუკუნეობით მიწის ჯურღმულებში ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ პური და წყალი, ისე იბადებოდნენ და იხოცებოდნენ [illegible] ში არ იყო, წყალი შორეული ადგილებიდან მოგვქონდა და ლუკმაპურის მონატრული ვიყავით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ვიგრძენით ადამიანური ცხოვრება. ახლა ქედლები მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში, ქედელი გლეხები მუშაობენ სოფლის საბჭოებში, საბჭოს დეპუტატებად, მუშაობენ სექციებში, ისინი იბრძვიან კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის. ყურს უგდებენ მასების მოთხოვნებს და აწარმოებენ სერიოზულ მუშაობას. საბჭოს კარგი მუშაობით წინ მივდივართ. ჩვენს სოფელში ახლა 560 ბავშვი სწავლობს, გვაქვს კლუბი, სამკითხველო, კოოპერატივი და სხვ. გვაქვს 12 ავტომანქანა, რაც ყველაზე მეტად ახარებს ქედლებს. გვისრულდება მრავალი წლის ოცნება — მალე წყალი გვექნება. წყალსადენის მშენებლობა უკვე მთავრდება. ამაზე მეტი სიხარული ქედლებისათვის წარმოუდგენელია. ამხ. კობა აღტაცებით ლაპარაკობს თვით კოლმეურნეობის „კომუნის გზის" წარმატებებზე, რომელიც მოპოვებულ იქნა კოლმეურნეთა თავდადებული შრომით. ლაპარაკობს კულტურული და ბედნიერი ცხოვრების შესახებ, რომელსაც უკვე მიაღწიეს ქედლებმა მოწინავე კოლმეურნეებმა.

„სტალინური კონსტიტუციის პროექტი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების საძირკველია, — ამბობს ის, — იცოცხლეთ, იმხიარულეთ, იშრომეთ და იყავით კულტურული, — აი რას გვეუბნება ჩვენ ახალი კონსტიტუცია.

შემდეგ სიტყვა ეძლევა წითელ წყაროს „შრომას" კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ს. ბულაშვილს, რომელიც ყრილობას აცნობს თავისი კოლმეურნეობის წარმატებებს მესაქონლეობის განვითარებაში.

ტრიბუნაზე ადის ამხ. ვანო ქავთარაძე, თავმჯდომარე ქვემოქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობისა, რომელმაც წელს რაიონის კოლმეურნეობათა შორის პირველი [illegible] ჰექტარზე 20 ცენტნერი პური მოიყვანა. პირველი განაწილებისას კოლმეურნეობის წევრმა შრომადღეზე 16 კილო პური მიიღო. არიან ისეთი კომლები, რომლებსაც შრომადღეზე 800-900 ფუთი პური შეხვდათ. ასეთებია: ილიკო პატაშვილი, ზაგუდაევი, მ. წოწლაური და სხვ.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ წნორის ქარხნიდან სტახანოველი მუშა ორლოვი, ძველი ანაგის „სტალინის" სახ. კოლმეურნეობის წევრი სტახანოველი ქალი ნინო ბეგიაშვილი, რომელსაც გამომუშავებული აქვს 400 შრომადღე (სიღნაღის რაიონში ყველა ქალზე მეტი), სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თეიმურაზ ტარყაშვილი, წითელ არბოშიკის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ორდენოსანი ფერმის გამგე ამხ. ლ. ბალიაშვილი. ვრცელი შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სოფ. ჯუგაანის კოლმეურნეობის დელეგატმა ორდენოსანმა მეწველმა ამხ. სანდრო შანშიაშვილმა.

კამათში გამოვიდა 20 დელეგატი, რომლებმაც ილაპარაკეს იმ უდიდეს მიღწევებზე, რომელიც აქვს სიღნაღის რაიონს. დელეგატებმა თავის სიტყვებში სტალინური კონსტიტუციის განხილვას დაუკავშირეს თავიანთი წარმატებები და დასახეს ახალი საბრძოლო ამოცანები შემდგომი მუშაობისათვის. განსაკუთრებით შეეხნენ საბჭოების სექციებისა და დეპუტატთა მუშაობას.

ამავე დროს დელეგატები ლაპარაკობენ ნაკლოვანებებზე, რომელიც ახასიათებდა მათი სოფლის საბჭოების მუშაობას.

დასასრულ ყრილობა ერთსულოვნად იწონებს სტალინური კონსტიტუციის პროექტს. რაიონის ყრილობამ საქართველოს მე-8 საგანგებო ყრილობის დელეგატებად აირჩია 11 მოწინავე ამხანაგი.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს, ამხანაგ ბერიას და ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის ხელმძღვანელებს.



მანდარინის ხეხილიანი ნარგავები აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობა „ილიჩში"

დღეს ქედლებში ხარობენ...

სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვის შემდეგ ორმაგად გაიზარდა თვითეული ჩვენგანის ინიციატივა და შრომისუნარიანობა საბჭოთა თუ საკოლმეურნეო საქმიანობაში. სტალინური კონსტიტუციის პროექტმა გაათბო ჩვენი [illegible] რება სიყვარულით, სიხარულით და ბედნიერებით, აამაღლა მასების ენთუზიაზმი და განამტკიცა სოციალიზმის ბრწყინვალე მომავლის რწმენა. ქედელი კოლმეურნეები მთელი გულით და სულით ხელს უწყობენ საამური ცხოვრების ძირითად კანონთა ამ დიდ ხარტიას.

ქედელთა სოფელს ველარ იცნობთ, აქ ახლა სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. ჩვენი 560 ახალგაზრდა სკოლებში სწავლობს, გვაქვს კოოპერატივი, კლუბი, სამკითხველო, [illegible], სასოფლო - სამეურნეო მანქანები, სწრაფად მიდის წინ ჩვენი სოფლის კეთილმოწყობა, უკვე მთავრდება [illegible]. ჩვენი კოლმეურნეობები ბოლშევიკური კოლმეურნეობები ხდებიან, ყოველი კოლმეურნე - შეძლებული.

ქედლების ოჯახებში ნახავთ [illegible], სხვადასხვა საკრავ ინსტრუმენტებს, კარგი გემოვნებით შერჩეულ პატეფონის ფირფიტებს... ასეთია დღეს ქედლები... საამურად ცხოვრობენ და ხარობენ დღეს ქედლები.

კობა ჩოხელი.

ზემოქედის კოლმეურნეობა „კომუნის გზის" ორდენოსანი თავმჯდომარე, საქართველოს საბჭოების მე-8 ყრილობის დელეგატი.

◇ ◇ ◇

ბედნიერი ვარ

სტალინური კონსტიტუციის პროექტში წითელი ზოლივით გატარებულია ადამიანებზე ზრუნვა. ჩვენ ამას პრაქტიკულად ვხედავთ. ჩვენი ქარხნის მუშების უმრავლესობა წელს აგარაკებზე ისვენებდა. აგარაკებზე გაგზავნილი იყვნენ აგრეთვე მუშების ოჯახის წევრებიც, მათი ცოლები და ბავშვები. რომელ სხვა ქვეყანაში ზრუნავენ ასე ადამიანზე? მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვებულ ქვეყანაში.

მე ვხედავ ახლა, როგორ ბედნიერად იზრდებიან ჩემი ბავშვები. პატარაობიდან ისინი იზრდებოდნენ საბავშვო ბაღებში, ახლა უკვე სკოლაში სწავლობენ.

ამხანაგ სტალინს მე დავპირდი, რომ ცვლაში 4,5 ვაგონის ნაცვლად შევაკეთებდი 20 ვაგონს. ეს დაპირება პირნათლად შევასრულე, უკანასკნელ დღეებში ახალი ნორმების მიხედვით გეგმა 840 პროც. შევასრულე.

საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობას ჩემი ბრიგადა ახალ საჩუქარს უძღვნის. გეგმაზე ზევით მივცემთ 5 ვაგონს, რომლის რემონტი ღირს 13 ათასი მანეთი.

ჩვენ, დიდი სტალინის სახელობის ქარხნის მუშები, ვგრძნობთ, რომ დიდი სიამაყე და სიხარულია იყო საბჭოთა მოქალაქე.

ჩვენ საბჭოთა კავშირის სიმდიდრისა და ძლიერებისათვის ვიბრძოლებთ.

ი. ხალიაპინი.

სტალინის სახელობის ქარხნის ორდენოსანი მუშა.

◇ ◇ ◇

ჩემი სიხარული

ჩვენი რაიონის ყრილობამ საქართველოს საბჭოების ყრილობის დელეგატად ამირჩია. აი, უკვე დავამთავრე მძრალად ხვნა, სოფ. დირბში გავაჩერე ჩემი ტრაქტორი და გამოვედი ყრილობაზე დასასწრებად.

ყრილობას წარმატებით შევხვდი: მანქანა - სატრაქტორო სადგურმა ცნობები შეაჯამა, და გამოირკვა, რომ მე დღემდე მოხნული მაქვს 2080 ჰექტარი.

ყრილობის მოწვევამდე ენტუზიაზმით ვსწავლობდი სტალინური კონსტიტუციის პროექტს. რამდენი ახალი რამ შემოაქვს მას ჩვენს ცხოვრებაში!

სიხარულითა და ბედნიერებითაა ამსჭვალული ჩემი ცხოვრება. ყველასი — თვითეული კოლმეურნის, ტრაქტორისტისა და მემანქანის საპატიო მოვალეობაა პატიოსნად იშრომონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გასამდიდრებლად და გასაძლიერებლად.

საბჭოების მერვე საკავშირო ყრილობა სტალინური კონსტიტუციის პროექტს კანონად აქცევს. ამ ყრილობასაც ახალი წარმატებებით შევხვდები.

რუსიშვილი.

ორდენოსანი ტრაქტორისტი.

◇ ◇ ◇

ჩვენი მიღწევები

ქ. ორაგველიძე

საქართველოს საბჭოთა ყრილობას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვდება მნიშვნელოვანი მიღწევებით.

რაში გამოიხატება ეს მიღწევები? სასწავლო ხაზით გამდიდრდა ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოწყობილობა, გაძლიერდა მათი მატერიალური ბაზა, შეიქნა მთელი რიგი ახალი ლაბორატორიები და კაბინეტები. ამან ხელი შეუწყო სასწავლო საქმის უკეთ დაყენებას. განმტკიცდა სასწავლო რეჟიმი. სწარმოებდა ბრძოლა სწავლის მაღალი ხარისხისათვის. საინტერესოა, რომ მიუხედავად გადიდებული აკადემიური მოთხოვნილებისა, სტუდენტების საშუალო ნიშანი გაიზარდა. ასე, მაგალითად, თუ გასული წლის პირველ სემესტრში საშუალო ნიშანი უდრიდა 3,66, მეორე სემესტრში იგი შეადგენდა — 3,82. გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი. თუ 1 სემესტრში (გასულ წელს) ფრიადოსნები შეადგენდა 62 კაცს, მეორე სემესტრში იყო 147. უკანასკნელი წელი იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრეების გაძლიერების და მათში სტუდენტობის მასობრივად ჩაბმის წელი. სტუდენტთა 24 სამეცნიერო წრეში, რომლებიც არსებობდნენ უნივერსიტეტში გასულ წელს, გაერთიანებული იყო ორი ათას კაცზე მეტი და მათი დასწრება სხდომებზე 84.5 პროც. უდრიდა. სტუდენტებმა გააკეთეს 125 მოხსენება, რომელთა შორის ზოგი მნიშვნელოვანი მეცნიერულ ღირებულებისა იყო.

საკავშირო კომპარტიის ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება უმაღლესი სკოლის შესახებ უნივერსიტეტის მთელი მუშაობის პროგრამად იქცა. ამ დადგენილების საფუძველზე სწარმოებს მთელი მუშაობის გადახალისება. გადასინჯულ იქნა სასწავლო პროგრამები და სასწავლო გეგმები, მოხდა სპეციალობათა ნომენკლატურის დაზუსტება. 36 სპეციალობის ნაცვლად ახლა უნივერსიტეტში გვაქვს 18 სპეციალობა.

სასწავლო მუშაობის წინსვლას, მისი ხარისხის ამაღლებას ხელი შეუწყო სახელმძღვანელოების გამოცემამ. წელს 35-მდე სახელმძღვანელო გამოიცა.

სამეცნიერო ხაზით უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტებმა და კათედრებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამის დამადასტურებელი იყო სამეცნიერო სესია, რომელიც ჩატარდა მაისში, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომლებმა გადაიშალეს სურათი თავიანთი მუშაობისა. სესიაზე წაკითხულ იქნა 60-მდე მოხსენება. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომების" გამოცემა. მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში გამოიცა ხუთი დიდი ტომი „შრომებისა". „შრომების" სისტემატური გამოცემა მაჩვენებელია ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო დავაჟკაცებისა, მისი მუშაობის აღმავლობისა. მაგრამ მარტო „შრომებით" როდი ამოიწურება უნივერსიტეტის სამეცნიერო პროდუქცია. იცემა ცალკე ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომები, ითარგმნება სახელმძღვანელოები. უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომლები დიდ მუშაობას ეწევიან რუსთაველის საკითხების დასამუშავებლად. მათი აქტიური მონაწილეობით დადგინდა ლიტერატურული ქართულის ნორმები, რომლებიც უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად.

უნივერსიტეტი დიდ მუშაობას ეწევა საქ. ისტორიის დარგში უცხოეთის და სხვა ძველი წყაროების გამოცემისათვის. სულ მოკლე ხანში გამოვა აგრეთვე დიდი ტომი „რუსულ - ქართული ლექსიკონისა" (45 ფორმა უკვე დაიბეჭდა, აწყობილია კიდევ 11 ფორმა).

კულტამზრდელობით და საყოფაცხოვრებო საკითხებსაც მნიშვნელოვან ყურადღებას ვაქცევთ. უნივერსიტეტს არ ახსოვს გეგმაზეწონილი, სისტემატური მუშაობა კულტურულ - აღმზრდელობით დარგში. ეს ახალი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. კლუბთან და საერთო საცხოვრებელთან ჩამოყალიბებულია წრეები, რომლებშიაც მრავალი სტუდენტია ჩაბმული. სისტემატურად იმართება თვითმოქმედების საღამოები, დისპუტები. საუკეთესო მწერლების საღამოების მოწყობასაც შევუდექით. სტუდენტთა შორის გამომჟღავნებული არიან ახალი კულტურული ძალები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიადაში, ამ ოლიმპიადაში უნივერსიტეტმა მოწინავე ადგილი დაიჭირა.

ფიზიკური კულტურა ჩამორჩენილი დარგი იყო უნივერსიტეტში. მთელი წლის მუშაობის შედეგად შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ ფიზიკური კულტურის დარგში უნივერსიტეტმა დაიჭიროს მოწინავე ადგილი.

იზრდებიან ახალი სამეცნიერო კადრები. წელს უნივერსიტეტმა გამოუშვა ოცზე მეტი ასპირანტი. ბევრმა მათგანმა უკვე წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაცია. გასულ წელს მოეწყო მთელი რიგი დისერტაციების დაცვა, რაც დამამტკიცებელი საბუთია ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერული კადრების ზრდისა.

ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის განმტკიცებას. გაიზარდა უნივერსიტეტის ბიუჯეტი. გაიშალა ახალი მშენებლობა. უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის გვერდით შენდება ახალი კორპუსი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების პირობებში, მხოლოდ ჩვენი ზემდგომი ორგანოების და პირადად ამხ. ლავრენტი ბერიას ყოველდღიური დახმარებისა და მზრუნველობის პირობებში იყო შესაძლებელი ასეთი მიღწევები.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ უნივერსიტეტს კიდევ ბევრი რამ ესაჭიროება. ჩვენს მუშაობას კიდევ ბევრი ნაკლი აქვს და კიდევ დიდი მუშაობა დაგვჭირდება მათი აღმოფხვრისათვის.

ბ. ბერაძე

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი

აღმავლობის გზით

პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ, რომელიც ჩატარდა ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ინიციატივით, საფუძვლიანი გარდატეხა მოახდინა პარტიის რიგების განმტკიცებისა და პარტიულ-მასობრივი მუშაობის აღმავლობის საქმეში.

პარტიის რიგების გაწმენდის შემდეგ თვალსაჩინოდ გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების და თვითეული კომუნისტის სიფხიზლე, მისი ბრძოლის უნარიანობა და საწარმოო აქტივობა. კომუნისტები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ მშენებლობაში, კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და აღმავლობის საქმეში.

რაიონის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში პარტიული დოკუმენტების გამოცვლის მთელ მოსამზადებელ პერიოდში მრავალი ნაკლი და მუშაობის სუსტი მხარე გამომჟღავნდა. მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტი.

პარტდოკუმენტების შემოწმების პროცესში ძალიან სუსტად მუშაობდა რაიაღმასკომის პარტორგანიზაცია. ხშირი იყო პარტიული კრებების ჩაშლა, კომუნისტების დასწრება კრებებზე 40—50 პროცენტს აღწევდა, კომუნისტების აქტივობა დაბალი იყო, პარტგანათლების ქსელში მუშაობა ჩაშლილი იყო. უდისციპლინობა მეფობდა.

რაიკომის ბიურომ შეამოწმა აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობა და მისცა მას მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი სუსტი მხარეების გამოსასწორებლად. რაიაღმასკომის პარტორგანიზაციამ გამოასწორა ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი, გარდაქმნა მუშაობა და ახლა უკეთესად, უფრო მომზადებულად ატარებს პარტიულ კრებებს. გაიზარდა კომუნისტების აქტივობაც.

სუსტად მუშაობდა ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციაც. იგი სუსტად იყო დაკავშირებული ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივთან. სუსტი იყო მასობრივ-საგიტაციო მუშაობა. იქ ზოგიერთი პასიური კომუნისტიც იყო. საწარმოო მაჩვენებლების შესრულების მხრივაც კომუნისტები ვერ იძლეოდნენ მაგალითს. კომუნისტები არტემ ჩიგოგიძე და ვარდენ სიმონიშვილი არ ესწრებოდნენ პარტიულ კრებებს, ჩამორჩებოდნენ პოლიტმომზადების მხრივაც. რაიკომის მიერ დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე ჩაის ფაბრიკის პარტორგანიზაციამ შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა და ამჟამად მტკიცედ ხელმძღვანელობს კომუნისტების და ფაბრიკის მთლიანი კოლექტივის მუშაობას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად.

პარტდოკუმენტების გამოცვლის შემდეგ თვალსაჩინოდ გაიზარდა კომუნისტების მუშაობა კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში. კომუნისტები თვითონ არიან მაგალითის მაჩვენებლები წარმოებაში. კომუნისტი მატრონა შავიშვილი (ახალშენის პარტორგანიზაცია) ყოველდღიურ დავალებებს 30—35 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებდა. იგი ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში პირველთა რიგებში იდგა. კომუნისტი მოსე ქავთარაძე ჩაის თოხნის და კულტივაციის დღიურ ნორმებს 125 პროცენტით ასრულებდა. პარტწევრობის კანდიდატი ამხ. ლონგინოზ კაპალეიშვილი ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს დღიურ ნორმებს. ის როგორც სტახანოველი კოლმეურნე, დაწინაურებული იქნა ბრიგადირად და მისი ბრიგადა საწარმოო დავალებათა შესრულების მხრივ მოწინავეთა რიგებში ითვლება. ასეთი მაგალითები შეიძლება მრავალი დავასახელოთ რაიონის პარტორგანიზაციების მუშაობიდან.

პარტდოკუმენტების გამოცვლის პროცესში დამატებით გამოვამჟღავნეთ ისეთი პირნი, რომლებიც თავს აფარებდნენ პარტიას და სინამდვილეში აქტიური ტროცკისტები და გაიძვერები აღმოჩნდნენ. ისინი იყვნენ წარსულში აქტიური კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები: ვ. მათიკაიშვილი, ნ. კვინტრაძე, ს. ლომთათიძე, მ. ცინცაძე, დ. ცხომელიძე და ნ. ჩიჩუა, რომელნიც პარტიის რიგებიდან გავრიცხეთ.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების რკინისებურმა ხელმძღვანელმა, დიდი სტალინის სახელოვანმა მოწაფემ ამხ. ლავრენტი ბერიამ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა საბრძოლო ამოცანები კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და აღმავლობის საქმეში.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია განუხრელად ატარებს ცხოვრებაში ამხ. ლ. ბერიას მითითებებს.

პარტდოკუმენტების გამოცვლის პროცესში ჩვენ სერიოზული ყურადღება მივაქციეთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობისა და კოლმეურნეობებზე პარტიული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას. გამომჟღავნებულ იქნენ ზოგიერთი პარტორგანიზაციები, რომლებიც სუსტად ხელმძღვანელობდნენ საკოლმეურნეო მშენებლობას და კომუნისტები გაურბოდნენ კოლმეურნეობაში პრაქტიკულ ხელმძღვანელ მუშაობას.

ზემო-ფარცხმის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია 25 კომუნისტს აერთიანებს, ხოლო კოლმეურნეობის ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობდა ერთი კომუნისტი (თავმჯდომარე), ბრიგადირები ყველანი უპარტიოები იყვნენ. ეს საკითხი პირველადს პარტიულ ორგანიზაციასა და კოლმეურნეობაში დამუშავდა და ბრიგადირებად დაწინაურებულ იქნენ კომუნისტები.

ქვაბლის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია 9 კომუნისტს აერთიანებს, ხოლო კოლმეურნეობაში თავმჯდომარე და ბრიგადირები ყველანი უპარტიოები იყვნენ. პარტორგანიზაციასა და კოლმეურნეობაში საკითხის დამუშავების შედეგად აღნიშნულ კოლმეურნეობაშიაც გატარდა კომუნისტების ხელმძღვანელ სამუშაოებზე დაწინაურება.

სულ პარტდოკუმენტების გამოცვლასთან დაკავშირებით დაწინაურებულ იქნა 32 კომუნისტი: 5 — პარტორგად, 6 — სოფსაბჭოს თავმჯდომარედ, 9 — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 10 — ბრიგადირ ხელმძღვანელად კოლმეურნეობებში, 2 — კოოპერაციის ხაზით სამუშაოდ.

რაიკომი ყურადღების ცენტრში აყენებდა და აყენებს კომუნისტთა აქტივობის და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. პასიური კომუნისტების აქტიურ პარტიულ მუშაობაში ჩაბმას. ზოგიერთი კომუნისტი, რომელიც წინათ პასიური იყო, ამჟამად მოწინავე და აქტიურ კომუნისტებად ითვლებიან. მაგალითად, ჯიმშერ ჩხიკვაძე (ჩოხატაურის კოოპერაციის პარტორგანიზაცია) პარტიულ კრებებს ხშირად აცდენდა, პარტიულ დავალებებს არ ასრულებდა, პარტიული სწავლების ქსელში მეცადინეობას ხშირად აცდენდა და საკუთარ თავზე სუსტად მუშაობდა. პარტორგანიზაციის კონკრეტული დახმარებით ამხ. ჩხიკვაძე ახლა გამოსწორდა და პარტიის აქტიური წევრი გახდა. ის შეტანილ იქნა დასაწინაურებელთა რეზერვის შემადგენლობაში.

ერთეულმა კომუნისტმა, პარტწევრობის კანდიდატმა ამხ. ჭკუასელმა პარტდოკუმენტების გამოცვლისას განაცხადა: „ერთეულ კომუნისტთა მოწვეულ თათბირზე მოცემულმა მითითებებმა ჩემში დიდი გარდატეხა მოახდინა. ერთერთი შეკრების დროს თქვენ პარტიის წესდება გამომკითხეთ. მაშინ კარგად არ ვიცოდი. ახლა წესდება კარგად შევითვისე და პრაქტიკულად ვატარებ მას ცხოვრებაში". გამოირკვა, რომ ამხ. ჭკუასელს საგრძნობლად აუმაღლდა თავისი პოლიტმომზადების დონე და როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კოლმეურნეობასაც კარგად უძღვება.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია უფრო ფხიზლად, უფრო შეუპოვრად მუშაობს პარტიის რიგების სიწმინდისათვის. ამჟამად ვაწარმოებთ მოსამზადებელ მუშაობას პარტიაში ახალი მიღებისათვის.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან და პარტიის უახლოეს რეზერვთან — თანამგრძნობებთან დიდი მუშაობა სწარმოებს. თვითეულ პარტკანდიდატზე პარტორგანიზაციის მიერ მიმაგრებულია პარტიის მომზადებული და აქტიური წევრი. ისინი ყოველმხრივ ეხმარებიან პარტკანდიდატებს პოლიტცოდნის დონის ამაღლების და ბოლშევიკური მუშაობის ჩვევათა ათვისების საქმეში და ამზადებენ მათ პარტიის წევრებად გადასაყვანად.

თანამგრძნობები ნამდვილად იზრდებიან პრაქტიკულ სამუშაოზე. თანამგრძნობი ქ. ცენტერაძე კარგად მუშაობს თავისი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად, საკოლმეურნეო შრომაში სტახანოველად ითვლება. იგი ამიერ-კავკასიის (ვაკის) წევრია და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. თანამგრძნობთა რიგები იზრდება მოწინავე ადამიანებით — სტახანოველებით და დამკვრელებით — აკაკი ძნელაძე, უშანგი ძნელაძე, ანგიოზ ბოცვაძე, ბენია კუშელავა და მრავალი სხვა კოლმეურნეობებში დამკვრელები და სტახანოველები არიან.

რაიონში ყველა თანამგრძნობზე პარტორგანიზაციების მიერ მიმაგრებული არიან პარტიის აქტიური წევრები. თანამგრძნობები ჩაბმული არიან პარტიულ სწავლებაში. გარდა ამისა, მათ ეძლევათ შესაფერისი პარტიული დავალებანი. ამრიგად ემზადებიან ისინი პარტიაში შესასვლელად.

ასევე სერიოზული მუშაობა სწარმოებს კომკავშირელებს შორის. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირის პირველად ორგანიზაციების მიმართ უფრო ოპერატიული და კონკრეტული გახდა. მაგრამ აქაც არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ზოგიერთი პარტორგანიზაცია სუსტ დახმარებას უწევს კომკავშირის სწავლებისა და აღზრდის საქმეს, პარტმიმაგრება ფორმალურ ხასიათს ატარებს (ბუღლეთი, ქვაბლარმეთი და სხვ.)

ჩოხატაურის რაიონის ბოლშევიკები ახლა უფრო მეტი მონდომებით მუშაობენ და ემზადებიან პარტიის რიგების ახალი ჯანსაღი შევსებისათვის, გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციის, თვითეულ კომუნისტს მტკიცედ ახსოვს ამხ. ლავრენტი ბერიას მითითება შემტევი რევოლუციური სიფხიზლის შესახებ. და ხელმძღვანელობს ამ მითითებით. პარტიის რიგებიდან კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა თვითეულ ნაშთების საბოლოოდ განდევნით, და პარტიის რიგების უფრო და უფრო შემჭიდროვებით, თვითეული კომუნისტის ბრძოლისუნარიანობის უფრო მაღალ დონეზე აყვანით რაიონის პარტიული ორგანიზაცია უზრუნველჰყოფს რაიონისათვის მოცემული ყველა დავალების თავის დროზე, გადაჭარბებით და ხარისხობრივად შესრულებას.

◆



ტფილისის სამგზავრო ვაგონთა დეპოს კოლექტივს მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლების გამო უკვე მესამე წელია უპყრია გაზ. „კომუნისტის" გარდამავალი დროშა. სურათზე: დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. ერზიკიანი და ბრიგადირი კოტლიაროვა ამოწმებენ ახლად—გამზადებულ ბანდაჟებს.
ფოტო ბუდემსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები

ამხ. ლ. ბერიას, გ. მგალობლიშვილს, ი. ზელენსკის.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, დიდი პროლეტარული რევოლუციის XIX წლისთავისათვის გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა, დამტკიცებული მთავრობის მიერ 346 მილიონი მანეთის ოდენობით, შესრულებულ იქნა 24 ოქტომბრისათვის. საქონელბრუნვის გადიდებული გეგმა — 366 მილიონი მანეთის თანხისა 5 ნოემბრისათვის შესრულებულია 366,4 მილიონი მანეთის ოდენობით, მაშინ როცა საქონელბრუნვა მთელი 1935 წლის განმავლობაში შეადგენდა 277 მილიონ მანეთს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, პირველად მთელი რიგი წლების განმავლობაში, უზრუნველყო ყველა რგოლისა და თავისი სახსრების ყველა დარგის რენტაბელობა: 1936 წლის სამ კვარტალში მიიღო 14,7 მილიონი მანეთი მოგება, მაშინ როცა დაგროვების წლიური გეგმა უდრის 11,8 მილიონ მანეთს.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ვალდებულებას კისრულობს 1936 წლის ბოლომდე ჩვენი ორდენოსანი საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეებს დამატებით მიჰყიდოს კიდევ 100 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს დამზადების ყველა გეგმა, უზრუნველყოს კოოპერატიული ორგანიზაციების და მათი საწარმოების რენტაბელობა, საბოლოოდ აღმოფხვრას გაფლანგვა და დანაკლისი, დანერგოს ვაჭრობის კულტურული ფორმები, უზრუნველყოს ნამდვილი კულტურული ვაჭრობის შემდგომი გაშლა, შეინარჩუნოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის „ცენტროსოიუზის" გარდამავალი წითელი დროშა.

ვ. შენიაშვილი
ცეკავშირის თავმჯდომარე

◇ ◇ ◇

წლიური გეგმა შესრულებულია

ტფილისის აგურის ქარხანა № 6-მა 1 ნოემბერს შეასრულა წლიური გეგმა. 3 მილიონ ცალი აგურის ნაცვლად ქარხანამ გამოუშვა 3.200.000 ცალი. წითელი აგურის გამოშვების გეგმა კი შესრულებულია 114,8 პროცენტით.

ქარხანა შეუდგა ამხ. ლ. ბერიასათვის მიცემული პირობის — ნედლი აგურის დამატებითი გამოშვების შესრულებას.

მეტი ვენახი, მეტი ხეხილი!

ვ. კახიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღის რაიონში ეგრეთწოდებული წინამხრის ნიადაგი, განსაკუთრებით სარწყავი ქსელის მარჯვენა-მარცხენა ზოლი, საუკეთესოა მევენახეობის განვითარებისათვის, — მევენახეობას აქ უკანასკნელ დრომდე მაინც არ ექცეოდა საკმაო ყურადღება.

ამჟამად რაიონში ვენახებს უჭირავთ 1160 ჰექტარი, უმთავრესად კოლმეურნეების საკარმიდამო მიწებზე. ამას გარდა 80 ჰექტარი ვენახი აქვს ამხ. ლ. ბერიას სახელობის ხირსის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც წელს პირველი ნაყოფი მისცა. აქაური ჯიშებია უმთავრესად რქაწითელი, კახური მწვანე და საფერავი.

არსებულს გარდა საკოლმეურნეო სექტორში 1940 წლამდე უნდა გაშენდეს რაიონში ახალი ვენახი 1340 ჰექტარზე. აქედან 1936 წ. — 52 ჰექტარი, 1937 წ. — 210 ჰექტარი, 1938 წ. — 300 ჰექტარი, 1939 წ. — 350 ჰექტარი, ხოლო 1940 წ. — 428 ჰექტარი, — რითაც ვენახის ფართობი, ხირსის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით, აყვანილ იქნება 2.500 ჰექტარამდე (ხირსის საბჭოთა მეურნეობაში ვენახი გაშენდება სულ 350 ჰექტარზე).

ახალი ვენახები გაშენდება ანაგის, ვაქირის, საქობოს, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ტიბაანის, ძველ-ანაგის, ვაჩნაძიანის, არბოშიკის და სხვა სოფლის კოლმეურნეობათა განსაზოგადოებულ მასივებზე.

ახლად გასაშენებელი ვენახებისათვის ნიადაგის მაღალხარისხოვნად მომზადების მიზნით, სავალდებულოდ არის მიღებული ვენახის გაშენებამდე 4-5 თვით ადრე ნიადაგის ორპირად დაბრუნება, ურწყავში 55—60 და სარწყავში 50—55 სანტიმეტრის სიღრმეზე. ამასთანავე სავალდებულოა ვენახის დარგვის წინ ორპირის ხელმეორედ გადახვნა ან ცალპირად დაბარვა და ზედაპირის მძიმე ფარცხით მოსწორება.

რაიონში ძირითადად გაშენდება რქაწითელი, საფერავი და კახური მწვანე ჯიშის ვაზები. ხოლო საქობოს, ბოდბისხევის, ჯუგაანის და ტიბაანის კოლმეურნეობათა სარწყავ ნაკვეთებში 1940 წლამდე გაშენდება აგრეთვე სუფრის ყურძნის ჯიშები — ალექსანდროული, თავრიზი, კორინთონი და სხვა — არა ნაკლებ, ვიდრე 250 — 300 ჰექტარზე. აღნიშნული გეგმები უკვე დაყვანილია კოლმეურნეობებამდე.

ვენახებში დარგული მასალის მაქსიმალურად გახარებისა და შემდგომში მისგან ხარისხოვანი ნაყოფის მიღების მიზნით ზუსტად გატარდება მევენახეობაში მიღებული აგროწესები და მექანიზაცია.

სავენახედ შერჩეულია ახალი ფართობები მაღაროს, ბოდბის, ნაჩხაანის, მირზაანის, არბოშიკის და წითელ-წყაროს სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებისათვის, რაიმიწგანი აწარმოებს ამ ადგილების დაკვალვას, რაც წლის დასასრულს მოთავდება.

ამერიკული ვაზის სადედის და სანერგის გასაშენებლად 1937 წლის გაზაფხულზე მომზადდება ნიადაგი 97,5 ჰექტარზე. აღნიშნული გეგმები უკვე დაყვანილია სას. საბჭოებამდე და კოლმეურნეობებამდე.

მიღებული გეგმის მიხედვით მიმდინარე წლის ნოემბერში ამერიკულ ვაზს აჭრიან 120 სანტიმეტრის სიგრძის 733.000 ცალ ლერწს. ლერწი აიჭრება ჯიშების მიხედვით, დახარისხდება და სათანადოდ შეინახება. ამერიკული მაღალხარისხოვანი საძირე ლერწის მაქსიმალური მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მთელი რიგ აგროღონისძიებათა გატარება.

1937 წლის გაზაფხულზე გაშენდება აგრეთვე ამერიკული ვაზის სადედე 20 ჰექტარზე. ეს მუშაობა მოეწყობა ნიადაგთან ვაზის ჯიშების შეფარდებით და სარწყავ ადგილების სრულიად ვარგის ფართობებზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1937-38 წლებში ახალი ვენახი უნდა გაშენდეს 360 ჰექტარზე. სარგავი მასალის უზრუნველსაყოფად 1937 წლის გაზაფხულზე მყნობის გეგმა განსაზღვრულია 1.713.000 ცალით, რაც დანაწილებულია ჯიშების და სოფლის საბჭოების მიხედვით. 1940 წლისათვის კოლმეურნეობებში მოეწყობა აგრეთვე 8 სათბური. მყნობისათვის კვირტის დამზადების გეგმა განსაზღვრულია 380.600 ცალით.

არსებული ვენახების მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სავალდებულოდ არის მიღებული: ვენახების ხვნა 4-5-ჯერ, კულტივაცია — 4-ჯერ, ვაზის ძირების გამოთოხნა — 2-3-ჯერ. ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსავლის მაქსიმალურად გადიდების უზრუნველსაყოფად გატარდება მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებები: დროული წამლობა, გაფურჩქვნა და თავების გადაჭრა. მიმდინარე წლის შემოდგომაზევე ვენახები მთლიანად დარემონტდება.

რაიონში მევენახეობის განვითარებისათვის დასახულია მთელი რიგი დამხმარე ღონისძიებები. საკოლმეურნეო სექტორში მევენახეობის დარგში აგრომომსახურების გაძლიერების მიზნით საქ. სამტრესტის ღვინის დამზადების რაიგანყოფილება 1937 წელში აიყვანს 1 მევენახე აგრონომს და 5 მევენახე აგროტექნიკოსს; შესაფერის ადგილებში მოეწყობა მეორე კატეგორიის მეტეოროლოგიური სადგურები; სარწყავი ვენახების წყლით უზრუნველყოფის მიზნით მევენახეობის ზოლში გაიწმინდება არსებული არხები და გაყვანილ იქნება ახალი; შესადგმელი მასალით (სარები) ვენახების უზრუნველსაყოფად 1940 წლამდე გაშენდება აკაციის 250 ჰექტარი ხელოვნური ტყე, რისთვისაც გამოყენებული იქნება სარწყავ ზოლში სავენახედ უვარგისი ადგილები.

ამას გარდა, მასობრივი კვალიფიციური კადრების გამოზრდის მიზნით, 1940 წლამდე რაიმიწგანის საშუალებით კოლმეურნეთაგან მომზადდება მონამყენე, მეღვინე და მევენახე — სულ 1.278 კაცი.

ხარისხოვანი ღვინის მიღების უზრუნველყოფის მიზნით სამტრესტის რაიგანყოფილების საშუალებით ადგილზე მოეწყობა ყურძნის სიმწიფის ლაბორატორიული შემოწმება, რის მიხედვითაც განისაზღვრება მოსავლის აღების ვადები. ყურძნის მიღება იწარმოებს ჯიშების მიხედვით. მთელი ჩაბარებული პროდუქციის არა ნაკლებ 10 პროცენტისა გადაირჩევა სრულიად საღი და მწიფე ყურძენი მაღალხარისხოვანი კახური ღვინის დასაყენებლად.

ორიოდე სიტყვა მეხილეობის შესახებ. ვენახის, მარცვლეულისა და თამბაქოს გარდა, რაიონში კარგად ხარობს აგრეთვე ხეხილი. მიმდინარე წელს გაშენდება ვაშლი, ატამი, ნუში ლეღვი და ბროწეული სულ 476 ჰექტარზე, აქედან კოლმეურნეობებში 123 ჰექტარი, ხოლო კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე — 353 ჰექტარი.

როგორც ამხ. ლ. ბერიამ აღნიშნა, „სხვა კულტურებთან ერთად საქართველოში მეხილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხური მეურნეობის ეკონომიკისათვის. მას განვითარების სრული პერსპექტივა აქვს". და ჩვენი ამოცანაა მეხილეობის განვითარებას სერიოზული ყურადღება მივაქციოთ.

◇ ◇ ◇

მეჩაიე სტახანოველ კოლმეურნეთა შეკრებაზე

(ზუგდიდი „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სახელმწიფო თეატრის დიდი დარბაზი ხალხით გაიჭედა. მეჩაიეთა სარაიონო შეკრება გახსნა საქ. კ.პ.(ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გვასალიამ. საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ შეკრებამ მქუხარე ტაშითა და ოვაციებით აირჩია საპატიო პრეზიდიუმში საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხ. დიმიტროვი, ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ი. გვასალია, რომელიც შეეხო იმას, თუ როგორ წაიყვანა შეძლებული ცხოვრების გზაზე კოლმეურნე გლეხობა ჩაის კულტურის განვითარებამ, როგორ შეცვალა ჩაიმ საკოლმეურნეო სოფლისა და რაიონის ეკონომიური სახე. თავის სიტყვის დასასრულს მან აღნიშნა ის ღონისძიებები, რომლებიც შემოდგომა-ზამთარში უნდა გატარდეს ჩაის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხაზით.

— ჩვენი პლანტაციები — ამბობს ამხ. გვასალია — გამეჩხრებულია, თუ მეჩხერიანობა მოკლე დროში არ მოვსპეთ, ისე მოსავლიანობის გადიდებაზე ლაპარაკი ზედმეტია. გადაუდებელი ამოცანაა: მომავალ წელს ჰექტარზე მივიღოთ 1600 კილოგრამი ფოთოლი და ჩავაბაროთ სახელმწიფოს სულ მცირე — 2.500.000 კგმ. ჩაის მწვანე ფოთოლი. სტახანოველთა ყურადღება სწორედ აქეთ უნდა იქნას წარმართული. მიმდინარე წლის ჩაის საშემოდგომო სამუშაოები, 1937 წლის ჩაის ყველა სახის სამუშაო ჩვენ უფრო მეტი წარმატებებით უნდა შევასრულოთ.

შემდეგ ილაპარაკა ზედაეწერის მ. ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობის № 2 ბრიგადის ხელმძღვანელმა ბესთორდიამ.

შეკრება მქუხარე ტაშით შეხვდა მოხუცი სტახანოველის ელისა ფიფიას გამოსვლას.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველები.

ისინი ერთსულოვნად აცხადებდნენ, რომ წარმატებით შეასრულებენ ჩაის საშემოდგომო სამუშაოებს და კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მოსავლიანობას.

ჩაის საშემოდგომო და 1937 წლის ყველა სახის სამუშაოთა ვადაზე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის შეკრებამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მახარაძის რაიონი.

შეკრებამ მისალმებით მიმართა გამობრძმედილ სტალინელს ამხ. ლ. ბერიას.

პრ. ზვაზავა.

რემედასის V ყრილობა

მეორე დღე

ამხ. გ. სტასოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დენისოვმა (აფხაზეთი), წითელარმიელმა ხუბუამ (ქუთაისი), ამხ. გ. [illegible] [illegible] კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. [illegible] და სხვ.

ამხ. ს. მეგრელიშვილის მოხსენება

რემედასის მეხუთე ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისიის სახელით ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. სერგო მეგრელიშვილი.

— 3—4 წლის წინათ, — განაცხადა მან, — რემედასის საქართველოს ორგანიზაციას ერთერთი პირველი ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში. 1934 წელს გაიმართა რემედასის მეოთხე ყრილობა და მას შემდეგ რემედასის ორგანიზაციებმა გაუმჯობესების ნაცვლად, გააუარესეს მუშაობა. ეს მოვლენა რემედასის ორგანიზაციების ძველი ხელმძღვანელობის (ამხ. შ. ლეჟავა, ლომიძე, ნ. ენუქიძე) სრულ დაუდევრობას და უპასუხისმგებლობას, რამაც რემედასის ორგანიზაციების მუშაობის საქმის სრულ ჩაშლამდე მიგვიყვანა. რემედასის ხელმძღვანელ ორგანოში — საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტში, მათ წამოაყენეს უცხო და შეურიგებელი, ბნელი პიროვნება, ვინმე ძოწეაშვილი, რომელმაც გაფლანგა და გაანიავა მშრომელთა მიერ შეგროვილი და ფაშიზმის მსხვერპლთა დასახმარებლად გადადებული თანხები. საქართველოს რემედასის ძველმა ხელმძღვანელობამ სრულიად დაივიწყა სააგიტაციო-მასობრივი და ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა, დავიწყებას მიეცა აგრეთვე რემედასის ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობის საქმე. უხეშად დაირღვა რემედასის ორგანიზაციული წყობის ძირითადი პრინციპი დემოკრატიული ცენტრალიზმისა.

მიმდინარე წლის აპრილიდან რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომიტეტის მთელი შემადგენლობა მთლიანად იქნა გამოცვლილი. ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომისია, რომელიც შეუდგა მუშაობას რემედასის ორგანიზაციების აღსადგენად. საორგანიზაციო კომისიები მოეწყო რაიონებშიაც და მუშაობა გაჩაღდა. ამის შედეგად დღეს საქართველოს რემედასის ორგანიზაცია აერთიანებს 984 უჯრედს, 44 სარაიონო კომიტეტს, 3 საქალაქო და 3 საოლქო კომიტეტებს. რემედასის წევრთა რიცხვი ამჟამად მთელ რესპუბლიკაში 239.509-ს უდრის.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა რემედასის ორგანიზაციების წინაშე ამჟამად მდგომი ამოცანების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა პირველ რიგში მოვაწესრიგოთ ორგანიზაციული საკითხები, კარგად დავაყენოთ აღრიცხვის საქმე, ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შევასრულოთ საფინანსო გეგმა და ფართოდ გავშალოთ ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ამხ. ს. მეგრელიშვილის მოხსენება დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

უკანასკნელი სხდომები

ამხ. სერგო მეგრელიშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მომავალში საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებს აღმოეჩინოს მეტი პრაქტიკული დახმარება და ხშირად მოეწყოს რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობის შემოწმება. კამათში გამოსული ორატორები ჩერდებოდნენ საკუთარ გამოცდილებაზე და რემედასის ორგანიზაციებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრაქტიკულ ამოცანებზე.

კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბანკვეტაძემ, იგნატიადმა, გორგონიძემ, ცინცაძემ, ლეჟავამ, ჩხაიძემ, წულუკიძემ, ბარბაქაძემ და სხვებმა, გაგრძელდა ორ სხდომაზე.

11 ნოემბრის საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ საქართველოს პროფკავშირების დელეგაცია და ორჯონიკიძის რაიონის (ტფილისი) დასახლების ქალთაგან შემდგარი სანიტარული თავდაცვის რაზმის დელეგაცია. პროფკავშირთა დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სიხარულიძემ, ხოლო სანიტარული თავდაცვის რაზმის დელეგაციიდან — მარდალეიშვილმა და ჩხაიძემ.

ყრილობას მიესალმა აგრეთვე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წარმომადგენელი ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშებით მიმართა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, კომინტერნის მესაჭეს ამხ. დიმიტროვს, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას და ამხ. ელ. სტასოვას. მისასალმებელი დეპეშების წაკითხვას ყრილობა მქუხარე ოვაციებით შეხვდა.

დასასრულ ყრილობამ აირჩია საქართველოს რემედასის ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტი.

◇ ○ ◇

დამზადებულია 538.000 ცალი ციტრუსი

(ტელეფონით საკუთ. კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის რაიონში უკვე დაიწყო ციტრუსების შერჩევითი კრეფა. 13 ნოემბრისათვის დამზადებულია 538.000 ცალი ნაყოფი. მოსავალს კარგი პირი უჩანს. ჩატარებულია კონტრაქტაცია 5.500.000 ცალის დამზადებაზე. ეს 1.700.000 ცალით მეტია იმაზე რაც აქ შარშან მთლიანად დამზადდა. ციტრუსების ნაყოფი კარგი ხარისხისაა, ათი ცალი საშუალოდ 1 კილოგრამს იწონის. დამამზადებელი ორგანიზაციები ძირითადად მზად არიან — აქვთ საწყობები, ტრანსპორტი, ტარა და საკმაო რაოდენობით ყუთი მუშახელი. კრეფა დღითიდღე ძლიერდება. მაგალითად, 11 ნოემბერს რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა სულ 100.000 ცალი, 12 ნოემბერს კი — 256.000 ცალი.

ტ. აცანელი.

◇ ◇ ◇

ოქტომბრის გეგმა შესრულებულია

ლუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების ოქტომბრის გეგმა — ჩაბარებულია 27,6 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,5 ტონისა.

რაიონმა 5 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ასორტიმენტის წლიური გეგმა. პირველი ხარისხის თამბაქო გეგმით გათვალისწინებული არ იყო, — მიუხედავად ამისა, რაიონმა ჩააბარა 52 კილოგრამი, მეორე ხარისხის თამბაქო ჩააბარა 665 კილოგრამი, ნაცვლად 200 კილოგრამისა და მესამე ხარისხის — 5.531 კილოგრამი, გეგმით გათვალისწინებული 1.300 კილოგრამის ნაცვლად.

მაღალხარისხოვანი თამბაქოს ჩაბარება გრძელდება.

მიწსახკომის თამბაქოს სამმართველოს უფროსი შ. მიქელოვი

◇ ○ ◇

„საქ. დიატომიტი"

„საქ. დიატომიტმა" ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. 7 ნოემბრისათვის მიღებულია 5.010 ტონა ნატეხი და 2.114 ტონა ფხვნილი დიატომიტი. ნატეხი დიატომიტის წლიური გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, ფხვნილი დიატომიტის — 105,7-ით, შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 147,7-ით.

წარმოების კოლექტივი წარმატებით იბრძვის სტახანოვური წლის გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის.

ს. შანშიაშვილი

ორდენოსანი დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

მილიონერი ორსანტია

მისაბაძი და სამაგალითო კოლმეურნეობა ორსანტია მდებარეობს ზუგდიდიდან თვრამეტი კილომეტრის დაშორებით.

როგორც ყოველმა კოლმეურნეობამ პირველ ჩასახვისას [illegible], ისე ორსანტიამ განიცადა მრავალი დაბრკოლება. კულაკმა მავნებლებმა მძაფრი იერიში მიიტანეს, აგულიანებდნენ გლეხობას საბოტაჟისთვის და გადაუწვეს დოვლათით სავსე საწყობები. მაგრამ გული არ გასტეხიათ კოლმეურნეობის წევრებს გურია საჯაიას მეთაურობით და მეტის ენერგიით შეუდგნენ კოლმეურნეობის შენებლობას.

პირველ ხანს ორსანტიაში მხოლოდ ოციოდე კომლი ყოფილა წევრად, ხოლო დღეს ითვლება ოთხასამდე, 676 მუშახელით. ის ფართობები, რასაც დღეს ორსანტია მფლობელობს, ყოფილან „ჯვერანანი და უდაბური", დაფარული ეკლოვანი ბუჩქებით და ტყით, ადგილ-ადგილ ჭაობიანი, ან და გვიმრა-ბალახით მოდებული, ადამიანისათვის გაუვალი ადგილი. დღეს კი ეს ადგილი ორსანტიელებს გადაუქცევიათ თვალისწარმტაც წალკოტად და ამ უზარმაზარ წალკოტის შუაგულს ცხოვრობენ ორსანტიელი გლეხები ელექტრონით განათებულ ახალ სახლებში. პირველ შეხედვისთანავე გული გინათდება. რა მანძილია 7-8 წელი დღიდან ამ კოლმეურნეობის დაარსებისა, მაგრამ ისეთი დიდი მიღწევები აქვთ, რომ კაცი განცვიფრებაში მოდის. მე ბევრი მსმენია და ბევრიც წამიკითხავს, მაგრამ ადგილობრივმა დათვალიერებამ ყველაფერს გადააჭარბა. „ურწმუნო თომა" მიიყვანეთ ორსანტიაში, აჩვენეთ ყველაფერი, რაც იქ ხდება, აჩვენეთ და ჩაახედეთ უბრალოდ, მაგრამ ბრძნულად მოწყობილ კოლმეურნეობის ორგანიზაციაში და ის „ურწმუნო" საჯაროდ იყვირებს ახალი ქვეყნის გამარჯვებაზე.

ცოტად თუ ბევრად მე ვიცნობ კახეთის კოლმეურნეობებს, მაგრამ უნდა პირდაპირ აღვიარო, რომ ისეთს შრომის ორგანიზაციას, ისეთს ერთსულოვნებას, ბრიგადების თავგამოდებას და საქმის სიყვარულს, საერთო საქმის შეგნებას და მოვალეობას თვითეული კოლმეურნისას, როგორც ორსანტიაშია, იქ ჯერ კიდევ ნაკლებად ჰნახავთ. პარტიული ხელმძღვანელობა ყველგან ერთია, კოლმეურნეობის იდეა სამეგრელოშიაც, კახეთშიაც, სხვაგანაც ყველგან ერთია, მაგრამ მიღწევები და მისი ეფექტი ჯერ-ჯერობით სხვადასხვაგვარია.

რა არის ამის მიზეზი, რომ ორსანტია ასე დაწინაურდა? რომ ვსთქვა, ეს კარგი თავმჯდომარის შნო და უნარია-მეთქი, სიმართლეს მიახლოვებული იქნება, მაგრამ არა სავსებით. რომ ვსთქვა, შრომის ორგანიზატორის მოხერხებაა-მეთქი, არც ეს იქნება მართალი. თვითეული ცალკე ვერას გახდებოდა, რომ თვითონ მასა, თვითონ გლეხობა არ იყოს ასული შეგნების მაღალ დონეზე.

და, აი, სწორედ ორსანტიას მშრომელი გლეხობა, ქალი თუ კაცი, შეგნების ისეთს სიმაღლეზე არის ასული და ისე ღრმად შეუთვისებია კოლექტივის დედააზრი, რომ მიბრძანდეს რომელიც გინდათ პროფესორი და უბრალო გლეხისაგან მოისმინოს კოლექტიურად შრომის ნაყოფიერებაზე ლექცია.

სწორედ ასეთმა შეგნებამ და თვითეულის ახალ ადამიანად გარდაქმნამ, მათმა ერთსულოვნებამ, ერთმანეთისადმი ღრმა რწმენამ და პატიოსნებამ, მათმა შეიარაღებამ ლენინის და სტალინის იდეებით, გარდაქმნა შვიდი წლის წინათ ულარიბესი გლეხობა შეძლებულ კოლმეურნეებად.

მე განსაზღვრულ მიზნით წაველ ამ კოლმეურნეობაში და ბევრი რამ ვნახე პირადად ჩემთვის საგულისხმო. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ავდარი ხელს მიშლიდა, მაინც შევძელ ყველაფრის დათვალიერება. სხვაგანაც მინახავს ბრიგადირი თავის კოლმეურნეებით იმ დროს, როცა სამუშაოზე არიან. აქ სულ სხვა სურათი ვნახე, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ნაკვეთზე.

აი, მივდივართ ერთის ადგილას. აქ თავი მოუყრია ერთის ბრიგადას. მიწის თხილს არჩევენ. აქ მეტწილად ქალები არიან. ჯერ კიდევ შორიდან მოგვესმოდა საამო სიმღერა. ჩვენ რომ მივედით, მღერა შეწყვიტეს და ზრდილობიანად მოგვესალმნენ. ჩემთან ერთად იყვნენ ორსანტიის თავმჯდომარე გურია საჯაია, პარტუჯრედის მდივანი იოსებ გაბუნია და აგრონომი გრიშა ფურცელაძე. როდესაც ჩემი თავი გააცნეს, აქეთ-იქიდან მესმოდა: ვიცნობთ, წაგვიკითხავს, სურათი გვინახავსო და სათითაოდ მესალმებოდნენ. მაგრძნობინებდნენ, საბჭოთა მწერალს ჩვენ დიდ პატივსა ვცემთო და სახეგანათებულნი თბილად ხელს მართმევდნენ.

თვითეულს მათგანს ვებაასებით. პირადად მე ვაძლევდი სხვადასხვა კითხვებს, რაც მე მაინტერესებდა მომავალ ჩემი მუშაობისათვის — პასუხი მათი იყო მკაფიო, ისე — როგორც მკაფიოა სტალინის წესდება კოლმეურნეობაზე.

ბრიგადას რომ გამოვემშვიდობეთ, გზაში გურია საჯაიას ვეკითხები:

— ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლმეურნეს ცუდად გაკეთებული ნამუშევარი ჩაებარებინოს, ხოლო დღიური ნორმალური დასწერებოდეს?

თავმჯდომარემ გაკვირვებით შემომხედა. შევატყე, ჩემი შეკითხვა ეუცნაურა.

— როგორ? ჩვენმა ამხანაგმა მოგვატყუოს? ცუდად გაკეთებული მიიტანოს საერთო ნაშრომში, რომ კარგიც გააფუჭოს? ეგ შეუძლებელია! და რომც ვინმე განიზრახოს — კონტროლი არ დაუშვებს!

— მაშ თქვენ კონტროლერებიც გყავთ?

— აუცილებლად! ყველაფერი უნდა შემოწმებულ იქნეს და შემდეგ ეწერებათ დღიური.

— ერთი ეს მითხარით, აი ასეთს დამოკიდებულებაში რომ არსებობს კონტროლი და ბრიგადირი, ხომ შეიძლება რაიმე პირადი ინტერესების გამო ერთიმეორეს შარი მოსდოთ ან ინტრიგა გაუწიოთ?

თავმჯდომარემ გულიანად გადაიხარხარა:

— სად გვცალიან ინტრიგებისათვის! ინტრიგა მოცლილი ხალხის საქმეა, ჩვენ კი მუდამ მოსავლის რთველი გვაქვს და კრეფას ვეშურებით.

ამის შემდეგ გადავედით სხვა ფართობზე. აქ უკვე თვალწარმტაცი სანახაობა იყო. ვიდრე ავწერდე, უნდა გავიხსენოთ, რომ ორსანტიას აქვს საკუთარი ათკლასიანი სასწავლებელი, თავის ხელით, „შაბათობით" აშენებული. მშობლების დასახმარებლად ამ ფართობზე მუშაობდა სამოცამდე მოწაფე (ცირა *) და ვაჟი.

აქაც შორიდან გავიგონე სიმღერა: „ოისა, ოისა, რერო, ოისა ვარადა"... ეს სიმღერა ჯგუფიდან ჯგუფზე გადადიოდა. მუშაობს ასიოდე ხელი, თეთრი და ყვითელი სიმინდის ტაროები, შადრევნის წყალივით ჰაერში მიფრინავენ და შემდეგ ეცემიან განსაზღვრულ ადგილას. ვეკითხები, რაშია საქმე? ხომ არ ახარისხებენ-მეთქი?

— არაო, მიპასუხა თავმჯდომარემ — აქ მუშაობს რამდენიმე ბრიგადა და სიმინდის დარჩევაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. თვითეული ბრიგადის წევრი თავის მხარისაკენ ისვრის გარჩეულ ტაროსაო.

სადაც კი მივედით, ყველგან ხალისით მუშაობდნენ. არ შემხვედრია იქ დაღონებული სახე „მძიმე ტვირთისაგან". მართალაც, აქ შრომა სამაყო გამხდარა და თვითეულმა კოლმეურნემ იცის, რომ ასეთმა შრომამ შეუქმნა ბედნიერი და „საამური ცხოვრება". თვითეულ კოლმეურნეს აქვს წესდების მიხედვით საკარმიდამო ნაკვეთი. ერთს შევეკითხე:

— ვსთქვათ, ერთსა და იმავე დროს აუცილებელი სამუშაოა საკარმიდამოსი და საერთო ფართობზე. თუ წახველ საერთოზე, შინ გაგიფუჭდება, როგორ მოიქცევი?

— ჩემი სიმდიდრე საერთოდან მოდის, რას ვაქნევ ამ პაწიას? წყალსაც წაუღია, თუ კი დიდი დამიხარალდებით.

ეს სიტყვები უკვე ზეპირად ნათქვამი როდი არის. ამ სიტყვებს მხოლოდ ახალი ადამიანი იტყვის. წინათ ერთი მტკაველი მიწისათვის ძმა ძმას ჰკლავდა, შვილი-მამას, ან იძახოდნენ: „საერთო დარჩეს ტიალად, ყანა გასძოვონ თავებმა".

ორსანტიაში ცხოვრობს 80 წლის კოლმეურნე გუდუა. მას ჰყავს შვილიშვილები. მან ბევრი საგულისხმო ამბავი მითხრა. ეწევა ჩიბუხს და თან ცოცხლად ლაპარაკობს — შარვაშიძესთან გახლდით. არ ამბობს, თითქოს სცხვენია, რომ იგი შარვაშიძის ყმა იყო ოდესღაც.

— ძალიან შეძლებული გლეხობაც, ჩემი მეზობლები, ფეხს გვაჭერდნენ და საზოგადოდ. ბევრი უსამართლობა იყო. კაცს ბოროტ გზაზე აყენებდნენ. მე სულ ღარიბად ვცხოვრობდი, საკმარისი სარჩო არ მომდიოდა. რაც მომდიოდა, სხვას მიჰქონდა. წავიდოდი სამუშაოდ სხვაგან: აფხაზეთში, ქუთაისში ან ბათომში, ტფილისშიაც ვყოფილვარ. ერთს წელიწადს ბედმა გამიღიმა და სიმინდის კარგი მოსავალი მომივიდა. შეძლებული ოჯახიშვილები ურემს არ მაძლევენ. ქირას მთხოვენ ნახევარ სარჩოს. რომ მივცე, მე კვლავ მშიერი დავრჩები. ვიფიქრე და გადავწყვიტე. ღამე მინდორში ორი კამეჩი დავიჭირე სხვადასხვა გლეხებისა. მოვიყვანე. ახლა ურემი მოვპარე მეზობელს. სხვის ურემში შევაბი სხვისი კამეჩები. ჩავყარე სიმინდი, მაგრამ დიდი მოსავალი მომივიდა და არ დაეტია. მეტად დავტვირთე ურემი, რომ გათენებამდე შინ მიმეტანა და არავის გაეგო ჩემი ნაოფლარის ქურდობა. უბედურად, ურემი მდინარეში რომ ჩავაქანე, ცალი თვალი გატყდა. დავღონდი მეცა და ჩემი ცოლიც. რა მექნა? წაველ და მეორე მეზობლის ეზოდან სხვა ურემი გამოვაგორე. გადავტვირთე დიდი წვალებით და მივიტანე შინ. მერე ამ ურმით მეზობელს გატეხილი ურემი მივუტანე და ისე დავდგი, რომ არ გაეგო. მთელი ურემიც შევუგორე პატრონს, ხოლო კამეჩები ისევ საძოვრად გავუშვი. იმ დროს მე ვიქურდე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ახლა ჩემი ნაშრომი კოლმეურნეობას ჩემთან თვითონ მოაქვს სახლში. ამას რა სჯობია? კარგია ახალი ცხოვრება! — დაათავა მოხუცმა.

უკვე დავაპირე ტფილისს დაბრუნება მაგრამ ორსანტიის ხელმძღვანელებმა არ გამომიშვეს — დავრჩი.

გამოვეთხოვე ორსანტიის მუშაკებს და მათ თავმჯდომარეს, რომლისადმი აღვივსე დიდი პატივისცემით მისი მუშაობის გამო (და რომელზედაც სამართლიანად ამბობენ: „საჯაია გურია ორსანტიის გულია"! და მართლაც ეს ორდენოსანი კოლმეურნე საჯაია საყვარელი ადამიანია ყველა კოლმეურნისათვის).

ამ მოგზაურობის დროს გავეცანი ერთს საინტერესო კოლმეურნეს, რომელიც კარგად ერკვეოდა დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში და ქართულ მწერლობასაც კარგად იცნობდა. ლაპარაკი ჩამოვიგდეთ ახალ მწერლობაზე და დიდი საყვედური გამოსთქვა, რომ მწერლების მოთხრობები და ლექსები მეტწილად მათს გულს არ ხვდება.

— თითქოს თანამედროვე ცხოვრებაზე სწერენ, დასახელებულია კოლმეურნეობაც, ქარხანაც, სტახანოველებიც და სხვა მრავალი, მაგრამ ყველაფერი ეს ცივია და გულს არ ათბობს. ახლა რომ ცოცხლები იყვნენ ილია, ან აკაკი, უთუოდ ჩვენთვის ისეთს რამეს დასწერდნენ, რომ ცეცხლით აგვანთებდნენ. მაგალითად, მე მიყვარს ილიას ყველა მოთხრობა და უფრო მეტად „კაკო ყაჩაღი", აკაკისა მიყვარს „ბაშიაჩუკი" და „თორნიკე ერისთავი". — ესენი რომ წავიკითხე, გული გამიმხნევდა, თავი გმირად მეჩვენა, მაშასადამე, მეც და სხვასაც. მე უფრო ვემდური დასავლეთ საქართველოს მწერლებს, რადგან მათ კარგად იციან იმერეთი, გურია და სამეგრელო. ეს ხომ მშვენიერი ქვეყანაა. კახეთიც კარგია, ქართლიც კარგია, მაგრამ დასავლეთი საქართველოც ლამაზია. აქაც ბევრი თავდადებული და გმირი ხალხი იყო და დღესაც უამრავია! აი, თქვენ აქვე ორსანტიას. სხვაგანაც არის მაგისთანა კოლმეურნეობა და იქაც არიან ისეთი გლეხები, რომ განცვიფრდები. მაგრამ არავის აუწერია. ან თუ აუწერიათ, პატარა ამბად. ლექსი ხომ ჩვენ კაცს თითქმის არ ესმის, რადგანაც თითქოს მიბრუნებული ქართულით არის დაწერილი. აი თქვენ „არსენა" დაგიწერიათ და გავიგეთ მისი ქებაც და დაჯილდოვებაც. ეგ ჩვენ გვახარებს, მაგრამ სამეგრელოში რომ უტუ მიქავა და მართალი თოდუა იყვნენ, რატომ ჩვენი მწერლები მათზე არ სწერენ? კი, შალვა დადიანი სწერს, მაგრამ ახალგაზრდები სად არიან? იმას ვამბობდი, გმირული ამბები გვინდა-მეთქი. იყო ერთი სინოია დარჩია, გმირი, ნამდვილი რაინდი. რაინდობას თითქმის თავადაზნაურობას მიაწერენ, მაგრამ ტყუილია. რაინდობა უბრალო ხალხის საქმე იყო და ეს ჩვენ არ უნდა დავკარგოთ. ეს იყო გმირობა, ზრდილობა. პირდაპირობა. პატიოსნება. მეგობრობა. აბა, შოთა რუსთაველი იმიტომ მოგვწონს, რომ მას სწორედ ეს აქვს და ეს ჩვენს გლეხობაშიაც იყო და დღესაც არის, მხოლოდ მწერლებმა უნდა გამოაჩინონ იგი. იყო-მეთქი ძველი რეჟიმის დროს სინოია დარჩია, გლეხი პატიოსანი. მოხელეებმა დევნა დაუწყეს და უკანონოდ გავარდა. ყაჩაღს ეძახდნენ, მაგრამ ვაჟკაცი ყაბახი იყო, ხალხს უყვარდა და ინახავდა. პოლკოვნიკს დუმბაძეს ლამაზი ცოლი ჰყავდა და სინოიას მისი ცოლი გლახად მოეხვეწებინა. ამბავი მიუტანეს დუმბაძეს და ამის შემდეგ დუმბაძემ ჯარით დაუწყო დევნა. სინოიას ძმა მოუკლეს, რომ არ ნახოს მიცვალებული და არ გამოეთხოვოს, ჩვენი კაცი ვერ იზამს. პოლიცია და ჯაშუშები დარაჯობენ. სასაფლაოსთან არ მოელოდნენ, გაჩნდა სინოია და თოფზე დაიფიცა შენს მტრებს მე გავცემ პასუხსო. ხოლო დუმბაძეს შეუთვალა: ჯარით რომ დამდევ, თუნდ მომკლა, ეგ ვაჟკაცობა ვერ იქნება, გამოდი ჩემთან მარტო, ან შენ, ან მეო. უცქირე დუმბაძეს! მართლა მიატოვა ჯარი და გავიდა ტყეში მარტო. ერთი წლის შემდეგ დუმბაძე შეხვდა სინოიას, დაუწყეს ერთმანეთს სროლა. ორივენი დაიჭრნენ, მაგრამ სინოია დაიჭრა სასიკვდილოდ. აი, განა სინოია ვაჟკაცი არ არის? და კიდევ რამდენი რამ გადახდენია თავს, სადაც ჩანს მისი ვაჟკაცობა და პატიოსნობა. მე ეს ძველი ამბავი გიამბე და ჩვენმა მწერალმა არც ერთმა არ მიაქცია ყურადღება. ეს თუნდაც ჯანდაბას, განა კოლმეურნე არ არის გმირი, რომელიც იბრძვის მიწის, წყლის, ცეცხლის და კლასობრივ მტრის? მერე რომ დაძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და გამარჯვებული გამოდის ეს გმირობა არ არის? მაშ რატომ არ სწერთ თანამედროვე გმირებზე?

მე თავჩაღუნული ვუსმენდი ამ ადამიანს და ვსდუმდით გაწითლებული.

ჩემი მოსაუბრე მართალი იყო. ჩემ წინ ლაპარაკობდა ახალი ადამიანი და მე მას ვერ ვხედავდი.

უკვე ტფილისის სადგურზე ჩამოვხტი და ტრამვაის მივაშურე. ერთი ფიქრი თან გამომყვა: მწერალს გაუსწრო მკითხველმა. წინათ მწერალს მიჰყავდა მკითხველი. ახლა მკითხველი უკარნახებს მწერალს: ამაღლდი და მომეც, რაც დროის ჩემს გულს და გონებას დაიტაცებსო.

თვითეული მწერალი უნდა ჩაუფიქრდეს ამ ამბავს.

◆

---

*) ქალიშვილი.

ესპანეთის მთავრობის ჯარები განაგრძობენ წარმატებით შეტევას

ესპანეთის ფრონტებზე

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საქტს). „დეილი ჰერალდი" იუწყება, რომ ვალენსიაში მოსახლეობისათვის იქმნება ბევრი თავშესაფარი საჰაერო თავდასხმის წინააღმდეგ. დიდ შენობათა სარდაფებს ამაგრებენ ქვიშით სავსე ტომრებით. ვალენსიასა და ალიკანტეს შუა, სანაპიროს გასწვრივ, დადგმულია არტილერია მეამბოხეთა დესანტის გადმოსხმის ცდის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

პრესის გადმოცემით, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში კასერესის რაიონში მთავრობის ჯარებმა მედგარი შეტევა დაიწყეს. მეამბოხეთა ყველა ცდა — წინ წაეწიათ მალაგის მიმართულებით, მარცხით დამთავრდა.

ჩრდილოეთის ფრონტზე ბასკთა რაზმელები უმკლავდებიან მეამბოხეთა ყველა ცდას — რომ წინ წაიწიონ ბილბაოს მიმართულებით.

„ტაიმსის" ბარსელონელი კორესპონდენტის გადმოცემით, ასტურიიდან მიღებულია ცნობები, რომ რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა იერიში, რომელიც მათ მიიტანეს, რათა დახმარებოდნენ მეამბოხეებს ოვიედოში. ბილბაოდან ბარსელონაში ჩასულმა დელეგატმა განაცხადა, რომ ბილბაოს დასავლეთით მეამბოხეებს უკან დაახევინეს.

„ტაიმსის" გიბრალტარელი კორესპონდენტის გადმოცემით კრეისერმა „ალმირანტე სერვერამ", რომელიც მეამბოხეებმა წინათ ხელთ იგდეს, გუშინ სეუტიდან (ესპანეთის მაროკო) ალხესირასს მოიყვანა ჯარის ახალი ნაწილები. იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ სრუტეში მთავრობის წყალქვეშა ნავები მოიპოვება, კრეისერი „ალმირანტე სერვერა" ჯარების გადმოსხმის შემდეგ ისევ სეუტში გაბრუნდა.

o

ხეტაფე მთავრობის ჯარებმა დაიკავეს

ბარსელონა, 13 ნოემბერი (საქტს). გაზეთმა „ტრებალმა" დღეს მოათავსა დეპეშა მადრიდიდან შემდეგი სათაურით: „ხეტაფე კვლავ ჩვენია" დეპეშა შემდეგი შინაარსისაა: „როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვაუწყებენ, მთავრობის კოლონას, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში მდინარე ტახოს რაიონში მოქმედებდა, თვალსაჩინო დამხმარე ძალები მოუვიდა და, რადგან ძლიერი შეიარაღება ჰქონდა, მან დაიკავა ხეტაფე. ამ რაიონის სოფლებში აღდგენილია ნორმალური ცხოვრება. ნაწილები, რომლებმაც ხეტაფე დაიკავეს, ზურგში მოექცნენ მეამბოხეთა იმ არმიას, რომელიც მადრიდს უტევდა. ეს ამოცანა რესპუბლიკის ჯარებმა ბრწყინვალედ შეასრულეს. ირწმუნებიან, რომ სარკინიგზო მიმოსვლა ლევანტის პროვინციებში შეიძლება დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას სრულიად უხიფათოდ. მთავრობის კოლონები წინსვლას განაგრძობენ და მეამბოხეთა მიერ დაკავებულ რაიონებში მალე საგრძნობს გახდიან თავის სამხედრო ძლიერებას".

o

მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 13 ნოემბერი (საქტს). საღამოს გაზეთები აქვეყნებენ მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც გადმოცემულია დღეს შუადღისას.

„მიუხედავად იმისა, რომ მთელ დღეს განუწყვეტლივ წვიმდა, გუშინ ნაშუადღევს მეამბოხეებმა მრავალჯერ განმეორებითი იერიშები მიიტანეს მადრიდის ფრონტის სხვადასხვა რაიონებში. ამ იერიშებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს რესპუბლიკის ჯარებმა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს მეამბოხეთ და მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს.

თავის მხრივაც მთავრობის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და რამდენადმე წინ წაიწიეს ვილიავერდეს რაიონში.

დაღამებისას მაროკოელთა ჯარების ორმა ათასეულმა და უცხოელთა ლეგიონის ათასეულმა, რომელთაც ხელს უწყობდა შვიდი ტანკი, იერიში მიიტანეს კარაბანჩელის რაიონში. მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს ეს ახალი იერიში და ამ ბრძოლებშიც მაღალი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. მეამბოხეთა ერთი ტანკი განადგურებულია.

დღეს 9 საათზე მეამბოხეთა ყუმბარმტყორცნ თვითმფრინავების ესკადრილიამ მადრიდზე თავდასხმა სცადა. ამ ცდას ხელი შეუშალა რესპუბლიკელ გამანადგურებელთა რეიდმა. მათ აიძულეს მეამბოხეთა ესკადრილია ხელი აეღო ბრძოლაზე.

საჰაერო ბრძოლა

პარიზი, 13 ნოემბერი. (საქტს) ჰავასის კორესპონდენტი მადრიდიდან იუწყება, რომ დღეს დილით მადრიდის თავზე მოხდა განსაკუთრებით გააფთრებული საჰაერო ბრძოლა. კორესპონდენტის ცნობით, ამ ბრძოლის დროს მთავრობის ჯარებმა მეამბოხეთა 6 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

◇

საფრანგეთის კომპარტიის წინადადება

პარიზი, 12 ნოემბერი (საქტს). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის კომპარტიის სამდივნომ სოციალისტური პარტიის ადმინისტრატიულ კომისიას მიმართა წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევს [illegible] ეცადოს, რათა ბლოკადა მოეხსნას რესპუბლიკურ ესპანეთს: კომპარტიის სამდივნო მოითხოვს გადადგმულ იქნას საერთო ნაბიჯები იმ მხრივ, რომ გაადვილდეს იმ უცხოელ მოხალისეთა საქმიანობა, რომლებიც რესპუბლიკური ესპანეთის ჯარებში იბრძვიან — მოეწყოს შეფობა ჯარების ცალკეულ ნაწილებზე, მიმართონ შინაგან საქმეთა მინისტრს სალანგროს მოთხოვნით არ დაიკეტოს საზღვრები მოხალისეებისათვის, მიიღონ ზომები. რათა ხელი შეუშალონ იარაღის მიწოდებას მეამბოხეებისათვის და სხვ.

კომპარტიის სამდივნო მოითხოვს მოწონებულ იქნას ეს წინადადებანი დიდ საღამოზე, რომლის მოწყობაც განზრახულია იმ ფრანგ სოციალისტთა და კომუნისტთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ესპანელ მეამბოხეებთან ბრძოლაში დაიღუპნენ.

სურათზე: სამკურნალო კომბინატის წინა კორპუსი

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს სახკომსაბჭოში

ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობა

ფიზიოლოგთა მე-5 საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებით, ფიზიოლოგთა მე-6 საკავშირო ყრილობა გაიმართება ტფილისში 1937 წლის ოქტომბერს.

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფიზიოლოგთა მე-6 ყრილობის მომზადებელი მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. ბერიტაშვილი (თავმჯდომარე), ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ვ. მამალაძე, განათლების სახალხო კომისრის მოადგილე პ. აფხაძე, ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე გ. ხოშტარია, ტფილისის უნივერსიტეტის რექტორი ქ. ორაგველიძე, სსრკ-ის სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ნ. მუსხელიშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ქ. ცომაია, პროფესორები: დ. ვახაძე, ა. ქომეთიანი, გ. ზაქარაია, გ. [illegible], მ. ვარაზი, ა. ქუთათელაძე, ქ. ელიავა, გ. მოსეშვილი, ი. კონიაშვილი, ა. ფლერტი, ს. ყიფშიძე, ნ. როჟანსკი (დონის-როსტოვი), ჩერნიგოვი (ბაქო), ა. იოანისიანი (ერევანი), მამულია და სხვ.

დამტკიცებულია აგრეთვე ყრილობის სამდივნოს შემადგენლობა.

სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ხოშტარიას, გეგეშიძის, აფხაძის, ბელაშვილის და ორაგველიძის შემადგენლობით განახილოს საკითხი ყრილობისათვის ფიზიოლოგიური ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური ლაბორატორიების დამატებითი მოწყობისა და მომზადების შესახებ მეძენა, (აპარატურისა რაც აუცილებელია ცდების დემონსტრაციისათვის და სხვ.).

მოსამზადებელი მუშაობისათვის და ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებათა ჩასატარებლად სახკომსაბჭომ 1936 წლისათვის საორგანიზაციო ბიუროს განკარგულებაში გადასცა 10 ათასი მანეთი.

◇

დემიან ბედნის პიესა „დევგმირების" შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დადგენილება

იმის გამო, რომ დემიან ბედნის ოპერა-ფარსი „დევგმირები", რომელიც ა. ი. თაიროვის ხელმძღვანელობით დადგა კამერულ თეატრმა ბოროდინის მუსიკის გამოყენებით:

ა) წარმოადგენს კიევის რუსეთის ყაჩაღების, როგორც დადებითი რევოლუციური ელემენტის განდიდების ცდას, რაც ეწინააღმდეგება ისტორიას და სავსებით ყალბია თავისი პოლიტიკური ტენდენციით;

ბ) ხელაღებით ტალახში სვრის რუსული ბილინური ეპოსის დევგმირებს, მაშინ როდესაც უმთავრესი დევგმირთაგანნი ხალხის წარმოდგენაში რუსეთის ხალხის გმირულ თვისებათა მატარებელნი არიან;

გ) ანტიისტორიულად და აბუჩად აგდებით ასახავს რუსეთის ნათლისღებას, რომელიც ნამდვილად დადებითი ეტაპი იყო რუსეთის ხალხის ისტორიაში, ვინაიდან იგი ხელს უწყობდა სლავიანურ ხალხთა დაახლოვებას უფრო მაღალი კულტურის ხალხებთან.

სსრ კავშირის სახ. კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა დაადგინა:

პიესა „დევგმირები" მოიხსნას რეპერტუარიდან, როგორც საბჭოთა ხელოვნებისათვის მიუღებელი პიესა.

სამკურნალო კომბინატი

მომავალ წლის დასაწყისისათვის ტფილისში (მარის ქუჩაზე) მთავრდება მშენებლობა ახალი სამკურნალო კომბინატისა, სადაც მოწყობილი იქნება პოლიკლინიკა და სტაციონური საავადმყოფო 150-მდე საწოლით. სამკურნალო კომბინატს ექნება სამი დიდი კორპუსი. ამათგან ორი კორპუსის მშენებლობა დამთავრებულია და ამჟამად მუშაობენ ამ კორპუსის შიგნითა მოწყობილობაზე.

გარდა სამი კორპუსისა, შენდება სპეციალური შენობები — სასადილოსა, სამზარეულოსა, მექანიკური სამრეცხაოსა და პროზექტურისათვის. სამკურნალო კომბინატს ექნება საკუთარი ბაღი და ყველა საამსახურო საწარმო. ბაღში მოეწყობა საზაფხულო ფანჩატური ავადმყოფთათვის.

კომბინატის მშენებლობა და შიგა მოწყობა ახალი სამკურნალო აპარატურით ჯდება 5.800.000 მანეთამდე.

◇

„მასალები კავკასიის ისტორიისათვის"

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელსაც ეწოდება: „მასალები კავკასიის ისტორიისათვის". ხელნაწერი შესდგება ორი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან: 1. „კავკასიაში რუსეთის ბატონობის ისტორიული ნარკვევი" (ამიერ-კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს არქივის მასალებით), ნაწილი პირველი. ტფილისში რუსის ჯარის შემოსვლიდან საქართველოს მთავარმმართებლის თანამდებობაზე გენერალ-ლეიტენანტის თავად ციციანოვის დანიშვნამდე, 1799 წლის 26 ნოემბრიდან 1802 წლის 4 დეკემბრამდე".

პირველი ნაწილი მოწმობს იმას, რომ უნდა იყოს შემდეგი ნაწილებიც, რომლებიც შეეხებიან რუსეთის საქართველოში ბატონობის შემდგომ ეპოქას. მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკის მიერ შეძენილი ხელნაწერი წიგნი მხოლოდ პირველ ნაწილს შეიცავს.

პირველი ნაწილი სამი თავისაგან შესდგება: პირველი თავი—საქართველოს მდგომარეობა მისი უკანასკნელი მეფეების დროს; საქართველოს დაყოფა და საზღვრები; მოსახლეობა; სახელმწიფო შემოსავალი; კანონები და მმართველობის სისტემა; საქართველოს კეთილდღეობის დაცემის მიზეზები, მეორე თავი ეხება გიორგი XIII მეფობას, დღიდან მისი ტახტზე ასვლისა მის გარდაცვალებამდე. მესამე თავი ეხება დროებითი მთავრობის დაწესების პერიოდს გენერალ ციციანოვის მთავარმმართებლად დანიშვნამდე.

მეორე დოკუმენტი ეწოდება: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მისი მდგომარეობა 1801-დან 1813 წლამდე".

შესავლის სახით, 12 გვერდზე, მოცემულია საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა 1801 წლამდე.

ორივე დოკუმენტი დიდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ისინი შედგენილია პირვანდელი საარქივო წყაროების საფუძველზე და, როგორც ჩანს, ისეთი პირების მიერ, რომელთაც ახლო კავშირი ჰქონდათ საქართველოს მმართველობასთან.

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა შეუდგა აღნიშნული ხელნაწერების შესწავლას და მათი ავტორების გამორკვევას.

პარაშუტისტთა, პლანერისტთა და პილოტთა ახალი კადრები

ქუთაისი

უკვე ოთხი თვეა ქუთაისში მუშაობს აეროკლუბი, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა ახალი კადრების მოსამზადებლად საჰაერო ავიაციისათვის.

კლუბთან მუშაობს პილოტების, პლანერისტების, პარაშუტისტებისა და ავიამოდელისტების სკოლები, რომლებშიაც მეცადინეობს 128 კაცი, მათ შორის 15 ქალი. მსმენელთა ძირითადი შემადგენლობა ახალგაზრდა მუშებია. სკოლებში მეცადინეობა სწარმოებს წარმოებას მოუწყვეტლივ.

ნოემბრის ბოლოს პლანერისტთა სკოლის მსმენელები გადავლენ პილოტთა სკოლაში. ავიამოდელისტთა სკოლის კურსდამთავრებულები გამოყენებული იქნებიან სასკოლო საავიამოდელო წრეების ხელმძღვანელებად.

კლუბის განკარგულებაშია საკუთარი სასწავლო თვითმფრინავი, რომელიც კლუბისათვის შეიძინა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა, პლანერი, რომელიც კლუბმა საჩუქრად მიიღო ქუთაისის სტამბისაგან, და პარაშუტები. მალე კლუბი მიიღებს ახალ თვითმფრინავს, რომელიც მისთვის მაუდის ფაბრიკის მუშებმა და მუშა-ქალებმა შეიძინეს.

მუშა-ახალგაზრდობა უდიდეს ინტერესს იჩენს საფრენოსნო სპორტისადმი. მუშა-კომკავშირელი ამხ. ხვადაგიანი მალე დაიწყებს დამოუკიდებლად ფრენას. მუშა-ქალებმა ამხ. სირაძემ (სამკერვალო ფაბრიკა), და ჭოხონელიძემ (საკონსერვო ქარხანა) სავსებით შეითვისეს თვითმფრინავის მართვის ტექნიკა და გადასწყვიტეს პილოტთა სკოლის დამთავრების შემდეგ ამუშაონ ავიაციის დარგში.

ბათუმი

აჭარის მშრომელნი უდიდეს ინტერესს იჩენენ საავიაციო სპორტისადმი. ამის წინათ მოხდა ბათუმის აეროკლუბის საპლანერო სკოლის მსმენელთა გამოშვება. სკოლა წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა 46 კაცმა, ახლა ისინი სწავლობენ საფრენოსნო სკოლაში.

ბათუმში დიდი საპარაშუტო კოშკის აგებით აჭარაში დიდად განვითარდა საპარაშუტო სპორტი. ქალაქში ჩამოსული თითქმის ყოველი კოლმეურნე აჭარელი თავის მოვალეობად სთვლის გადმოხტეს საპარაშუტო კოშკიდან. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში აღრიცხულია 12 ათასი გადმოხტომა. საწარმოებსა და სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს საპარაშუტო სპორტის წრეების მეცადინეობა. ოქტომბრის დიდი პროლეტარული რევოლუციის 19 წლისთავის აღსანიშნავად მოხდა ბათუმის საპარაშუტო სკოლის მსმენელთა პირველი გამოშვება. სკოლა დაამთავრა 10 კაცმა.

ქობულეთში კოლმეურნეები თავიანთი სახსრებით აშენებენ საპარაშუტო კოშკს. იქვე მოწყობილია საპლანერო სკოლა 24 კაცისათვის. 8 ნოემბერს ქობულეთში გაიმართა დიდი საავიაციო ზეიმი, რომელშიაც რამდენიმე ათეულმა კოლმეურნემ მიიღო მონაწილეობა (საქტს).

სპორტი

ძალოსნების საკავშირო შეჯიბრება

კავშირის საუკეთესო ძალოსნებმა მოიყარეს თავი ქ. ლენინგრადში, სადაც მიმდინარეობდა საკავშირო ინდივიდუალური პირველობის ჩათამაშება სიმძიმეების აწევაში. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა შეჯიბრებაზე [illegible] ლების მისაღებად დაუშვა მხოლოდ ძალოსნობის ოსტატები, რის გამო შეჯიბრებამ მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია. ტფილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მ. ელენტი, გუმაშიანი და ვ. კალმახელიძე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა მსუბუქი წონის ათი მძლეოსანი, მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენები მეხანიკი, შატოვი და კრილოვი. მათგან დიდ შედეგებს მიაღწია ელენტმა. ასწია რა ორივე ხელით 82.500 კილოგრამი, მან ძალოსნობის ბევრ ოსტატს გაუსწრო. შემდეგ ელენტმა ორი ხელით აიტაცა 97.500 კილოგრ., აჰკრა ორი ხელით 120 კილოგრ. რითაც შესძლო შეჯიბრებაში მესამე ადგილის დაკავება.

ნახევრად მსუბუქ წონაში, ყველას გაუსწრეს მსოფლიო რეკორდსმენმა პოპოვმა და ტფილისელმა გუმაშიანმა. მათ შორის პირველობის დასაუფლებლად გაჩაღებულ ბრძოლაში პოპოვმა მეტი უნარიანობა გამოიჩინა და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავა გუმაშიანმა, რომელმაც ორი ხელით ასწია 82,500 კილოგრ. იტაცა 97,500 და აჰკრა ორი ხელით 107 კილოგრამი.

კარგ შედეგებს მიაღწია ნახევრადმძიმე წონის კალმახელიძემაც. სამჭიდის ერთერთ მოძრაობაში მან ნული მიიღო, რამაც იგი პირველობის კანდიდატებს დააცილა.

ქ. ფ—ძე

◇

ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად

ცხაკაიას რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ესპანეთის მშრომელთა დასახმარებლად თვიური წვლილის გაღებას. ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად რაიონში შეგროვილია 4001 მანეთი. თანხების შეგროვებაში დიდ აქტივობას იჩენენ მოსწავლე ახალგაზრდობა და სასკოლო ორგანიზაციები. თანხების შეგროვება გრძელდება.

ელენე ხვიჩია

o

[illegible] რაიონის მშრომელებმა ძმური დახმარება აღმოუჩინეს ესპანეთის მშრომელთ. მშრომელთა საერთო კრებაზე ი. წილოსანმა და საბჭოთა მეურნეობის [illegible] ა. თოიძემ შეიტანეს ორმოც-ორმოცი მანეთი. ქ. ლომთათიძემ, პეპანაძემ, კარაკოზოვმა, სარქისიანმა, ველოიანმა და სხვებმა შეიტანეს ოციდან 60 მანეთამდე თითოეულმა, მუშა-ქალმა ტ. ენდელაძემ შეიტანა 38 მანეთი. საერთოდ კრებას დამსწრე ყველა მშრომელმა გაიღო თავისი წვლილი.

ქ. ნოდია

o

სოფ. ქვემო-ნოსის (სამტრედიის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის მოწაფეებმა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად შეაგროვეს 150 მანეთი, ხოლო მასწავლებლებმა გადასდეს ხელფასის ნახევარი პროცენტი. ამავე მიზნით მათ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიის რაიონის ყველა არასრული და სრული საშუალო სკოლა.

ვ. კოპალეიშვილი

o

სოფ. შუა-ქვალონის (ხობის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად გადასდეს ერთი დღის ხელფასი, რაც 107 მანეთს უდრის.

დიმ. ალანია

◇

შემთხვევები

ბანდიტის მოკვლა. მთელი ზაფხულის განმავლობაში გორის რაიონის კოლმეურნე და ერთპიროვნულ მეურნეებს აწიოკებდნენ შეიარაღებული ბანდიტები: ჯეირანაშვილი, დუდაშვილი და [illegible], რომლებიც ღამღამობით თავს ესხმოდნენ გლეხების ოჯახებს, სძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მათ. რამდენიმე კაცი კიდეც მოჰკლეს. ერთერთი ასეთი შეიარაღებული თავდასხმა მათ მოაწყეს 5 ნოემბერს სოფ. მღებრიანში (ზემო-ახალსოფლის საბჭო), ისინი დაესხნენ ტიტო გოგიაშვილის ოჯახს გაძარცვის მიზნით, მაგრამ მამაცმა გოგიაშვილმა ბანდიტების ხელმძღვანელ ჯეირანაშვილს თავი ცულით გაუპო და იქვე მოკლა. დანარჩენი ბანდიტები მიიმალნენ.

გაუფრთხილებელი ხელა. 12 ნოემბერს, დილით კალინინის ქუჩაზე მე-2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი დაეჯახა მოქ. მ. ხ. არხიპენკოს (კ. ცეტკინის ქ. 126) და მძიმედ დააშავა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს, ვატმანი ვ. ი. ბუზნიკაშვილი შეიპყრეს.

იმავე დღეს სატვირთო ავტომანქანა № 28—40, რომელსაც მართავდა შოფერი ი. ვ. მარშანია, ლერმონტოვის ქუჩაზე დაეჯახა სამუშაოზე მდგომ მეეზოვეს მოქ. ნ. მ. გასპარიანს და დააშავა. მარშანიას და ბუზნიკაშვილს პასუხისგებაში აძლევენ.

ხელოვნება

საქ. ჯანსახკომის სანიტარული თეატრი

საქ. ჯანსახკომთან [illegible] მუშაობს სანიტარული [illegible] სოფლის მოსახლეობას [illegible] ცხადჰყოს ექიმბაშობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, აბორტის მავნებლობა, აგრეთვე ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მედიცინას სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, და სხვ. ყველა ამ საკითხის ირგვლივ ხსენებული თეატრი აწარმოებს მუშაობას, აიარაღებს მასებს წმინდა მეცნიერული ცოდნითა და შეგნებით.

1936 წლამდე ამ თეატრს ვერ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ვერც ჯანსახკომი უწევდა მას შესაფერ ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, ხსენებული თეატრი შესდგებოდა მხოლოდ 4 კაცისაგან.

1936 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. თეატრს ყურადღება მიაქცია ჯანსახკომის პარტიულმა კომიტეტმა, შეიცვალა თეატრის ხელმძღვანელობა. თეატრს სათავეში ჩაუდგა მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში კურსდამთავრებული, პარტიის წევრი ამხ. ვარლამ ილაჩიძე, გადახალისდა თეატრის შემადგენლობა, შეივსო მომზადებული და კვალიფიციური კადრებით. ახლა თეატრი 15 კაცისაგან შესდგება.

წელს ზაფხულში თეატრი მივლინებული იყო რაიონებში, თავისი დადგმებით მან დიდი თანაგრძნობა და პატივისცემა დაიმსახურა კოლმეურნეთა მასებში, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში.

თეატრს აქვს საკმაოდ შერჩეული და გამრავალფეროვნებული რეპერტუარი. ჩირიკოვის „რისთვის?", ზაიცევის „ცხოვრება [illegible]", შ. ლონდაძის „ნათელა", [illegible] და ექიმ ჩოხელის „[illegible]" და სხვ.

საკოლმეურნეო სოფლის უკეთ მომსახურების მიზნით, ჯანსახკომის პარტიული კომიტეტისა და ეპიდ. სამმართველოს უფროსის ამხ. კვიციანიძის თაოსნობით განზრახულია თეატრს გადაეცეს ტრანსპორტიანი მანქანა. თეატრი უზრუნველყოფილია ფინანსებით.

ამ თეატრის წინაშე საკმაოდ დიდი და სერიოზული ამოცანები დგას. ვფიქრობთ, იგი შეასრულებს ამ ამოცანებს, თუ შემდეგაც წარმართავს მუშაობას აღებული გეზით.

შ. ღ.

◇

კრებები

დღეს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის შენობა, აუდ. № 112) გაიმართება რუსთველის სახ. ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელზედაც პროფ. კ. კეკელიძე გააკეთებს მოხსენებას: „ათონის სალიტერატურო სკოლის ისტორიიდან".

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

15 ნოემბერს პროპაგანდისტთა სკოლის (ქართული ჯგუფები) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი დამფუძნებელი კონგრესი" (ქართულ ენაზე), საღამოს 8 ნახევარ საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია: „კლასების ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში". საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია: „სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიალურ შრომის ნაირსახეობად გადაქცევის შესახებ". საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ძირეული პრესა ბოლშევიკური აგიტაციის ორგანიზატორი". საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეების პროპაგანდისტებისა და კომკავშირის აქტივისათვის თემაზე: „მამოძრავებელი ძალები 1905-7 წლების რევოლუციაში და ბოლშევიკების ტაქტიკა". საღამოს 8 საათზე.

o

— კიროვის პარტრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის სააღრიცხვო სექტორში: ლ. ს. ბრეგვაძე, გ. პ. გოგია, ე. ტ. ფირცხალავა, ა. გ. პეტროსიანი, ე. ტ. ფირცხვანია, ს. ბ. კოპალიანი, ა. ე. კურიზიანი, ლ. ბ. კარაპანოვი, ნ. ი. კუკავა, ტ. ფ. კობრავა, ს. ი. ესენოვიჩი, მ. ზ. მატიანი, ბ. გ. მეხსი.

— **26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე გაიმართება სემინარის მორიგი მეცადინეობა პარტიის ისტორიასა და პოლიტეკონომიაში.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

15 ნოემბ.	არსენა
16 ნოემბ.	არსენა

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

15 ნოემბ. წარ. № 33	მზის დაბნელება საქართველოში
16 ნოემბ. წარ. № 34	ნინოშვილის გურია

დასაწყისი 8 საათზე.

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი შემთხვევითი შეხვედრა
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	ფერადი ფილმი გრუნია კორნაკოვა (სოლოვეი სოლოვუშკო)
კომკავშირელი 6,7-40,9-20,11	ქარლ ბრუნერი
რ. ლუქსემბურგის 6-30,8,9-30,11	ახალი ხმოვანი ფილმი ბედნიერი ცხოვრება, არგონავტები (კოლხიდა)
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრ. ფილმი პეტერბურგის ღამე
კომინტერნი	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცირკი
ახალი ამბები	ესპანეთის ამბები მე-4, მე-5, მე-6 გამოშვება, ჟურნ. საქართველო № 7.

„სოიუზსოლსბიტი"
იმყოფება კვების კომისარიატის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ფოთის ფინგანში 1936 წ. 4 თებერვალს № 18. საქმიანობის საგანი: მარილით მომარაგება-გასაღება. საანგარიშსწორებო ანგარიში № 55—8 საზბანკის ფოთის განყოფილებაში. მისამართი: კიროვის ქ. № 18.
თავმჯდომარე ოქუჯავა.
1082 მთ. ბუღალტერი კაჭნი

ენერგეტიკის მთავარი მმართველობის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველო
(„ზაკენერგო")
აცხადებს, რომ თანახმად სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის 1936 წ. 4 აპრილის ბრძანებისა № 617, საქართველოს მაღალვოლტიან ქსელთა სამმართველოს და ძორაჰესის მაღალი ვოლტის ყველა აბონენტი, როგორც ელექტროენერგიით მოსარგებლენი, ისე ისინი, რომელნიც აპირებენ მით სარგებლობას, გარდა ქალ. ტფილისის მოხმარებლებისა, რომელნიც განაცხადებს წარუდგენენ „ტელესს", ვალდებული არიან წარმოადგინონ დასაბუთებული განაცხადები 1937 წლისათვის საჭირო ელექტროენერგიაზე დადგენილი ფორმით არაუგვიანეს ა-წ. 1 დეკემბრისა. აჭჰესის, კანაქირჰესის და ტყვარჩელჰესის აბონენტები განაცხადებს წარუდგენენ სათანადო მშენებლობებს.
განაცხადები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ლენინის ქ. № 11, „ზაკენერგოს" ენერგოგასაღება. 700-2

ყურადღება!!! ყურადღება!!!
ტფილმრეწვაჭრობის სავაჭრო ქსელი ჩაება სსრკ საბჭოების მერვე ყრილობის სახელობის საკავშირო
სტახანოვურ ათდღიურში
რომელიც ტარდება ქ. ტფილისში 15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე.
ტფილმრეწვაჭრობა

ტფილმრეწვაჭრობის სავაჭრო ქსელში იყიდება: შალის, მატყლის, ბამბეულის და აბრეშუმის ქსოვილები, საგალანტერეიო საქონელი, ფეხსაცმელები, ტრიკოტაჟი, პარფიუმერია, ავეჯი, სილიკატები, ოქინაკავეული და სამეურნეო საქონელი.
ტფილმრეწვაჭრობის მაღაზიები იმყოფებიან ქ. ტფილისის ყველა ცენტრალურ და განაპირა ქუჩებში და აგრეთვე დესიმონოვის, ვერის, საბურთალოს, ავჭალის და ნავთლუღის დახურულ ბაზრებზე.
სტახანოვური ათდღიურის დროს ვაჭრობა ტფილმრეწვაჭრობის მაღაზიებში გაგრძელებული იქნება ორი საათით.
ტფილმრეწვაჭრობის დირექცია.

ტფილისის ლენრაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ს. სიგუა
აცხადებს, რომ ა-წ. 16 ნოემბერს 1 საათზე, ორჯონიკიძის ქ. № 139-ში
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება არტელ „ლესნოი ტრუდის" სახერხი ქარხნის ელექტრომოტორები, სხვადასხვა მოწყობილობა და დაზგები, ქონება შეფასებულია 20.000 მანეთად. გაიყიდება ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეების ხელფასის და ლენრაიონის საბჭოს სასოფლო მეურნეობის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ლენრაიონის, ორჯონიკიძის და 26 კომუნარის რაიონების სახ. სასამართლოების მიერ გაცემულ აღმასრულებელი ფურცლებისა № 2—924, 2—827, 2—821, 2—1525, 2—1095, 2—1175 და ლენრაისაბჭოს და არბიტრაჟის ბრძანებისა № 3—210. ვაჭრობის დროს დაცული იქნება სათანადო წესები. 16546

ბალანსი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის მუსიკალური ფაბრიკისა 1936 წლის 1-ლ იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლის 1-ლ იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის	პასივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა			1. საწესდებო ფონდი	329714—11	462626—69
ა) ძირითადი საშუალებანი მოქმედი	123801-19	141006—48	2. საამორტიზაციო ფონდი	19596—39	25141—74
ბ) ძირითადი საშუალებანი უმოქმედო	—	—	3. რეზერვები	1396—73	333—72
სულ	123801—19	141006—48	4. გრძელვადიანი კრედიტები	—	—
2. ანგარიშსწორება კაპიტალურ მშენებლობასთან	6471—96	231—47	5. (მოკლევადიანი) სახ. ბანკის) კრედიტები	50000—00	—
3. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	86209—43	223065—74	6. კრედიტორები	155058—05	96969—06
4. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	56677—50	151024—53	7. მომავალი პერიოდის შემოსავალი	—	—
5. საქონელი და მზანაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	55072—45	15282—13			
6. ფულადი საშუალებანი	1105—56	4654—05			
7. დებიტორები	41718—25	31965—38			
8. მომავალი პერიოდის ხარჯები	3587—48	8373—13			
9. შედეგი					
ზარალი საანგარიშგებო წლისა	181570—45	9468—30			
ბალანსი	555714—24	585071—21	ბალანსი	555714—24	585071—21

დირექტორი **ჯავახიძე**. მთ. ბუღალტერი **ქურქჩიანი**

ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეც. კომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1575 საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. მთ. ბუღალტერი **ჯანელიძე**.

თანახმად სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის და საერთო კრების დადგენილებისა,
არტელი „ხოზპრომი" ლიკვიდირებულია
ა-წ. 14 ნოემბრიდან.
ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება 27 ნოემბრამდე. ლიკვიდკომი მოთავსებულია სარეწაო კავშირის შენობაში, თოდრიას ქ. № 36.
16550 ლიკვიდკომი.

„სოიუზსახსბიტის" ფოთის ბაზა
იმყოფება სოიუზსახსბიტის ა-კ კანტორის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ფოთის ფინგანში 1936 წ. 14 აპრილს № 34. საქმიანობის საგანი: შაქრის რეალიზაცია. საანგარიშსწორებო ანგარიში № 55—32 საზბანკის ფოთის განყოფილებაში. მისამართი: კიროვის ქ. 11.
თავმჯდომარე დიდებკო.
10,0 მთ. ბუღალტერი ართილაყვა

მისამართები: რედაქციის—ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ე—8642